

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი
და ქართული სავანეები წმიდა მიწაზე

სარჩევი

საქართველო და წმიდა მიწა

გადმოცემა ცხოველმყოფელი ჯვრის ხის შესახებ

იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერი

გადმოცემა ცხოველმყოფელი და პატიოსანი ჯვრის პოვნის შესახებ

ქართველები გოლგოთაზე

მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლა უფლის საფლავეზე

ქართული სავანეები წმიდა მიწაზე

იერუსალიმელი მოწამენი

უფლის გზებზე

საქართველო და წმიდა მიწა

უფლის კვართმა სულიერად გადააჯაჭვა პალესტინა და საქართველო, ადღგომის ტაძარი და სვეტიცხოველი

ღმრთის განგებამ საქართველო წმიდა მიწასთან უძველესი დროიდან დააკავშირა. ქრისტეს შობამდე მე-6 საუკუნეში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი დაიპყრო და მიწასთან გაასწორა; იუდეველთა ნაწილმა სამშობლო დატოვა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დასახლდა. მათი ნაწილი საქართველოშიც მოვიდა და მცხეთაში დამკვიდრდა. მემატეანის გადმოცემით, „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუნა იერუსალიმი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს“. მცხეთაში გადმოსახლებულმა იუდეველებმა თან წამოიღეს ებრაელთა ერთ-ერთი უდიდესი სიწმიდე – ილია წინასწარმეტყველის ხალენი, რომელიც ამჟამად სვეტიცხოვლის ტაძარშია დაკრძალული. იერუსალიმის ტაძრის აღდგენის შემდეგ ქართველ ებრაელებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ პალესტინასთან: მცხეთელი მომლოცველები პასექსა და სხვა დიდ დღესასწაულებზე ღმრთისმსახურებას იერუსალიმის ტაძარში ესწრებოდნენ.

ძე ღმრთისას განკაცების შემდეგ მცხეთელ ებრაელებს შორის ცხარე კამათი იმართებოდა: ვინ იყო იგი – მესია თუ იუდეველთა მტერი. პალესტინიდან ჩამოსული მომლოცველები იესო ქრისტეს სწავლებასა და მის სასწაულებზე ჰყვებოდნენ; ხოლო სინედრიონი ებრაელთა დიასპორებს წერილებს უგზავნიდა, რომ ქრისტე სამარიტელი იყო და იუდეველობას იბრალებდა, რათა ქვეყანაში ამბოხება მოეწყო და ტაძარი დაენგრია.

იმ მცხეთელ ებრაელებს შორის, რომლებმაც იწამეს ქრისტე, როგორც ჭეშმარიტი მესია, იყო რაბინი ელიოზი თავისი ოჯახით, რომელიც სწორედ იმ წელს უნდა გამგზავრებულიყო იერუსალიმის მოსალოცად, როცა მაცხოვარი ჯვარს აცვეს. რაბინის და – სიდონია ევედრებოდა მას, რომ ქრისტეს ხელიდან რაიმე ნივთი წამოეღო, როგორც კურთხევა. მან სთხოვა ძმას, არ მიეღო მონაწილეობა ფარისეველთა და უხუცესთა შეთქმულებაში მესიის წინააღმდეგ. იერუსალიმში ელიოზი პასექის წინ, ქრისტეს ჯვარცმის დღეს ჩავიდა. მან სასჯელის აღმასრულებელ მეომართაგან ქრისტეს კვართი გამოისყიდა და მცხეთაში ჩამოიტანა. სიდონია ძმას ქალაქის კარიბჭესთან დახვდა. როცა მაცხოვრის ჯვარცმის საშინელი ამბავი შეიტყო, მან კვართი აიღო, გულში ჩაიკრა და იქვე განუტევა სული. ვერავითარმა ძალამ ვერ გამოგლიჯა მიცვალებულს კვართი ხელიდან. იგი კვართთან ერთად დაკრძალეს სამეფო ბაღში. იმ ადგილზე ამოვიდა ვეებერთელა კედარი, რომლის წიწვებსაც კურნების ძალა ჰქონდა. შემდგომში აქ სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი აიგო.

არქიმანდრიტი რაფაელი წერს: „უფლის კვართი, როგორც სამეფო სამყოფელში, ისე ინახებოდა სვეტიცხოვლის ტაძარში. ის შეიძლება შევადაროთ სულიერ მზეს, მიწის წიაღიდან უხილავი სხივების მაშუქებელს, ანდა მიწისქვეშა წყაროს, ყვაილთა და მცენარეთა ფესვების უხილავად მკვებავს. ეს კვართი ყოველდღე ღმრთისმშობლის ხელითაა ნაქსოვი და გეთსამანიის ბაღიდან გოლგოთამდე მავალი მაცხოვრის სისხლითაა გამთბარი. ამ სიწმიდის გამო მცხეთა იწოდება მეორე იერუსალიმად. სვეტიცხოვლის ტაძრის შიგნით სამლოცველოა აშენებული; ფორმით იგი წააგავს იმ სამლოცველოს, რომელიც იმპერატორმა კონსტანტინემ ააგო მაცხოვრის საფლავზე იერუსალიმის ადღგომის ტაძარში. იერუსალიმიდან მცხეთაში ჩამოტანილმა უფლის კვართმა სულიერად გადააჯაჭვა პალესტინა და საქართველო, ადღგომის ტაძარი და სვეტიცხოველი“.

„წილხდომილი შენი ქვეყანა განათლებების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ“

მაცხოვრის მეგდრეთით აღდგომისა და ზეცად ამალეების შემდეგ წმიდა მოციქულები იერუსალიმში სიონის მთაზე შეიკრიბნენ და უფლის სიტყვისაებრ მოელოდნენ ნუგეშინისმცემელს – სულიწმიდას. ქრისტეს მოციქულებმა განიზრახეს წილი ეყარათ, თუ ვის რომელ ქვეყანაში ექადაგა სახარება. ღმრთის დედამ უთხრა მათ: „მეც მნებავეს თქვენთან ერთად ვიყარო წილი. დაე, მეც მერგოს ქვეყანა, რომელსაც მიმითითებს უფალი“. მოციქულებმა კრძალულე-ბითა და ღმრთის შიშით ჰყარეს წილი და ღმრთისმშობელს წილად ხვდა ივერია. ყოვლადწმიდა ქალწულმა სიხარულით მიიღო თავისი ხვედრი და სულიწმიდის გარდამოსვლის-თანავე ისურვა წამოსულიყო საქართველოში, მაგრამ მას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა: „აწ ნუ განემორები იერუსალიმს, წილხდომილი შენი ქვეყანა განათლებების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ“. მაშინ ღმრთისმშობელმა ანდრია მოციქულს დაავალა ივერიის მკვიდრთა მოქცევა, შემწედ და ნუგეშად კი მიჰმადლა ხელთუქმნელი ხატი, რომელზეც მისი სახე იყო აღბეჭდილი.

ქრისტეს ნათელი და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კურთხევა პირველად საქართველოს ძირძველ კუთხეს – აჭარას მოეფინა. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ანდრია მოციქული „შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგება სახარებისა“. მრავალ ჭირთა და განსაცდელთა დათმენის შემდეგ მოციქულმა ამ კუთხის მკვიდრნი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია და ნათელ-სცა მათ. მან დაადგინა მღვდელნი და დიაკონნი და აღაშენა ეკლესია ღმრთისმშობლის სახელზე, იმ ადგილზე კი, სადაც ღმრთის დედის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, „აღმოეცენა წყარო ფრიად შუენიერი და დიდი“. წმიდა მოციქულმა დიდ-აჭარელთა მხურვალე თხოვნით ფიცარზე გამოსახა სახე ხატისა და მათთან დატოვა, თავად კი საქართველოს სხვა კუთხეებში საქადაგებლად გაემგზავრა. გადმოცემით, ანდრია პირველწოდებულმა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატი მის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ქალაქ აწყურში დაარსებულ საეპისკოპოსო კათედრას უბოძა, სადაც იგი მეჩვიდმეტე საუკუნემდე განისვენებდა, რის შემდეგაც ხატი გაუჩინარდა. ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეში, სამეგრელოში ინახება კიდევ ერთი უდიდესი სიწმიდე – ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კვართი, რომელიც, სავარაუდოდ, ჩამოიტანეს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ საქართველოში გადმოსხვეწილმა ბერძენმა ბერ-მონაზვნებმა.

წმიდა ანდრიასთან ერთად ივერიის მკვიდრთ ღმრთის სიტყვა ახარეს მოციქულებმა სვიმონ კანანელმა, მატათამ და ბართლომემ. სვიმონმა ჯვარზე ტანჯვა-წამებით სიკვდილი დაითმინა აფხაზეთში, ქალაქ ნიკოფსიაში, მსგავსად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და იქვეა დაკრძალული. აჭარაში, გონიოს ციხე-სიმაგრეში კი არის საფლავი წმიდა მატათასი, რომელმაც ქრისტიანობაზე მოაქცია აფხაზები და სვანები. რაც შეეხება ბართლომე მოციქულს, მან იქადაგა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში.

...მარადის ქალწულმა კი გადასცა მას ჯვარი ვაზისა

ბანველო სამმა საუკუნემ და დადგა უფლის მიერ თავისი ყოვლადწმიდა დედისადმი მიცემული აღთქმის აღსრულების ჟამი. ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მკვიდრთა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოსაქცევად უფალმა კაპადოკიელი ქალწული ნინო გამოირჩია.

ღმრთის განგებით ივერიის მოქცევა ისევ წმიდა ქალაქ იერუსალიმს დაუკავშირდა. როდესაც ნინო თორმეტი წლის შეიქნა, მისმა მშობლებმა, ღირსმა ზაბულონმა და სოსანამ,

მთელი ქონება გაყიდეს, იერუსალიმში წავიდნენ და ყოველივე გლახაკებს დაურიგეს, რის შემდეგაც პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ერთმანეთს გამოეთხოვნენ, ასული აღსაზრდელად ვინმე ნიაფორს დაუტოვეს, თავად კი ქრისტეს უღელი იტვირთეს. ორი წლის მანძილზე იყო ნინო ნიაფორის გვერდით და „ჰკითხვიდა ყოველადვე ვნებათა მათთვის ქრისტესთა: ჯვარცმისა, დაფლვისა და აღდგომისა მისისა და სამოსლისა მის და ტილოთა და სუდარისა, და ჯვარისა“. სწორედ მისგან შეიტყო ნინომ, როგორ წაიდეს უფლის კვართი იერუსალიმიდან მცხეთაში და მოისურვა წასულიყო იმ ქვეყანაში, სადაც განისვენებდა ეს დიდი სიწმიდე, მოენახა სიდონიას საფლავი, თაყვანი ეცა ქრისტეს სამოსლისათვის და ჭეშმარიტი სარწმუნოება ექადაგა ივერიის მკვიდრთათვის. უფალი არაერთხელ გამოეცხადა წმიდა ნინოს და სამოციქულო მსახურებაზე აკურთხა, მარადის ქალწულმა კი გადასცა მას ჯვარი ვახისა.

იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის ლოცვა-კურთხევით ქალწული ნინო ჯერ რომში გაემგზავრა წმიდა მოციქულთასწორ დედოფალ ელენეს ჭეშმარიტ რწმენაში განსამტკიცებლად. ნინო სიკვდილს პირისპირ შეხვდა სომხეთში, როცა თრდატ მეფის მსახურებმა უმოწყალოდ დახოცეს მისი სულიერი დები. მაგრამ უფალი მოწამეობრივი გვირგვინის ნაცვლად მას სხვა – მოციქულის უბრწყინვალეს გვირგვინს უმზადებდა. აღსრულდა ღმრთის სიტყვები: „ძალი ჩემი უძღურებასა შინა სრულ-იქმნების“. უძღურ ქალწულში დამკვიდრებულმა ღმრთის ძალამ შემუსრა წარმართობა ივერიაში, აღუხილა თვალნი ბნელში მავალ ქართველთ და ჭეშმარიტების შემეცნების ღირსი გახადა. არაგვის ანკარა წყლებში, ვითარცა ემბაზში, ნათელღებული საქართველო დაემსგავსა სძალს, რომელიც იღვა გვირგვინის ქვეშ, ქათქათა სამოსლით შემოსილიყო და ზეციური სიმშვენიერით ბრწყინავდა. მეფე მირიანი და წმიდა ნინო ბერძენ ხუროთმოძღვართა დახმარებით შეუდგნენ ტაძრის მშენებლობას იმ ადგილზე, სადაც სიდონიას მკერდზე, ვითარცა სამეუფო ტახტზე, მაცხოვრის კვართი განისვენებდა.

გული უთქუმიდა ნეტარსა მას მისლვად იერუსალემად და თაყუანის-ცემად წმიდისა გოლგოთისა

ძრისტმს სარწმუნოებას შედგომილი ქართველი ერის შეიღებისთვის სანატრელი შეიქნა ის ქალაქი, სადაც უფალმა დაითმინა ჯვარზე ვნება და სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომით მოგვანიჭა საუკუნო ცხოვრება. კეთილმორწმუნე ქართველს მუდამ ეწადა იერუსალიმში გამგზავრება და მისი სიწმიდეების მოლოცვა.

ერთ-ერთ პირველი იყო წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი. მემატიანის გადმოცემით, „ვახტანგს ევედრნეს დედა და დაე მისი ხუარანძე, რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალემს. წარიტანნა და წარვიდეს... ვახტანგ და დედა და დაე მისი იერუსალემს. შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოილოცნეს ყოველნი ადგილნი, და შეევედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს“.

წმიდა მოწამე კონსტანტი კახის ოცნება იერუსალიმს წასვლა და წმიდა ადგილების მოლოცვა იყო: „გული უთქუმიდა ნეტარსა მას მისლვად იერუსალემად და თაყუანის-ცემად წმიდისა გოლგოთისა, სადა-იგი იქმნა განახლება ჩუენი მარჯუენისაგან მადლისა და ნათლით-შემოსილისა და ცხოვრების-მომცემელისა საფლავისა და წმიდისა სიონისა, დედისა ეკლესიათაჲსა, და ყოველთა წმიდათა ადგილთა, რომელთა დადგეს ფერჳნი უფლისანი“. იგი მართლაც გაემგზავრა და „მოილოცნა წმიდანი ადგილნი და საფასე დიდ-ძალი მისცა ეკლესიათა, გლახაკთა და მკვიდრთა იერუსალიმისათა“. სამშობლოში დაბრუნებული არ ივიწყებდა იერუსალიმის სიწმიდეებს და ყოველ წელიწადს იქ მსახურს აგზავნიდა დიდძალი შესაწირით.

ღმრთისმშობელმა მას სამშობლოში დაბრუნება უბრძანა

ერთხელ გარეჯის უდაბნოში მოღვაწე ღირს ილარიონ ქართველს წმიდა ადგილთა თაყვანისცემის სურვილი დაეუფლა, „წარიყვანა ძმად ერთი და წარემართა იგი წმიდად ქალაქად იერუსალიმად“. მოილოცა ღირსმა მამამ წმიდა მიწა, თაყვანი სცა გოლგოთას და ცხოველმყოფელ საფლავს, შემდეგ გაემართა ბეთლემს და იხილა მღვიმე, სადაც იშვა უფალი იესო ქრისტე. განიბანა იორდანეში და მოილოცა წმიდა საბას ლავრა და სხვა მონასტრები. განმარტობული ცხოვრებისა და განუშორებლად ზეციურ მამასთან საუბრის მსურველმა რამდენიმე წელი გაატარა იმ მღვიმეში, სადაც თავს აფარებდა ილია წინასწარმეტყველი, შემდეგ კი იღვწოდა იოანე ნათლისმცემელი.

ერთ ღამეს, როცა წმიდა ილარიონმა ღოცვის კანონი აღასრულა და ჩათვლიმა, ჰქონდა ჩვენება, რომ ზეთისხილის მთაზე იქნა ატაცებული და იხილა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი და მის წინაშე მდგომარე თორმეტი ბრწყინვალე კაცი. ღმრთისმშობელმა მას სამშობლოში დაბრუნება უბრძანა. და გამოემართა ღირსი მამა თავისი ქვეყნისკენ, როგორც მოსე მიიქცა ეგვიპტედ, რათა დახმარებოდა უხილავ ფარაონს დამონებულ თანამოქმედებს.

„შენი სარწმუნოებით წავიღია ჩემი ქალაქის, წმიდა იერუსალიმის მადლი“

საღმრთო სურვილმა ღირსი დავით გარეჯელი წმიდა ქალაქ იერუსალიმის მოსალოცად აღძრა. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ მის თვალწინ ღმრთის ქალაქი გადაიშალა. წმიდანმა მუხლი მოიყარა, დიდება შესწირა უფალს და თვალცრემლიანმა წარმოთქვა: „აწ არ ვიკადრებ გზის განგრძობას, რათა ჩემი ცოდვილი ფეხებით არ შეურაცხყო შენს წმიდა ფერხთაგან კურთხეული ალაგნი; ჩემთვის საკმარისია ის მადლიც, რომ ჩემი უღირსი თვალებით ვიხილე წმიდა ადგილები“. მსურვალე ღოცვა-ვედრების შემდეგ ღირსმა მამამ აიღო სამი ქვა, რწმენით ჩაალაგა თავის ხურჯინში და გარეჯის უდაბნოსკენ აიღო გეზი.

იმავე ღამით ღმერთმა იერუსალიმის პატრიარქ ილიას მიუვლინა ანგელოზი, რომელმაც აუწყა: „ჩემმა საყვარელმა დავითმა თავისი რწმენით წაიღო იერუსალიმის მადლი. წარავლინე მალემსროლნი, რათა დაეწიონ ქალაქ ნაშოლის გზაზე მიმავალ ძონძებით მოსილს ბერს. მას ხურჯინში სამი ქვა უდევს. უბრძანე მალემსროლთ, გამოართვან ორი ქვა, მხოლოდ ერთი დაუტოვონ და უთხრან: ამას გიბრძანებს უფალი – შენი სარწმუნოებით წავიღია ჩემი ქალაქის, წმიდა იერუსალიმის მადლი; მე კი ვინებე, ორი ნაწილი დავაბრუნო იერუსალიმში, რათა სრულიად არ მოაკლდეს მას მადლი, ხოლო მესამე შენთვის მომინიჭებია შენს უდაბნოში წასადებად“.

გაოცებულმა პატრიარქმა სასწრაფოდ წარგზავნა მალემსროლნი, რომლებიც დაეწინენ ღირს მამას და მოკრძალებით გამოართვეს ორი ქვა. ღირსმა დავითმა კი რამდენიმე ხანში უდაბნოს მიაღწია და ნუგეში მიჰმადლა სულიერ სამწყსოს. მალე იერუსალიმიდან მომლოცველი ძმებიც დაბრუნდნენ და ყველას უამბეს, რაც იხილეს და ესმათ მამა დავითის შესახებ. ღირსი მამის მიერ იერუსალიმიდან ჩამობრძანებულ ქვას კი ეწოდა „მადლის ქვა“. იგი საუკუნეების მანძილზე სარწმუნოებით შემხებელთ მადლმოსილ კურნებას ანიჭებდა და სხვა მრავალ სასწაულსაც აღასრულებდა.

გონების თვალთ გიორგი თითქოს თავად უფალს ხედავდა

როდესაც ღირსი გიორგი მთაწმიდელის მოძღვარმა, გიორგი შეყენებულმა იხილა თავისი მოწაფის სიბრძნითა და გონიერებით შემკული სული, ოცდაათი წლის გიორგის სქემა შემოსა და იერუსალიმში წარგზავნა. წმიდა ქალაქს მიწვევულმა ნეტარმა მამამ მოილოცა ყველა წმიდა და თავყვანისსაცემელი ადგილი „სულისა სურვილითა და გონებისა სიმხურვალითა, და მარადის ცრემლთა მიერ ივლტობინ, იხსენებნ რაღ ვნებათა მეუფისათა, რომელნი-იგი მან ჩვენისა ცხორებისათვის ადგილთა მათ შინა წმიდათა თავს იხსნა“. გონების თვალთ გიორგი თითქოს თავად უფალს ხედავდა. მცირე ხნის შემდეგ იგი თავის მოძღვართან დაბრუნდა.

ღირსი მამა მეორედ იერუსალიმს ბაგრატ IV დედის, დედოფალ მარიაშის დავალებით წავიდა. მან ერთ-ერთი მოწაფე წაიყვანა თან და მარიაშის მიერ გატანებული დიდძალი შესაწირავით იერუსალიმს მივიდა; „და წმიდანი იგი ადგილნი მოილოცნა და წმიდათა მამათა ლოცვად მიიღო და საფასე იგი წარცემული ყოველთა ნაკლულეგანთა და უღონოთა უხუებით განუყო“. ნეტარმა გიორგიმ შესაწირავის დიდი ნაწილი ჯვრის მონასტრის აღმშენებელს, გიორგი-პროხორეს გადასცა და კვლავ შავ მთაზე დაბრუნდა.

„სხუა მეფე არა უფლებულ არს ჩუენ ზედა, გარნა მეუფე იგი ზეცათა უფალი ჩუენი იესო ქრისტე“

საქართველოსა და იერუსალიმის ეკლესიების სულიერი სიახლოვის დამადასტურებელია ის გარემოებაც, რომ ჩვენს ეკლესიაში მეათე საუკუნის დამლევამდე მოქმედებდა იერუსალიმის ეკლესიაში დამკვიდრებული ტიპიკონი. ღირსმა გრიგოლ ხანძთელმა თავისი ახლადდაარსებული მონასტრის წესდება განაწესა საბაწმიდის სავანის ტიპიკონის მსგავსად, რომლის ჩამოტანაც იერუსალიმში მოსალოცად მიმავალ მეგობარს თხოვა. თუ რაოდენ დიდი იყო ჩვენში იერუსალიმის ეკლესიისა და მისი პატრიარქისადმი პატივისცემა, ჩანს გიორგი მერჩულის მიერ გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების დროის აღნიშვნიდან: „ხოლო იყო გარდაცვალებად ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისი... იერუსალემს პატრიარქობასა აგათონისსა, მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისსა...“

საქართველოში მირონი, სხვა ქრისტიანული ქვეყნების მსგავსად, იერუსალიმიდან ჩამოჰქონდათ. წმიდა ეფრემ მაწყვერელის, ღირსი გრიგოლ ხანძთელის მოწაფის, ძალისხმევით საქართველოს ეკლესიამ იერუსალიმის პატრიარქის სერგის თანხმობით მირონის კურთხევის უფლება მიიღო: „ხოლო ეფრემ ქრისტეს მიერთა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევად ქართლს განაწესა იერუსალემისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სისარულით“.

ქართველთა მიერ წმიდა მიწის განსაკუთრებულ თავყვანისცემასა და სიყვარულზე მეტყველებს ისიც, რომ საქართველოში ბევრ ეკლესია-მონასტერსა და დასახლებულ ადგილს ჰქვია იესო ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სახელი: ბეთლემი – თბილისში, ხევში, ქვემო ქართლში, ბეთანია – მონასტერი თბილისის ახლოს, თაბორი – თბილისში, ცაგერის რაიონში, ჯვარი (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიხედვით) – თბილისში, წაღენჯისაში, აღდგომა (იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის მიხედვით) – სოფელი კახეთში, ამადლეა – სოფელი გურიაში. „მეორე იერუსალიმად“ წოდებულ მცხეთაში იყო ბეთლემი, თაბორი, ბეთანია, გეთსამანია, გოლგოთა. როდესაც წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა სვეტიცხოვლის ტაძარი ხელახლა აღაშენა და იგი „დედად ყოველთა ეკლესიათა“-დ გამოაცხადა, მას „წმიდა სიონი“ ეწოდა და იერუსალიმის სიონივით მოციქულთა სახელობისა გახდა. საქართველოში

კიდევ რამდენიმე სიონის ტაძარი: თბილისში ღმრთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარი, სიონი ბოლნისში, თეთრიწყაროში, ატენში.

წმიდა მიწისადმი დიდი მოწიწებითა და მზრუნველობით გამოირჩეოდნენ საქართველოს მეფენი. ამის შესახებ დაწვრილებით შემდეგ თავებში ვიამბობთ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ბაგრატიონნი „მატიანე ქართლისაჲ“-ს მოწმობით არიან „ნათესავნი დავით წინასწარმეტყველისანი, რომელი-იგი ხორციელად მამად ღმრთისა იწოდა“. თავად ქართველი მეფეები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ ისინი იყვნენ დავით წინასწარმეტყველის მამის, იესეს, დავითისა და მისი ვაჟის, სოლომონის ჩამომავალნი: „ჩვენ, მეფეთ-მეფემან, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონმან...“ ბიბლიურ სამყაროსთან ბაგრატიონთა ნათესაობას მოწმობდა მათი საგვარეულო გერბიც, რომელზეც გამოსახული იყო შურდული (მოსაგონებლად იმისა, რომ მისით დავითმა მოკლა გოლიათი), აგრეთვე ქნარი, სასწორი და კვართი ქრისტესი. გერბის გარშემო წარწერაა დავითის ფსალმუნისა: „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხ-ყოს იგი; ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსუა საყდართა შენთა“.

საგულისხმოა გიორგი VII პასუხი თემურ-ლენგის მოთხოვნაზე, რომ საქართველოს მეფე მისდამი მონურ მორჩილებაში ყოფილიყო: „ესე უწყოდე, რამეთუ მე მეფობისა შენისა არა უმცირეს ვარ, არცა უდარეს. არა უწყია, რამეთუ ძირთაგან დავით წინასწარმეტყველისათა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განეგების ჩვენ ბაგრატიონთა და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყველისა?... ამისთვისცა განეგებითა მრავალმოწყალისა ღმრთისათა მეფედ დამკვიდრებულ ვართ სრულიად საქართველოსა ზედა, და ესრეთ განთავისუფლებულ ვართ, და სხუა მეფე არა უფლებულ არს ჩვენ ზედა, გარნა მეუფე იგი ზეცათა უფალი ჩუენი იესო ქრისტე“.

აი, ასეთი სულიერი სიახლოვე ჰქონდა საქართველოს წმიდა მიწასთან. ამ სიახლოვის დასტური იყო ის, რომ ბევრი ჩვენი წინაპარი მიემგზავრებოდა და დღესაც მიემგზავრებიან ქართველნი პალესტინის სიწმიდეების მოსალოცად. „ხოლო სანუგეშებლად მრავალთა ქართველთა, – ამბობს დეკანოზი პეტრე კონტოშვილი, – მოსურნეთა მოლოცვისა ქრისტე მაცხოვრის ცხოველმყოფელის საფლავისა და სხვათა სიწმიდეთა პალესტინისათა, რომელთაც ნივთიერი შეძლება ხელს არ უწყობს იმ სიმორეზედ მგზავრობისათვის, მათ ქრისტეს მოყვარეთა და მოსავთა მოვასხენებ შემდეგთა სიტყვათა ღირსთა მამათასა: „სასიქადულო ის კი არ არის, რომ მოიხილო იესრუსალიმი, არამედ რათამცა იცხოვრო იესრუსალიმში სათნოებითა. ნუ წარმოიდგენ, რომ შენი ცხოვრება საშიშს მდგომარეობაშია მხოლოდ იმისათვის, რომ შენ არ გიხილავს იერუსალიმი, და ნუ ჩამთვლი მე უმჯობესად ამისათვის მხოლოდ, რომ მე იქ ვსცხოვრებ. სადაც უნდა იყო შენ – იქ ანუ აქ, სასყიდელი განიზომება ღმრთისა მიერ საქმეებითა“.

გადმოცემა ცხოველმყოფელი ჯვრის ხის შესახებ

ცხოველმყოფელი ჯვრის ხის ისტორია დასაბამს ძველი აღთქმის მამათმთავრის, აბრაამისა, და მისი დისწულის, ლოთის, ცხოვრებიდან იღებს.

მართალი ლოთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდა სოდომში – გარყვნილ და ღმრთისგან დაწყვეტილ ქალაქში. მაგრამ ლოთის ცხოვრებაში მოხდა საშინელება: იგი არნახული ცოდვით დაეცა. სინანულში ჩავარდნილი აბრაამს ევედრებოდა, ღმრთისგან მისთვის პატიება გამოეთხოვა. წმიდა აბრაამმა ლოთს მისცა სამი გამხმარი ტოტი – საროს, ფიჭვის და ნაძვისა და უთხრა: „დარგე ისინი ერთმანეთის გვერდით და ყოველდღე მორწყე კედრონის წყლით. თუ ეს ტოტები აყვავდება, მაშინ ჩათვალე, რომ ღმერთმა შეგინდო“.

ლოთმა დარგო ეს ტოტები. ყოველდღე მიდიოდა იგი მდინარე კედრონთან, თიხის დოქით იღებდა წყალს და მთაზე აჰქონდა. გზაზე მას ეკალ-ბარდებში უხდებოდა გავლა, რის გამოც სხეული სულ დასისხლიანებული ჰქონდა.

ერთხელაც ამ უკაცრიელ ადგილას ვიღაც უცნობი შემოხვდა. მან ჰკითხა ლოთს: „წყალს ხომ ვერ დამალევენებდი?“ ლოთმა უპასუხა: „მშობლებმა მცნებად დამიდეს – დავაპურო მშიერი, შევიწყნარო მწირი და წყალი მივაწოდო მწყურვალს; შესვი, ძმაო“. უცნობმაც აიღო დოქი და დალია წყალი.

როცა ლოთი ტოტების მოსარწყავად მივიდა, ნახა, რომ დოქი ცარიელი იყო. უცნობს ერთი სულის მოთქმით დაეცალა ჭურჭელი.

გავიდა დრო. ტოტების მოსარწყავად მიმავალ ლოთს ისევ შეხვდა ის უცნობი და წყალი მოსთხოვა. ლოთი ყოყმანობდა, მაგრამ იგი მცნებას ვერ დაარღვევდა და კვლავ დაალეგინა წყალი. დოქი დაცარიელდა და ლოთს ტოტების მორწყვა საკუთარი ცრემლებით მოუხდა.

ლოთმა ყოველივე აბრაამს უამბო. აბრაამმა გააკეთა კადონი ჯვრის სახით და უთხრა დისწულს: „შენი დოქი ამით გადახურე და როდესაც ის უცნობი შეგხვდება, მიაწოდე და უთხარი, რომ შესვას, და ვნახოთ, მერე რა მოხდება“.

ლოთი ასეც მოიქცა. უცნობმა აიღო დოქი წყლის დასალეგად და როცა მას თავი ახადა და შიგ ხის ჯვარი დაინახა, მყისვე ყვირილით მოწყდა ადგილს.

აბრაამმა თქვა: „ეს ეშმაკი იყო. დაიმახსოვრე, თუ რისი ეშინია ბნელეთის სულს“.

გავიდა სამი წელიწადი, ტოტები გაცოცხლდა და ერთ ტანად შეერთდა. ამ ხემ ბევრი მნახველი გააკვირვა. მეფე სოლომონს მასზე უთქვამს: „კურთხეულია ეს ხე, მისგან ხალხები გადარჩებიან“.

იერუსალიმის ტაძრის აგებისას ხეს სამშენებლო მასალად გამოყენებას უპირებდნენ. იგი მოჭრეს, მაგრამ გაუგებარი მიზეზით აღარ გამოიყენეს და ტაძრის კედლებთან მიაგდეს.

მოგვიანებით მისგან ხიდი გააკეთეს ტაძართან ახლოს ჩამავალ ნაკადულზე გადასასვლელად. ამ ხიდით ასწლობით სარგებლობდნენ ადამიანები. იგი ათიათასობით კაცმა გათელა. ხე საუკუნოვანი მტერთა და ტალახით იყო დაფარული.

როცა უფლის ჯვარცმის დრომ მოაწია, მისმა მტრებმა იესო ქრისტეს შეურაცხყოფის მიზნით სწორედ ამ შებღალული ხისგან გადაწვიტეს ჯვრის გაკეთება.

იესო ქრისტემ ჯვარზე აიტანა ჩვენი სულიერი ბილწებანი და წარხოცა ისინი. მაცხოვრის ჯვარცმის შემდგომ მისი ჯვარი ავაზაკთა ჯვრებთან ერთად დრმა თხრილში დაფლეს. ამის შემდეგ გოლგოთაზე ჯვარცმა აღარ აღსრულებულა.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

„ჩემითა აქ მოსლვითა პირველად გამომიხსნია იერუსალემი, წმიდა ქალაქი“

იმრუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება საქართველოს პირველ ქრისტიან მეფესთან, წმიდა მირიანთან, არის დაკავშირებული. გადმოცემით, მან ღირსი ნინოს თხოვნით ჯერ მეფე კონსტანტინე მოინახულა, შემდეგ იერუსალიმში გაემგზავრა და იქ ტაძრის ასაშენებლად ადგილი მოიპოვა. ეს სწორედ ის ადგილი იყო, სადაც ხარობდა ლოთის მიერ დანერგილი და ერთ დიდ ხედ აღმოცენებული სარო, ფიჭვი და ნაძვი. მონასტრის საკრებულო ეკლესიაში დღემდე დაცულია მოკვეთილი ხის ძირი.

მირიანის შემდგომ საქართველოს სახელოვანი მეფე წმიდა ვახტანგ გორგასალი დიდძალი მხედრობით მოსულა წმიდა მიწაზე; იერუსალიმიდან განუდევნია უსჯულონი და მრავალი მონასტერიც აღუშენებია. მემატეანის გადმოცემით, აი, რა უთქვამს ვახტანგს სინდთა მეფისთვის: „რამეთუ ჩემითა აქ მოსლვითა პირველად გამომიხსნია იერუსალემი, წმიდა ქალაქი, სადა დადგეს ფერხნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, და მუნ აღასრულა ყოველივე ხსნისათვის სულთა ჩუენტასა. და შემდგომად ყოველი საქრისტიანო დამიხსნია მოოხრებისაგან, რამეთუ მისცემოდა ჟამი სპარსთა მეფესა მოტყუენვად ყოვლისა საქრისტიანოსა“.

ქართველებს იერუსალიმი და მთლიანად პალესტინა დიდი ხნის განმავლობაში ეკავათ. ვახტანგ მეფემ ქალაქის დამცველად დატოვა თავისი მეომარი, რომლებიც სამუდამოდ იქ დასახლდნენ. დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი, რომელმაც წმიდა მიწაზე 1899 წელს იმოგზაურა, საგულისხმო ცნობებს გვაწვდის მათ შესახებ: „მახლობლად ჯვარის მონასტრისა, ესრეთ წოდებულ „ვარდის დელესა“, არის დაბა „მაღხა“, სადაც სცხოვრობს ექვსასი სული ორივე სქესისა; ამბობენ, რომ ვითომც ეს მცხოვრებნი არიან შთამომავალნი აქ გადმოსახლებულთა ქართველთა მეფე ვახტანგ გორგასლანის დროსა მეხუთე საუკუნეში, დასაცველად ჯვარის მონასტრისა მტერთა დაცემისაგან. მათ დაუვიწყებიათ მშობლიური ენა და სარწმუნოებაცა მამაპაპათა; მაგრამ გარდმოცემით იციან, რომ იგინი არიან შთამომავალნი შორეულ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულთა, და უწოდებენ თავის თავსა „გურჯებად“ – ქართველებად; და გარეშე მცხოვრებნი არაბნი ისე უყურებენ, ვითარცა მოსულსა უცხო ტომსა... იგინი იცავენ ჯვარის მონასტერსა და ემსახურებიან მას... სახითა, ზნეობითა და ჩვეულებითა იგინი განსხვავდებიან გარეშე მცხოვრებთა არაბის ტომისაგან“.

მირიან მეფის მიერ დაარსებულ ჯვრის საფანეს მრავალმა ქარტახილმა გადაუარა. იმის გამო, რომ ძლიერ გასაჭირში მყოფი საქართველოდან დახმარება აღარ მოდიოდა და პალესტინაში ქრისტიანების დევნამაც იმძლავრა, ჯვრის მონასტერი თანდათანობით დასუსტდა. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისისთვის იგი მთლიანად დანგრეულა. ამ დროისათვის ქართველები იერუსალიმსა და მის გარშემო არსებულ ეკლესია-მონასტრებში იყვნენ მიმოფანტული და არ არსებობდა მძლავრი კერა, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ღმრთის სადიდებლად და ერის სულიერი საგანძურის შესაქმნელად მიმართულ მათ საქმიანობას.

„ღმრთისა განგებითა იწყო შენებად მონასტრისა მახლობელად იერუსალიმს“

და აი, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ღირსი ექვთიმე მთაწმიდელის ლოცვა-კურთხევით და საქართველოს მეფის, ბაგრატ კურაპალატის, და მისი დედის, მარიამის, თანადგომით ღირსმა პროხორე ქართველმა აღაშენა ჯვრის მონასტერი „შესაკრებლად ქართველთათვის“. ღირსი პროხორე ჯერ კიდევ ყრმა იყო, როცა შავშეთიდან კლარჯეთს წავიდა

წყაროსთავის მონასტერში. როცა მისი სათნოებებით შემკული სული იხილეს, სავანის მამებმა ჯერ დიაკვნად დაასხეს ხელი, შემდეგ მონაზვნად აღკვეცეს და ბოლოს მღვდლად აკურთხეს. ამის შემდგომ იგი იერუსალიმში გაემგზავრა და მრავალი წლის მანძილზე საბა განწმენილის ლავრაში იღვწოდა. და აი, ღირსმა პროხორემ „ღმრთისა განგებითა იწყო შენებად მონასტრისა მახლობლად იერუსალიმს დასავალით კერძო, რომელსა უწოდიან ჯვარისა მონასტერი, და აღაშენა და განასრულა და შეამკო ეკლესიაჲ ყოვლითა სამკაულითა“. სავანის აღმშენებელმა მონასტერში შემოიკრიბა ოთხმოცამდე ძმა, რომელთა შორის ბევრი მწიგნობარი იყო, და დაუწესა მათ წმიდა საბას ლავრის მსგავსი ტიპიკონი. ღირსი პროხორე იყო ჯვრის სავანეში განადგობული სულიერი და შემოქმედებითი საქმიანობის სულისჩამდგმელი.

სიბერის ჟამს პროხორემ დატოვა მონასტერი და განმარტოვდა უდაბნოში, სადაც მალე გარდაიცვალა. ჯვრის მონასტრის – ქართველი ერისთვის ამ ერთ-ერთი უძვირფასესი სავანის აღმშენებელმა დაგვიტოვა გამოუთქმელი სიმდაბლის მაგალითი, როცა თქვა: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხორე, სახელად ოდენ მღვდელი, საქმითა არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდასა ამას ცხოველსმყოფლისა ჯუარისა ადგილსა“. ჭეშმარიტად, „საკვირველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა!“

აი, როგორ აღწერა ჯვრის სავანე დეკანოზმა პეტრე კონჭოშვილმა: „ჯვარის მონასტერს გარშემო ავლია ოთხ-კუთხიანი მკვიდრი გალავანი, დასაცველად და უშიშარ საყოფელად მონაზონთა თავს დასხმისაგან მტერთა და ავაზაკთაჲსა. მონასტრის ეკლესია მშვენიერის გუმბათით არის განათებული ზევიდამ; იატაკი მოფენილია მოზაიკითა ანუ ფერადის მარმარილოთი, რომელზედაც შესავალთან სტოვაში ეკლესიის კარებ წინ მოსჩანან ცხადად შავი ნიშნები – ვითარცა კვალნი სისხლისა აქ მოწყვეტილთა ქრისტეს სარწმუნოებისათვის მონაზონთა სარკინოზთაგან. მთელი კედლები ეკლესიაში არის დასურათებული მხატვრობითა ძველისა და ახალის აღთქმათა მოთხრობებითა...“

„მიიწია ესე და განამშვენიერა ჯვარის მონასტერი და სხვანი წმიდანი მონასტერნი ქართველთანი“

ოსმე გასაჭირის ჟამი დაუდგა წმიდა მიწას. 1071 წელს პალესტინა თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს. მათ ააოხრეს იერუსალიმი და დაარბიეს ჯვრის სავანე. დაიწყო ჯვაროსნული ომები. ლათინებმა იერუსალიმიდან განდევნეს მუსულმანები, მაგრამ ქრისტიანული სავანეებისთვის არც ეს აღმოჩნდა დიდად სახარბიელო. სიწმიდეები ჯვაროსნებმა მიიტაცეს. ამ დროისათვის ჯვრის მონასტერი ისევ გაძარცვული და ნახევრად დანგრეული იყო. მისი აღდგენა თავს-იღო საქართველოს დიდმა მეფემ, წმიდა დავით აღმაშენებელმა, რომელმაც იერუსალიმში ქართლის კათალიკოსი იოანე საფარელი და თავისი მოძღვარი არსენ იყალთოელი მიაველინა: „ესე არსენი... წარავლინა მეფემან დავით აღმაშენებელმან დიდითა საფასითა და წარსაკებლითა და მრავლითა ძვირფასითა ნივთითა იერუსალიმად შესაწირავად წმიდათა მათ ადგილთა. მიიწია ესე და განამშვენიერა ჯვარის მონასტერი და სხვანი წმიდანი მონასტერნი ქართველთანი...“ თავად ღირსი არსენი ჯვრის მონასტერში იყო აღზრდილი; ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ბერძნული, ასურული და არაბული, აქვე თარგმნიდა ქართულ ენაზე საღმრთო წიგნებს და განაგებდა იერუსალიმის ქართულ სავანეებს, „ჟამად იმყოფებოდა იგი წინაშე დავით მეფისა აღმაშენებლისა და ჟამად იერუსალიმად ჯვარის მონასტერსა შინა“.

1121-22 წლებში მაჰმადიანი ხალხების გაერთიანებულმა ძალებმა ომი წამოიწყეს საქართველოს წინააღმდეგ. მაჰმადიანებს მიზნად ჰქონდათ, ხერხემალში გაეტეხათ მეფე დავითი, რათა

თავისუფლად მოესპოთ ყველა ქრისტიანი პალესტინასა და ანტიოქიაში. მაგრამ აღსრულდა „ძღვევა საკვირველი“ – 80 ათასმა ქართველმა ღმრთის შეწევნით და წმიდა გიორგის ხილული თანადგომით დაამარცხა მტრის 600 ათასკაციანი ლაშქარი. ამ პერიოდში ქართველთა სულიერ ძლიერებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჯვრის მონასტერში აღზრდილი მოღვაწე, თეოდორე ქართველი, მცირე აზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქის, ნიკომიდის, ეპისკოპოსად აირჩიეს.

„ესრეთ დიადი იყო სახელი ქართველთა ერისა!“

ღმრთისმოქმადრე წინაპართა კვალობაზე წმიდა მეფე თამარიც ყურადღებას არ აკლებდა უცხოეთის, მათ შორის პალესტინის ქართულ საგანეებს: „საბერძნეთისა მთაწმიდისა, იერუსალიმისა და შავ-მთისა საყდარნი და ეკლესიანი, რომელნიმე დარღვეულნი აღაშენნა, რომელნიმე მათითა საფასითა დაიხსნა ხარკისაგან უცხოეთესლთასა“. ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით, თამარი არა მარტო თავისი სამეფოს, არამედ მთელი მართლმადიდებლური საქრისტიანოს კეთილდღეობაზე ზრუნავდა.

თამარმა გამეფებისთანავე უხმო თავისთან ნიკოლოზ გულაბერიძეს, რომელიც ადრე საქართველოს კათალიკოსი იყო, მაგრამ სიმდაბლის გამო მწყემსთავრის ტახტი დაუტევა და იერუსალიმს წავიდა. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ნიკოლოზმა შემოიკრიბა სამღვდლოება და ღმრთისმეტყველნი და, თამარის სურვილის მიხედვით, ეკლესიაში რეფორმა გაატარა – „მოწყალე იყო [თამარი], რათა მართლმადიდებლობას ზედა შემოთესილნი თესლნი ბოროტნი აღმოფხურნეს სამეფოსაგან თვისისა“. ამის შემდგომ ნიკოლოზი იერუსალიმის ჯვრის საგანეში დაბრუნდა და იქ აღესრულა.

აი, რას წერდა 1180 წელს იერუსალიმის ლათინი პატრიარქი ჟაკ დე ვიტრი ქართველთა შესახებ: „აღმოსავლეთში არის კიდევ ერთი ქრისტიანი ხალხი. ეს ხალხი დიდად მებრძოლი, ომში მამაცი, ტანად ძალოვანი და ძღვეამოსილია. ჰყავს ურიცხვი მეომარი, შიშის ზარს სცემს სარკინოზებს, თავდასხმებით ხშირად დიდ ზიანს აყენებს სპარსელებს, მედიელებს და ასირიელებს, რომელთა საზღვრებზეც სახლობს ურწმუნო ხალხებით გარშემორტყმული. ამ ხალხს Georgian-ებს უწოდებენ, რადგანაც განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობა და ეთაყვანება წმიდა გიორგის, ვინც თავის მფარველად და მედროშედ მიაჩნია ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში... უფლის საფლავის მოსალოცად მომავალნი წმიდა ქალაქში დროშებგაშლილნი შემოდინ და ხარკს არავის უხდიან. სარკინოები წყენინებას ვერ უბედავენ, რადგანაც შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავიანთ მეზობელ სხვა სარკინოებზე...“.

„...ასეთის ღირსებითა და პატივის ცემით მიიღებდნენ ქართველთა მლოცავთა, იერუსალიმს მიმავალთა, – ამბობს დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი, – შეიწყნარებდნენ მათ არა ქედმოდრეკილად მაჰმადიანთა წინაშე, არამედ პატივის-ცემით, ვითარცა ძღვეა-მოსილსა ერსა; დროშა-ბაირად გაშლილნი, სრულიად შეჭურვილნი, საომარის იარაღით მოსილნი თავიდგან ფეხამდის, ხარკ-გარდაუხდელად შევიდოდნენ ქართველნი იერუსალიმს, და ესრეთ დიადი იყო სახელი ქართველთა ერისა! ამავე დროს სხვათა ეროვნებათა ქრისტიანობის სარწმუნოების აღმსარებელნი ევროპიელნი, ანუ აზიელნი, საომარს იარაღს აიყრიდნენ, დაწესებულს ხარკს გარდაიხდიდნენ ფულითა, და შემდეგ ეღირსებოდნენ იერუსალიმში შესვლას და ლოცვასა“.

ასე, ყოველი სათნოებით აღასრულა თავისი ცხოვრება და დაკრძალულ იქნა ჯვრის მონასტრის დიდ ეკლესიაში

1187 წელს წმიდა მიწას უმძიმესი განსაცდელი დაატყდა თავს – ეგვიპტეში ჩამოყალიბებული ახალი დიდი მაჰმადიანური სახელმწიფოს მმართველმა, სალადინმა, აიღო იერუსალიმი, დაანგრია და წაბილწა მრავალი სიწმიდე. სალადინმა ქრისტიანული საგანეები გააუქმა, ჯვრის მონასტერი კი მისმა ჯარებმა დაიკავეს და გაძარცვეს. თამარმა დამპყრობელს ელჩი გაუგზავნა ქართული საგანეების დაბრუნების თხოვნით. სულთანმა ყურად-იღო თხოვნა და ქართველებს მონასტრები დაუბრუნა, ხარკი შეუმცირა და ქართველ ქრისტიანებს სხვადასხვა პრივილეგია მიანიჭა.

სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ჯვრის საგანეს შოთა რუსთაველის სახელი. თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „ესეცა საუწყებელ-არს, რომელ უკანასკნელ შოთა რუსთველმან დაუტკევა სოფელი ესე და ყოველივე დიდება და შეგება საწუთროსა ამის, და წარვიდა წმიდად იერუსალიმად და შევიდა მონასტერსა შინა ქართუელთასა... და განაახლა მონასტერი იგი შოთა რუსთველმან, რამეთუ ფრიადნი სიმდიდრენი შესწირნა მონასტერსა მას და ქრისტეს საფლავსა და ყოველთა მათ თვითოეულად ქართუელთა მონასტერთა, გინა სხუათა“. და იცხოვრა შოთამ ჯვრის მონასტერში თავის აღსრულებამდე, ფრიადი მოღვაწეობით, ქველისსაქმით, ლოცვით, მარხვით და გლახაკთა გამოზრდით. ასე, ყოველი სათნოებით აღასრულა თავისი ცხოვრება და დაკრძალულ იქნა ჯვრის მონასტრის დიდ ეკლესიაში, რომლის ერთ-ერთ სვეტზე არის კიდევ გამოსახული ღირსი მამების, მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის, ფეხებთან დაჩოქილი, მავედრებელი თეთრწვერა მოხუცის სახით. მის თავთან არის წარწერა: „რუსთველი“.

1229 წელს ჯვაროსნებმა კვლავ დაიპყრეს იერუსალიმი, მაგრამ ეს იყო ხანმოკლე გამარჯვება. თხუთმეტი წლის შემდეგ ეგვიპტის სულთნის მიერ დაქირავებულმა ხვარაზმელებმა ქალაქი აიღეს და ქრისტიან მოსახლეობას მუსრი გააგდეს.

1273 წელს მამლუქებმა შეის ხიდრის ბრძანებით ჯვრის მონასტერი დაარბიეს, ქართველებს ჩამოართვეს და მეჩეთად გადააკეთეს. მოწამეობრივად აღესრულა ჯვრის წინამძღვარი ლუკა მუხაიძე, რომელიც მომხდურთ არ შეეპუა და საგანის დაცვა მოინდომა. ძმებმა მხოლოდ ბიბლიოთეკის ნაწილის გადარჩენა მოასწრეს, მაჰმადიანთა ხელში დარჩენილი წიგნები კი განადგურდა ან დაიტაცეს.

დავითმა მეჩეთად გადაქცეულ ტაძარს ძველი პატივი აღუდგინა, შეაკეთა და ხელახლა მოახატინა

1299 წელს მონღოლთა ხანმა, ყაზანმა იერუსალიმზე გაილაშქრა. ლაშქრობაში ქართველთა ჯარიც იღებდა მონაწილეობას. გამარჯვების შემდეგ ყაზანმა იერუსალიმი ქართველებს უბოძა. შემდგომ წელიწადს იერუსალიმის ქრისტიანმა მოსახლეობამ შეძლო ედღესასწაულა აღდგომა. როგორც ჩანს, წმიდა ქალაქში ქართველთა განმგებლობა მცირე ხანს გაგრძელდა, რადგან ხუთიოდე წლის შემდეგ მეფე დავითმა, დიმიტრი თავდადებულის ძემ, ქაიროში ელჩები მიაგვლინა და სულთნისგან ჯვრის მონასტრის დაბრუნება ითხოვა. თხოვნა შეწყნარებულ იქნა. დავითმა მეჩეთად გადაქცეულ ტაძარს ძველი პატივი აღუდგინა, შეაკეთა და ხელახლა მოახატინა. იგი ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნში იხსენიება, როგორც „მეორედ აღმაშენებული წმიდისა მონასტრისაჲ, რომელმან სარკინოზთაგან წარტყუნული მონასტერი და ეკლესიაჲ მიზგითად შეცვალებული ეკლესიადვე სალოცველად შეცვალა და კუალად აგო ნათესავთა ქართველთასა“. დროის იმ მცირე მონაკვეთში, როდესაც ჯვრის საგანე ქართველთა

ხელთ იყო, მრავალმა ქართველმა მეფემ და დიდებულმა გაუწია მას შემწეობა, მონასტრის ძმობამ განაახლა სულიერი და შემოქმედებითი მოღვაწეობა. კეთილისმყოფელთა შორის იყო მეფე გიორგი ბრწყინვალე, რომელსაც თანამედროვენი „იერუსალიმის წმიდა ადგილების განმადიდებლად“ იხსენიებენ.

ეგვიპტის მამლუქები, რომელთა ბატონობა წმიდა მიწაზე მხოლოდ თურქთა მიერ მის დაპყრობამდე გაგრძელდა, ქართველთა მონასტრებს დიდად წყალობდნენ. მამლუქები წარმოშობით კავკასიელები იყვნენ, კავკასიელ მთიელებში კი ბევრი ნამდვილი ქართველი ერია. ისინი, რა თქმა უნდა, მაჰმადიანები გახლდნენ, მაგრამ გულში სამშობლოს სიყვარული არ ჰქონდათ გამქრალი. საქართველოც არ ივიწყებდა წმიდა მიწას და შეჭირვების მიუხედავად პალესტინის სავანეებს აუცილებელ დახმარებას მაინც უგზავნიდა.

ეს იყო ქართველების უკანასკნელი გაბრძოლება

1516 წელს პალესტინა თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს. მათ ქართველთა ეკლესია-მონასტრებს მაღალი გადასახადები დააკისრეს, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ქართულ სავანეებს. სამშობლოდან მიღებული დახმარება ვერ ფარავდა მათ ვალს და ამიტომ დროდადრო სამონასტრო ქონებას და მამულებს ყიდდნენ. საქართველოდან ჩასულ სასულიერო თუ საერო პირებს ოსმალები აპატიმრებდნენ და ფულს სძალავდნენ. მათ მიიტაცეს ჯვრის მონასტრის მამულები, მოკლეს იღუმენი გაბრიელი, იღუმენი მელეტი კი დიდი ხნის მანძილზე საპყრობილეში ჰყავდათ ჩაგდებული.

ქართული სავანეების მდგომარეობა თანდათან გაუსაძლისი ხდებოდა. და აი, დაუძღვრებულ და გადატაკებულ საქართველოში ჩნდებოდნენ ადამიანები, ვისაც ახსოვდა ფსალმუნის სიტყვები: „სახლსა შენსა შუენის სიწმიდე უფალო, სიგრძესა შინა დღეთასა“. მამია გურიელმა, ლევან დადიანმა, ქართლის მეფე თეიმურაზ I, ბაადურ და გარსევან ჩოლოყაშვილებმა, იმერეთის მეფეებმა გიორგი და ალექსანდრე III, ქაიხოსრო წულუკიძემ და სხვებმა არ დაიშურეს არც ძალისხმევა და არც მათ ხელთ არსებული სახსრები და მხარში ამოუდგნენ უამთა სიავისგან ძნელებელობაში მყოფ ქართულ მონასტრებს წმიდა მიწაზე.

მეჩვიდმეტე საუკუნის ორმოციან წლებში ჯვრის სავანის წინამძღვარი იყო ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, რომელმაც ოდიშის მთავრის ლევან დადიანის თანადგომით მონასტრის დანგრეული გალავანი და სენაკები ადადგინა და ტაძრის მოხატულობა საფუძვლიანად განაახლა. ამასობაში განუწყვეტელი შინაომებითა თუ გარეშე მტრების შემოსევებით გატანჯული და ცალკეულ სამთავროებად დაშლილი საქართველო სისხლისაგან იცლებოდა. შესაბამისად, პალესტინის ქართული სავანეების მდგომარეობაც თანდათან უიმედო ხდებოდა. 1684 წელს ქართლის მეფე გიორგი XI „წარგზავნა იერუსალიმს ორი ათასი თუმანი სახსრად გოლგოთისა და ჯუარისა მონასტრისა“ და ვალებში ჩავარდნილი მონასტრები მცირე ხნით დაიხსნა. ეს იყო ქართველების უკანასკნელი გაბრძოლება. მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს ჯვარიც და სხვა ქართული სავანეებიც იერუსალიმის ბერძენთა საპატრიარქოს ხელში გადავიდა.

„ვის ძალუმს ასეთი სამლოცველოების აშენება დღეს?“

აი, რას წერდნენ უცხოელი პილიგრიმები ჯვრის მონასტრის შესახებ:

„მშვენიერ მონასტერში მივედით, რომელსაც წმიდა ჯვრის ეკლესია ეწოდება. აქ იდგა ხე, რომლის ზრო ჯვრისთვის გამოიყენეს. უფრო მეტიც, აქ წმიდა ბარბარეს ხელსაც უჩვენებენ. ჩვენ აქ ვნახეთ ზარები, ერთადერთი მთელს ამ მიწაზე“ (ჰერცოგი ფრიდრიხ II, 1507 წ.).

„წმიდა ჯვრის მონასტერი, რომელიც ყოველთვის ქართველებს ეკუთვნოდა, მათ მიერვეა აშენებული. იქ სამასორმოცდახუთი შესანიშნავი სენაკი და თორმეტი სამლოცველოა. ვის ძალუძს ასეთი სამლოცველოების აშენება დღეს?“ (1586 წ.).

„იერუსალიმის გარეთ არის ადგილი, სახელად კალონი, სადაც ლოთმა სამი ხე დარგო. იქ ქართული მონასტერი დგას. ქართველი ბერები ძალზე ღმრთისმოსავნი არიან. თვითონ მუშაობენ თავიანთ მინდვრებსა და ზვრებში, ყველა უცხოელს იღებენ და ეხმარებიან“ (გაბრიელი, ნაზარეთის არქიეპოსკოპოსი, 1651 წ.).

„ვესტუმრეთ წმიდა ჯვრის მონასტერს... იქ შესვლა სამი კარიბჭიდან შეიძლება. ორი მათგანი რკინისაა, ერთი კი ხისა. ეკლესიაში იბერიელი მეფეების ფრესკებია... იატაკზე ახლაც ჩანს ეთიოპელთა მიერ დახოცილი ბერების სისხლის ლაქები. წირვის შემდეგ პატივი გვცვენ და მოგვემსახურნენ უკეთესად, ვიდრე იერუსალიმის პატრიარქის ეკლესიაში“ (ვ. ბარსკი, 1726 წ.).

ჯვრის მონასტერში მონაზვნური ცხოვრება გრძელდებოდა. 1739 წელს მას ჯერ კიდევ ქართველი წინამძღვარი ჰყავდა. მაგრამ სავანეში ქართველების რიცხვი თანდათან მცირდებოდა და მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს იქ ჩვენს თანამემამულეთაგან აღარავინ იყო. დაყარა ფარ-ხმალი მრავალგანსაცდელგამოვლილმა, მრავალ ჭირთან ნაომარმა ჯვარმა. დაეკარგეთ! დაეკარგეთ ჩვენივე ცოდვების, ღმრთის მცნებებისგან განდგომისა და ღმრთიებობებული საუნჯის – ჭეშმარიტი, მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი გულგრილობის გამო. ერთხანს მწვავე ტკივილს აყენებდა ქართველის გულს ეს ძვირფასი დანაკარგი, მერე ეს ტკივილი დაყრუვდა, მოსათმენი გახდა... ჩვენმა მშობლიურმა სავანემაც გაგვიუცხოვა, როგორც მოძულე ბულმა დეღამ. გაცივდა კერა, სადაც მრავალი საუკუნის მანძილზე გიზგიზებდა წმიდა პროხორეს მიერ დანთებული სულიერი კოცონი.

გადმოცემა უფლის პატიოსანი და ცხოველყოფელი ჯვრის ამადლების შესახებ

მეოთხე საუკუნის დასაწყისში რომის იმპერიაში მეფობდა მაქსენციუსი. იგი ბევრ ბოროტებას სწადიოდა: დევნიდა და აწამებდა არა მარტო ქრისტიანებს, არამედ კლავდა წარმართებსაც, ძარცვავდა მათ ქონებას და ბიწიერად ცხოვრობდა. სისასტიკისა და გარყვნილი ცხოვრების გამო იგი მთელ რომს სძულდა. ამიტომაც რომაელებმა იმუამად ბრიტანეთში მყოფ მეფე კონსტანტინეს საიდუმლოდ გაუგზავნეს თხოვნა, ჩამოსულიყო და მტანჯველისაგან ეხსნა ისინი. კონსტანტინემ ჯერ მისწერა მაქსენციუსს და მეგობრულად შეაგონა, უსჯულო ქმედებებისთვის ბოლო მოეღო. მაგრამ ამ უკანასკნელმა არათუ არ დაუჯერა მას და არ გამოსწორდა, უფრო გაბოროტდა და თავად კონსტანტინეს წინააღმდეგ აღმართა იარაღი, რადგან არ სურდა, რომ იგი მისი თანასწორი მეფე ყოფილიყო. კონსტანტინე მეფედ ხალხმა ერთსულოვნად აირჩია, მაშინ როცა მაქსენციუსი სამეფო ტახტზე თვითნებურად, ზოგიერთი დიდებულის მხარდაჭერით, ავიდა.

კონსტანტინემ ლაშქარი შეკრიბა და მაქსენციუსთან საომრად წავიდა. თუმცა ხედავდა რა თავისი ჯარის მცირერიცხოვნებას და მხედველობაში იღებდა მტრის მზაკვრულ ხრიკებს, წარმატებაში ეჭვი შეეპარა. მან იცოდა, რომ მაქსენციუსი ჯადოქრობისთვის დიდძალ სისხლს ღვრიდა და ეშმაკებს მრავალი ყრმა, ქალწული და ორსული ქალი დაუკლა თავისი ცრუ ღმერთების მოწყალე-საყოფად, და ეშმაკის ძალაც შეეწოდა მას. კონსტანტინემ იწყო ღოცვა ცისა და ქვეყნის განმგებელი ერთი ღმერთისადმი და ევედრებოდა, მიეცა მისთვის მტარვალზე გამარჯვების ნიშანი. და აი, როდესაც იგი მხურვალედ ღოცულობდა, შუადღისას ცაში ეჩვენა უფლის ჯვრის გამოსახულება მზის ნათელზე უფრო ძლიერად მბრწყინვალე ვარსკვლავის სახით; მასზე იყო წარწერა: „ძლევაა“ (ამით გაიმარჯვებ). ეს საკვირველი მოვლენა ყველა მეომარმა იხილა და გაოცდა. უმეტეს მათგანს კი შეეშინდა: წარმართთა შორის ჯვრის გამოსახულება იყო ბედუკუღმართობისა და სიკვდილის ნიშანი, რადგანაც ჯვარზე სიკვდილმისჯილი ავაზაკები და ბოროტმოქმედნი კვდებოდნენ. ამიტომაც მეომრებს ეშინოდათ, რომ ომი მათთვის ცუდად დამთავრდებოდა. თვითონ მეფე კონსტანტინე ძლიერ იყო შეშფოთებული. მაგრამ ღმერთის ძალის გამოცხადება თავად ქრისტე უფალი, კვლავ უჩვენა პატიოსანი ჯვრის ნიში და უთხრა:

– გააკეთე მსგავსება ამ ნიშნისა და ბრძანე, ლეგიონებს წინ წარუძღვანონ – მაშინ არა მარტო მაქსენციუსს, არამედ ყველა შენს მტერსაც დაამარცხებ.

მეფემ ხილვის შესახებ დაახლოებულ პირებს უამბო; შემდეგ დახელოვნებულ ოქრომჭედლებს უხმო და უბრძანა, ოქროს, მარგალიტებისა და ძვირფასი ქვებისგან გაეკეთებინათ უფლის პატიოსანი ჯვარი ზეცაში გამოცხადებული ნიშნის მსგავსად. ამასთანავე მან ყველა მეომარსაც უბრძანა, იარაღებზე, მუზარადებსა და ფარებზე გამოესახათ ჯვრის ნიში.

ორი მეფის ლაშქარს შორის ბრძოლა 312 წლის ოქტომბერში გაიმართა. უფლის ჯვრის ძალით მაქსენციუსი დამარცხებულ იქნა, მისი უამრავი მეომარი დაიღუპა, თვითონ კი გაქცევით უშველა თავს. კონსტანტინე მეფის მიერ დევნილი, იგი თავისივე აშენებული ხიდით მდინარე ტიბრზე გადადიოდა, როცა ხიდი ღმერთის ძალით დაინგრა და საბრალლო მტანჯველი თავის მხედრობასთან ერთად მდინარეში დაიხრჩო ძველი ფარაონის მსგავსად. კონსტანტინე ძლევაში იყო შევიდა რომში და ხალხი სიხარულითა და დიდი პატივით შეეგება მას. მეფე კი უადრეს მადლიერებას სწირავდა ღმერთს, რომელმაც პატიოსანი და ცხოველყოფელი ჯვრის ძალით მტანჯველზე გამარჯვება მიანიჭა; იმ ყოველადდიდებული გამარჯვების მოსახსენებლად

მან რომში ქვის მაღალ სვეტზე აღმართა ჯვარი, რომელზეც წააწერა: „ამ მხსნელი ნიშით ეს ქალაქი მტანჯველის უღლისგან განთავისუფლდა“.

სხვა დროს კონსტანტინემ გაილაშქრა მცირე ქალაქ ბიზანტიაზე, რომელიც დაარსა ვინმე ბერძენმა ბიზასმა იუდეველთა მეფის, მანასეს, ჟამს. მაგრამ მეფე მათთან ბრძოლაში ორგზის დამარცხდა და ძლიერმა მწუხარებამ მოიცვა. შემწუხრებისთანავე მან თვალები ზეცად აღაპყრო და იხილა ცაზე გამოსახული სიტყვები: „მხადე მე დღესა ჭირისა შენისასა და მე გიხსნა შენ და შენ მადიდო მე“ (ფს. 49, 15). შეშინებულმა ისევ ზედააპყრო თვალები და უწინდებურად იხილა ზეცაში ვარსკვლავებისგან შედგენილი ჯვარი და მის გარშემო წარწერა: „ამ ნიშით გაიმარჯვებ“. კონსტანტინემ ბრძოლაში წინ ჯვარი წარიძვანა, დაამარცხა მტერი და აიღო ქალაქი ბიზანტია.

მესამეჯერ, როდესაც კონსტანტინე მდინარე დუნაიზე სკვითებს ებრძოდა, ზეცაში კვლავ იხილა ეს მხსნელი იარაღი და ისევე, როგორც უწინ, მოიპოვა გამარჯვება.

ყოველივე ამის შემდეგ მეფემ გულისხმაყო ჯვარცმული ქრისტეს ძალა და ირწმუნა, რომ იგია ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი. მან თავის დედასთან, ელენესთან, ერთად ქრისტეს სახელით ნათელილო და დიდი კეთილმსახურების გამო ელენე იერუსალიმში უფლის პატიოსანი ჯვრის მოსაპოვებლად გაგზავნა. იერუსალიმში ჩასულმა დედოფალმა შემოიარა წმიდა ადგილები, კერპების ბიწისაგან განწმიდა ისინი და წმიდანთა მრავალი ნაწილი გამოიტანა დღის ნათელზე. მაშინ იერუსალიმის პატრიარქი იყო მაკარი, რომელიც დედოფალს ჯეროვანი პატივით შეხვდა. უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის პოვნის მიზნით ნეტარმა ელენემ ყველა იუდეველს უხმო და თხოვა, ეჩვენებინათ მისი დაფლვის ადგილი. მაგრამ მათ უარი განაცხადეს და თქვეს, რომ არაფერი იცოდნენ ამის შესახებ. და როდესაც დედოფალი მათ წამებითა და სიკვდილით დაემუქრა, იუდეველებმა უჩვენეს ერთი მოხუცი, სახელად იუდა, და უთხრეს, რომ მას შეეძლო ეჩვენებინა დედოფლისთვის ის, რასაც ეძებდა, რადგან იგი პატივცემული წინასწარმეტყველის ძე იყო.

თავდაპირველად იუდამ არ ისურვა, მიეთითებინა ადგილი, სადაც დაფლული იყო ჯვარი უფლისა. მაშინ ელენე დედოფალმა ბრძანა, ღრმა ხაროში ჩაეგდოთ იგი და ეშიმშილებინათ. რამდენიმე დღის შემდეგ მოხუცი გატყდა და დათანხმდა, ეთქვა ქრისტეს ჯვრის ადგილსამყოფელის შესახებ. იგი ხაროდან გამოიყვანეს და მისი მითითებით მივიდნენ ადგილზე, სადაც მიწისა და ქვებისაგან შექმნილი იყო მცირე ბორცვი. აქ რომის იმპერატორმა ადრიანეს ორი საუკუნით ადრე ქალღმერთ ვენერას პატივსაცემად აეგო წარმართული ტაძარი და მასში კერპი აღემართა. იუდამ აჩვენა, რომ სწორედ აქ იყო დაფლული ქრისტეს ჯვარი.

ელენე დედოფლის ბრძანებით საკერპო დაანგრიეს, ბორცვი დაშალეს და დაიწყეს თხრა. პატრიარქ მაკარის მიერ იმ ადგილზე ლოცვის აღვლენის შემდეგ ჰაერს კეთილსურნელება მოეფინა და მაშინვე, აღმოსავლეთის მხარეს, იპოვეს უფლის საფლავი და თხემის ადგილი, და მის მახლობლად დაფლული სამი ჯვარი, შემდეგ კი სამსჭვალნიც, რომლებითაც ჯვარზე მიამსჭვალეს უფალი. მაგრამ არავინ იცოდა, თუ რომელი იყო ქრისტეს ჯვარი. მოხდა ისე, რომ სწორედ იმ დროს დასაკრძალად მოასვენებდნენ გარდაცვლილს. პატრიარქმა მაკარიმ ჭირისუფალთ შეჩერება უბრძანა; ჯვრები რიგ-რიგობით დაადეს მიცვალებულს. როდესაც მას ქრისტეს ჯვარი დაადეს, მკვდარი მაშინვე აღდგა და უფლის ღვთაებრივი ჯვრის ძალით ცოცხალი წამოდგა. დედოფალმა სიხარულით მიიღო პატიოსანი ჯვარი, თაყვანი-სცა მას და ეამბორა, ისევე როგორც მასთან ერთად მყოფი მთავრები და დიდებულები. სივიწროვის გამო ყველამ ვერ შეძლო დაენახა და თაყვანი-ეცა წმიდა ჯვრისათვის და ითხოვეს, რომ შორიდან მაინც ეჩვენებინათ იგი მათთვის. მაშინ იერუსალიმის პატრიარქი მაკარი ყველაზე ამაღლებულ ადგილზე დადგა და ჯვარი აღამაღლა.

ხალხი კი გაიძახოდა:

– უფალო, შეგვიწყალებ!

სწორედ აქედან დაედო სათავე უფლის პატიოსანი ჯვრის ამადლების დღესასწაულს.

დედოფალმა თავისთან დაიტოვა უფლის ჯვრის პატიოსანი ძელის ნაწილი და სამსჭვალნი, ჯვარი კი ვერცხლის კიდობანში ჩაასვენა და პატრიარქ მაკარის გადასცა მომავალი თაობებისთვის შესანახად. იუდამ მრავალრიცხოვან ებრაელთან ერთად ირწმუნა ქრისტე და ნათელილო. წმიდა ნათლისღებით მას ეწოდა კვიროს; შემდგომში იგი იერუსალიმის პატრიარქი გახდა და იულიანე განდგომილის დროს მოწამეობრივად აღესრულა. წმიდა ელენე დედოფალმა ბრძანა, იერუსალიმის წმიდა ადგილებში აეგოთ ეკლესიები და უწინარესად ყოვლისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღდგომის ტაძარი, სადაც ნაპოვნი იქნა ქრისტეს საფლავი და პატიოსანი ჯვარი. შემდეგ კეთილმსახურმა დედოფალმა ბრძანა, აეგოთ მიძინების ტაძარი გეტსამანიაში, სადაც იმყოფებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფლავი. ნეტარმა ელენემ კიდევ თვრამეტი ეკლესია აღაშენა და სხვადასხვა ძვირფასეულობით შეამკო, რის შემდეგაც დაბრუნდა ბიზანტიაში.

მეფე კონსტანტინემ იერუსალიმიდან ჩამობრძანებული ცხოველმყოფელი ძელის ნაწილი ოქროს კიდობანში ჩაასვენა. უფლის სამსჭვალთაგან ერთი ელენე დედოფალმა ძლიერი ქარიშხლისა და ღელვის დასამშვიდებლად ადრიატიკის ზღვაში ჩააგდო, როდესაც იგი რომში ბრუნდებოდა, მეორე მეფემ თავის მუხარადში ჩაჭედა, მესამე თავისი ცხენის აღვირში ლაგამს მიაჭედა, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება ზაქარიასი: „მას დღესა შინა იყოს აღვირსა შორის ცხენისასა წმიდად უფლისად“ (ზაქ. 14, 20), მეოთხე სამსჭვალთა კი ელენე დედოფალმა შესანახად გადასცა მეფის უახლოეს მრჩევლებს. როგორც ცნობილია, მეფე კონსტანტინემ ეს სამსჭვალთა ახალნათელდებულ მეფე მირიანს გაუგზავნა საჩუქრად.

იერუსალიმიდან წმიდა ელენეს დაბრუნების შემდეგ ქრისტესმოყვარე მეფე კონსტანტინემ აღმართა სამი დიდი ჯვარი ბრძოლებში გამოცხადებული ჯვრების რიცხვის მიხედვით: ერთი რომში, როცა მდინარეში დანთქა მაქსენციუსი, მეორე ბიზანტიაში, როცა აიღო იგი, და მესამე – როცა დუნაიზე დაამარცხა სკვითები. ამ სამი გამარჯვების შესაბამისად მან ძვირფასი ნივთიერებებისაგან სამი პატიოსანი ჯვარი დაამზადა და მათზე ოქროს ასოებით წააწერა: **IC XC NIKA** (იესო ქრისტე ძლევა), ანუ **იესო ქრისტემ გაიმარჯვა**. მოწმობდა რა ყველას წინაშე ღვთისადმი თავის მომურნეობას და აჩვენებდა, რომ მტრები ჯვრის ძალით დაამარცხა, მეფემ ერთი ჯვარი აღმართა აღმოსავლეთ სავაჭრო მოედანზე ამადლებულ ადგილას, მეორე – ქალაქის მთავარ მოედანზე რომიდან ჩამოტანილი მეწამული სვეტის თავზე, ხოლო მესამე – პურის ბაზართან მარმარილოს მშვენიერ კვარცხლბეკზე, სადაც ქრისტეს წმიდა ჯვრის გამო მრავალი სასწაული და ნიში აღესრულებოდა. მრავალთა მოწმობით, იმ ადგილზე ღამით ზეცით გარდამოდიოდა ნათლითმოსილი უფლის ანგელოზი, კმევით გარს უვლიდა პატიოსან ჯვარს და ტკბილი ხმით გალობდა სამწმიდა საგალობელს, რის შემდეგაც კვლავ ზეცად ამადლდებოდა. ეს წელიწადში სამჯერ ხდებოდა: სექტემბრის თვეში ქრისტეს ჯვრის ამადლების დღესასწაულის დამეს, 7 მაისს იერუსალიმის ცაში უფლის ჯვრის გამოცხადების დღეს და დიდ მარხვაში ჯვრის თაყვანისცემის კვირას. ბევრი კეთილკრძალული და სიწმიდით მცხოვრები ადამიანი ხედავდა ანგელოზის გარდამოსვლას და ესმოდა მისი გალობა.

ამგვარია მართლმადიდებელი ეკლესიის გადმოცემა უფლის პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამადლების შესახებ.

ქართველები გოლგოთაზე

„პირველ ქრისტეანობიდან დაწყებული მე-18 საუკუნემდის ქართველებს პირველი ადგილი ეპყრათ გოლგოთაზედ“

ღმრთის სიყვარულით აღძრულმა ნეტარმა ელენე დედოფალმა ქრისტეს ჯვარი იპოვა 326 წელს. ამ მოვლენის აღსანიშნავად ეკლესიამ 14 (27) სექტემბერს დააწესა საუფლო დღესასწაული – მსოფლიო ამალეობა პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა. მანვე აღაშენა პირველი ეკლესია მაცხოვრის საფლაოზე და კურთხევისათვის მოუწოდა 300 ეპისკოპოსს. კურთხევა შესრულდა 13 (26) სექტემბერს და მის სამახსოვროდ დააწესეს დღესასწაული – ენკენია, ანუ ხსენება ქრისტეს აღდგომის წმიდა ტაძრის განახლებისა იერუსალიმში. ამ წმიდათაწმიდა ტაძრის ისტორია თავად გოლგოთაა: იგი არაერთგზის ააოხრეს მაჰმადიანმა დამპყრობლებმა, ხანგრძლივი დროის მანძილზე ეპყრათ ლათინ ჯვაროსნებს, და მაშინაც კი, როცა ტაძარი მართლმადიდებლების ხელში იყო, მისი დაუფლებისთვის შეუპოვრად იბრძოდნენ მწვალებლები – კათოლიკეები, მონოფიზიტები და სხვები, რასაც ქრთამისა თუ ძალადობის გზით ხშირად აღწევდნენ კიდევ. ასე, ტანჯვა-წამებით მოაღწია მან დღემდე.

აი, რა სახით იხილა და აღწერა მაცხოვრის საფლაო და გოლგოთა დეკანოზმა პეტრე კონტოშილმა 1899 წელს: „...ქრისტეს საფლაოი წარმოადგენს პატარა ეკლესიას, დიდს ტაძარში მდებარესა. ბერძნები უწოდებენ ამ ცხოველს-მყოფელ საფლაოსა უფლისასა „წმიდა კუფუკლიად“, რაიცა ნიშნავს განსასვენებელსა ანუ სამეფო საუნჯესა, რადგანაც აქ განისვენა სამი დღე ხორცითა, ვითარცა მკვდარმან, მაცხოვარმა კაცთა ნათესავისამ. შესავალი კარი მისი ძლიერ დაბალია, ასე რომ შესვლის დროს თავი უნდა მოიდრიკო სრულიად მუხლებამდე... მისი სიგრძე იმოდენია სივრცით, რამდენზედაც დაეტევა გაშლილი გვამი მიცვალებულისა; თავისუფალი ადგილი საფლაოსა და ქვაბის კედელს შუა შეადგენს ერთსა და ნახევარსა ნაბიჯსა. კედლის სარცელი, რომელზედაც განისვენებდა ყოვლად უხრწნელი გვამი იესო ქრისტესი, მდებარეობს მარჯვენა მხარეს შესავლიდან; იგი შემოსილია მარმარილოთი არა იმოდენ შევენებისათვის, რამდენადაც დასაფარავად თავგანისმცემელთა კეთილმსახურის წადილისაგან, რომელნიც მოსტეხავდნენ საფლავისაგან ნაწილებსა სახსოვრად. გარშემო ქრისტეს საფლაოის ქვაბისა ამოჭრით წარწერილია ტროპარი წმიდა იოანე დამასკელისა: „ვითარცა ნათლით შემოსილსა და ვითარცა უშვენირესსა სამოთხისასა, ესრეთ გიცნობთ შენ, რომელი გამოსჩნდი მსხნელად ყოვლისა სოფლისა, აღსდევ უბრწყინვალესი ყოველთა ნათელთა ქრისტე, ღმერთი ჩვენი, და გამოჰსჩნდა საფლაოი შენი, ვითარცა წყარო ჩვენისა აღდგომისა“.

ამავე ეკლესიის გუმბათს ქვეშ არის გოლგოთაც სამხრეთის მხრივ, ის ადგილი, სადაც ჯვარს აცვეს უფალი იესო ქრისტე; აქაც აღშენებულია სამწირველო ტრაპეზი მართლმადიდებელთაგან. აქვე ტრაპეზს უკან აღმართულია დიდი ჯვარი, ჯვარცმულის უფლისა იესო ქრისტეს ხატითა, გარემო მისა მდგომარენი სრულის ტანით მარჯვენით დედა ღმრთისა მგოდებელი და მარცხენით – საყვარელი მოწაფე ქრისტესი იოანე მწუხარე სახითა. ქვის გულიც შეძრწუნდება და მოვა ღმობიერებაში ამ სურათის ხილვით. მარჯვენით ტრაპეზისა მოსჩანს გაპობილი კლდე, რომელიც გასქდა იმ წამსა, რაჟამს უფალმან განუტევა სული. პატრიარქი და მღვდელმთავარნი გოლგოთაზედ სწირავენ უმიტროდ პატივსადებლად ამ ადგილზედ იესო ქრისტეს დამდაბლებისა. პირველ ქრისტეანობიდან დაწყებული მე-18 საუკუნემდის ქართველებს პირველი ადგილი ეპყრათ გოლგოთაზედ...“

ამ წვლილისათვის ბიზანტიის კეისარმა გოლგოთის ნაწილი უბოძა ბაგრატ კურაპალატს

ახლა კი მივყვეთ წმიდა საფლავის ეკლესიის ისტორიას, ისტორიას, აღსავსეს ნუგეშითა და ტკივილით. 614 წელს იგი მიწასთან გაასწორეს სპარსმა დამპყრობლებმა. ეკლესია მალევე აღადგინეს, მაგრამ 1010 წელს ეგვიპტის სულთანმა ჰაქემმა ის ისევ დაანგრია. ტაძრის აღდგენა დასრულდა 1048 წელს და მასში სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან ერთად საქართველომაც მიიღო ცხოველი მონაწილეობა. ამ წვლილისათვის ბიზანტიის კეისარმა გოლგოთის ნაწილი უბოძა ბაგრატ კურაპალატს, რომელმაც იქ ქართველი ეპისკოპოსი დანიშნა.

განსვენების უამი ხანმოკლე აღმოჩნდა. ოციოდე წლის შემდეგ პალესტინას თურქ-სელჩუკთა ურდოები შემოესივნენ და ხელთ იგდეს იერუსალიმის სიწმიდეები. ჯვაროსნებმა განდევნეს ისინი წმიდა მიწიდან, მაგრამ მცირე ხანში მაჰმადიანები მას ისევ იპყრობენ. ასე რომ, მეცამეტე საუკუნის ბოლომდე წმიდა საფლავის ტაძარს უსჯულონი ფლობდნენ და იქ მართლმადიდებლური ღმრთისმსახურება უადრესად გართულებული იყო.

1299 წელს ქართველებმა მონღოლებთან ერთად იერუსალიმი აიღეს და წმიდა ქალაქში გაბატონდნენ. სულ მალე იერუსალიმი კვლავ მამლუქების ხელში გადავიდა. არ ვიცით, გამოდევნეს თუ არა მათ ქართველები გოლგოთიდან, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ 1308 წელს ბიზანტიის კეისრის დახმარებით მათ ეგვიპტის მამლუქ სულთანს გოლგოთის სავანე თავიანთ კერძო საკუთრებად დაამტკიცებინეს. ცხრა წლის შემდეგ გიორგი ბრწყინვალის მიერ ეგვიპტის სულთანთან გაგზავნილმა ელჩმა მთლიანად წმიდა საფლავის ეკლესიის განთავისუფლებას მიაღწია. ამის შემდეგ ქართველები ასორმოცდაათი წლის განმავლობაში მშვიდობიანად ფლობდნენ ამ სავანეს და ყველა ქრისტიანს მათთვის უნდა ეთხოვა ქრისტეს საფლავზე ლოცვის ნებართვა. ეს მშვიდობა დაირღვა 1366 წელს, როდესაც კვიპროსის სომეხი მეფის ეგვიპტეში სამხედრო წარმატებით გათავსებულ სომეხები ქრთამის მეშვეობით გოლგოთას დაეპატრონენ და რამდენიმე წლით მოახერხეს მისი შენარჩუნება.

საინტერესოა, რას წერდნენ ამ პერიოდში უცხოელი პილიგრიმები ქართველთა შესახებ:

„ქართველებს აქვთ წმიდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეეღვევიან საფლავის ქვის უმცირეს ნატეხსაც კი“ (ლუდოლფ ზუდჰაიმი, 1347 წ.).

„წმიდა საფლავის ეკლესიაში... სადაც სამი ჯვარი აღმოჩნდა, ოცდაცხრა საფეხური ეშვება დაბლა და ძირში დგას ქვის დიდი სვეტი, საიდანაც მუდმივად ცვარი მოჟონავს. წმიდა საკურთხეველი აქ იბერიელებს ეკუთვნის“ (არქიმანდრიტი აგრეთენიოსი, 1370 წ.).

„ქართული წირვა იმართება გოლგოთაზე, სადაც ადამის თავის ქალა ძევს. გოლგოთის ძირში იბერიელთა მიწაა და იბერიელთა წირვები იმართება“ (დიაკვანი ეგნატე, 1391 წ.).

„ქართველები ასრულებენ წირვას გოლგოთის მთაზე, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს და სადაც ადამის თავის ქალა ძევს. გოლგოთის მთის ძირში იბერიელთა მიწაა, სადაც იბერიელები თავიანთ წირვას ასრულებენ“ (ეგნატე სმოლენსკელი, 1389-1405 წწ.).

„ნებითა ღმრთისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე...“

შემდგომში საუკუნე იყო ქართველებსა და სომეხებს შორის გოლგოთისათვის ბრძოლის საუკუნე. სომეხმა მონოფიზიტებმა რამდენჯერმე მიიტაცეს ეს უწმიდესი ადგილი, მაგრამ საქართველოს მეფის ალექსანდრე დიდის ძალისხმევით იგი ისევ უწინდელ მფლობელებს უბრუნდებოდა. მაგრამ მხოლოდ სომეხებს არ ეჭირათ თვალი გოლგოთაზე. მის დაუფლებას ცდილობდნენ კათოლიკეებიც, რომლებსაც ქართველებისთვის გოლგოთის წართმევა უცდიათ

1475 წელს, თუმცა წარუმატებლად. პაპისტებმა უკან არ დაიხიეს და მიაღწიეს იმას, რომ 1492 წელს ადგილობრივი სასამართლოს განაჩენით გოლგოთის თხემი გაიყო: ჩრდილოეთი ქართველებს დარჩა, სამხრეთი კი – ფრანგებს.

მაგრამ ჩვენი წინაპრების გულში ღმრთის რწმენა და სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ უფლის ჯვარცმის ადგილი ისე ადვილად არ ეთმობოდათ. საქართველოს ხელისუფალთა ძალისხმევით შედეგად 1511 წელს იერუსალიმში ჩასულმა ბენა ჩოლოყაშვილმა კათოლიკეები გოლგოთიდან გამოაძევა. თავად ბენა გვამცნობს: „ნებითა ღმრთისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყუელა გარეთ გამოუყარე – კანდელი და რაც მათი იყო მე ცოდვილმა ბენ. ამინ“. და როდესაც სამი-ოთხი წლის შემდეგ პაპისტებმა გოლგოთა ისევ მიიტაცეს, ამჯერად იგი ზოსიმე კუმურდოელმა გამოისყიდა, როგორც ჯვრის სავანის აღაპშია ნათქვამი: „მოვიდა ნაუასძე ზოსიმე კუმურდოელი... მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთა წაგუართუეს და მან დაიხსნა. და ერთი კანდელი გოლგოთას და ერთი ჯუარს დაუკიდეთ სამუდამო“.

ახლა კი ისევ პილიგრიმთა ცნობებს მოვუხმობთ:

„წმიდა საფლავის ეკლესიაში ქართველებს ეკუთვნის ის ადგილი, სადაც წმიდა ჯვარი აღმოჩნდა. ქართველებს ეკუთვნის გოლგოთის მთაც... მათია აგრეთვე სამლოცველო გოლგოთის მთის ძირში, იქ, სადაც კლდეში ნაპრალი გადის. ამ სამლოცველოს ღმრთისმშობლისა და წმიდა იოანე მახარებლის სახელი ჰქვია“ (იოჰან ტუხერნი, 1479-1480 წწ.).

„გოლგოთის ძირში ლამაზი ეკლესია დგას. იქ საკურთხეველის თავზე რვა კანდელია, ხოლო საკურთხეველის უკან – თორმეტი. ეს ეკლესიაც ქართველებს ეკუთვნის“ (მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისი).

„გოლგოთის მთასთან თავისუფლად შეიძლება მისვლა. მის კალთებზე და მწვერვალზე... ქართველთა ბევრი საცხოვრებელია“ (ჰერცოგი ფრიდრიხ II, 1507 წ.).

„წმიდა გოლგოთა, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს, კლდეზე მდებარეობს. აქ ორი ეკლესიაა. ერთი მწვერვალზე, მეორე დაბლა. ზევით ის ადგილია, სადაც ქრისტე აცვეს ჯვარს, ქვევით კი ის ადგილი, სადაც ადამი დაკრძალეს. ორივე ეკლესია ქართველებს ეკუთვნის“ (1517 წ.).

„...ამისთვის შური იშურვა სახლისა ღმრთისა საბაოთისათვის მარადის მოხსენებულმან მან მეფემან“

ხანმოკლე სიმშვიდის შემდეგ ისევ ტკივილისა და შფოთის ჟამი დაუდგა წმიდა მიწას. პალესტინა თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს და იწყეს ქრისტიანების შევიწროება და და მათი ეკლესია-მონასტრებისთვის მძიმე გადასახადების დაკისრება. ვინც ვერ გადაიხდიდა, მათ ტაძრებს ძარცვავდნენ და კეტავდნენ. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქართველებიც. და აი, კეთილმსახურმა ლევან კახთა მეფემ ქრისტეს საფლავის, გოლგოთისა და სხვა სიწმიდეთა დასახსნელად იერუსალიმში წარგზავნა ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იოაკიმე: „ღმრთისმოყვარესა მეფესა ქართველთა და კახთასა უფალსა ლეონს, რამეთუ ესმოდა რა ოხრად დაცარიელება წარმართთაგან წმიდისა სიონისა და საფლავისა ქრისტესისა და არარა ზრუნვა დაედგათ გულსა მისთვის არცა ბერძენთა, არცა რუსთა და ფრანგთა, ამისთვის შური იშურვა სახლისა ღმრთისა საბაოთისათვის მარადის მოხსენებულმან მან მეფემან და მრავალი საფასე წარაგო, და იოაკიმ ჯვარის მამა ქართველი წარმოავლინა წინაშე მთავართა და შიხთა არაბთასა, და ადავსო საფასითა ივინი და ადაშენა საფლავი ქრისტესი და გოლგოთა და განწმიდეს შეგინებული წარმართთაგან წმიდანი ეკლესიანი, და იწყეს წესისამებრ ქრისტიანეთასა დღესასწაულობა სიონს, მთასა წმიდასა უფლისასა“. ქართველ მღვდელმთავარს, ტიმოთე გაბაშვილს, თავისი თვალთ უნახავს, რომ გოლგოთაზე იერუსალიმის პატრიარქის

ტახტის საფერხე ქვაზე ქართულად ეწერა: „მეფემან ქართველთა და კახთამან ლეონ წარმოავლინა იოაკიმ ჯვარის მამა საფასითა და საფლავი ქრისტესი და გოლგოთა მან აღაშენა“. ჯვრის მონასტრის წინამძღვარმა ეს საღმრთო საქმე განასრულა 1536 წელს.

ამასობაში კი სამთავროებად დაშლილ საქართველოს თანდათან ძალ-ღონე ეცლებოდა და იერუსალიმის ქართულ სავანეებსაც სულ უფრო უჭირდათ გადარჩენისათვის ბრძოლა. ქართველები ძლივს უმკლავდებოდნენ ფრანცისკანელებისა და სხვათა სწრაფვას წმიდა ადგილების დაუფლებისათვის. 1577 წელს იმერეთის მეფე გიორგი II და გურიის მთავარმა გიორგი გურიელმა სტამბოლში სულთანთან ელჩი გაგზავნეს საჩივრით: „ქართველთა გვარტომს იერუსალიმში ძველთაგანვე თითო-თითო სალოცავი ადგილი ჰქონდა. ქართველები მიწვივ მიდიოდნენ და ასე თაობიდან თაობამდე ლოცულობდნენ. ახლა კი ფრანცისკანელებმა... და სომხებმა... სხენებული სალოცავი ადგილები ქართველი მოდგმის ბერებს წაართვეს, ძალმომრეობენ და ავიწროებენ“. მაგრამ ქართველ ხელისუფალთა ძალისხმევამ მხოლოდ მას შემდეგ გამოიღონა ყოფი, რაც საქმეში ჩართეს იმ დროის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და თურქების მიერ პატივცემული კახეთის მეფე ალექსანდრე II, და ელჩობიდან ორი წლის შემდეგ გოლგოთისა და ქრისტეს საფლავის სავანე ქართველ ბერებს გადაეცა.

ენახოთ, რას წერდნენ უცხოელი მომლოცველები ქართველებზე ამ შუალედში:

„იმ ადგილზე, სადაც ღმრთისმშობელი და წმიდა იოანე ღმრთისმეტყველი იდგნენ და ჯვარცმულ ქრისტეს უმზერდნენ, ქართველები ასრულებენ წირვას“ (ნიკოლოზ ანაგნოსტი, 1542 წ.).

„საუცხოო ქალაქ ტრაპიზონიდან, რომელიც ევქსინის ზღვაზეა, იწყება ქართველთა ქვეყანა. იგი გადაჭიმულია აღმოსავლეთით, ვიდრე სომხეთამდე. ქართველები კეთილნი და უბრალონი არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა ძლიერი და შეუპოვარი მეომრები გახლავთ... იერუსალიმში აქვთ თავიანთი ადგილები, სადაც გალობენ და წირვას ასრულებენ, კერძოდ, გოლგოთას მთის ეკლესიაში ჩვენი მეუფის იესო ქრისტეს საფლავის ახლოს, იქ, სადაც იგი პირველად წარუდგა მარიამ მაგდალინელს მებაღის სახით თავისი ადღგომის შემდეგ“ (ლეონჰარდ როიხვოლფენი, 1573 წ.).

„ჯვრის (გოლგოთის მთა) საკურთხეველთან ლათინ მოძღვრებს სრულიად აკრძალული აქვთ წმიდა დღესასწაულების აღნიშვნა, რადგანაც ბერძნული რიტუალის მიმდევარი ამ საკურთხეველის მფლობელი ქართველი ბერები ამის უფლებას არ აძლევენ... ისინი გოლგოთის ეკლესიაში წირავენ და ამ სახლისა და გოლგოთის მთის სხვა სამლოცველოს გარდა ამჟამად მთის ნახევარსაც ფლობენ“ (იოანე კოტოვიკო, მეოთქესმეტე საუკუნის დასასრული).

„გოლგოთის მთა: ეს სამლოცველო ყველაზე ლამაზია და ეკუთვნის ქართველებს; იქ მათ ორმოცდაათი კანდელი უნთიათ...“ (მარტინუს სეუსენიუსი, 1602-1603 წწ.).

„თუ იერუსალიმი დაგეკარგვიან, რადა სჯული და ან რასღა პირჯვრის წერა გექნებათ...“

გოლგოთის სავანეში მრავალსაუკუნოვანი მკვიდრობის შემდეგ დადგა უამი, როდესაც ქართველები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ადგილი, სადაც ღმრთის მოწყალებამ განბანა ცოდვით განხრწნილი ადამის მოდგმის წყლულები და ზეცად აღამაღლა. საკვირველია, როგორ შეიყვარა ქართველმა ხალხმა უფალი, რომ მისგან ესოდენი მაღლი ებოძა – ამ ერთი ციდა ერის შვილები საუკუნეების მანძილზე ფლობდნენ გოლგოთის მთის, ამ მართლაცდა სამყაროს გულის კლიტეებს და ამ წმიდათაწმიდა ადგილიდან სწირავდნენ ღმერთს მსხვერპლს ლოცვისა და წმიდა ზიარებისა „მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა, კეთილად დგომისათვის წმიდათა

ღმრთისა ეკლესიათა და ყოველთა ერთობისათვის“ ჭეშმარიტ სარწმუნოებაში. და აი, მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში ქართველებმა მიატოვეს გოლგოთა და ჯვრის მონასტერში გადასახლდნენ, რათა ოსმალთა მიერ დაკისრებული მძიმე გადასახადებისათვის თავი დაეღწიათ. დიდი გულისტკივილით წერდა „გოლგოთას მდგომი“ მონაზონი მართა დასავლეთ საქართველოს კათალიკოს გრიგოლს (1696-1742): „ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასე დაკარგეთ?... ნუ იქთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს. ყოველი სული ამისთვის კვლების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშოვნოს და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ! ეს წმიდა ადგილი სრულიად ქართველის ყოფილა და ესლა ლამის რომ სულ გამოვვარდეთ... თუ იერუსალიმი დაგეკარგვიან, რაღა სჯული და ან რასღა პირჯვრის წერა გექნებათ...“

მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებში აღდგომის სავანე ტიმოთე გაბაშვილმა მოილოცა და იქ ვერც ერთი თანამოძმე ვეღარ ნახა. გულისტკივილით წერდა ქართველი მღვდელმთავარი: „რამეთუ მეფეთა საქართველოსათა სახელოვანთა ხმლითა მით ძლიერთა აღიმადლნეს ხმანი მათნი და ტყვექმნილი ქრისტეს საფლავი სპარსთა და თურქთა წარუხვნეს, გამოიხსნეს და დაიპყრნეს და აღაშენნეს ესე წმიდანი ადგილნი და ესეოდენნი მონასტერნი სულისა მათისა საოხად და შემდგომთა ნათესავთა დაუუნჯნეს საუნჯედ წარუპარველად და საქართველოთა შინა აგარაკნი და სოფელნიცა შესწირნეს.“

ხოლო წმიდათა მამათა ჩვენთა ქართველთა სასოებად ამა ადგილსა ხორცნი განლინეს მოღვაწეობითა აქა და სისხლი დასთხივნეს ამა საკვირველთა ადგილთა.

სხვათა თარგმანება საღმრთოთა სჯულთა აქეთგან მოიღეს და აღასრულნეს, ორისავე სოფლისა სულთა და ხორცთანი დიდებისა და ბრწყინვალეებისა მომატყვებელნი.

აწ განცვიფრებულ ვარ დიდად, თუ რასათვის უგულებელს ყვნეს ქართველთა დიდნი ესე და წმიდანი ადგილნი და ანგელოზთაცა თაყვანისაცემელი. მრავალნი მეფენი ქრისტიანენი იღვწიან და ყოველი სოფელი ქრისტიანობა, რათამცა ადგილი იქონიეს აქა აღსანთებელი კანდელთა და ტრაპეზი მსხვერპლის შესაწირავი, არამედ არა ეპოვებათ. არამედ სრულიად ქართველთა არს, და მათი კანდელნი და მოხსენება არს ამათ შინა, და მათ ნეტართა აღუშენებია.

რასათვის ერთი ვინმე მათი მღვდელი არ იყოფების აქა?... ვინათგან მოკვდავნი ვართ, ამის უბრწყინვალეს ალაგს სად ეპოვებთ და სად მოიხსენებოდეს ჩვენი სული?! ანუ რასათვის დაუგდიათ ესოდენი ჭირნახული?“

რატომ დაკარგეთ ქართველებმა გოლგოთა? განა მართლაც გადასახადების სიმძიმემ გვაიძულა, სამუდამოდ მიგვეტოვებინა ეს წმიდათაწმიდა ადგილი? განა უარესი დროება არ ახსოვს გოლგოთის სავანეს, როდესაც მას ძლევა მოსილი დამპყრობნი თუ მზაკვარი მწვალებელნი ეუფლებოდნენ და მტკიცედ იკიდებდნენ იქ ფეხს? ქართველნი კი მაინც ახერხებდნენ მის დაბრუნებას! მაშ რაშია საქმე? საქმე ის არის, რომ სანამ ქართველი ერისთვის ღმერთი და მისი მცნებები იყო უმაღლესი ფასეულობა, რომელსაც იგი არაფერზე გაცვლიდა და მზად იყო რწმენისათვის სისხლიც კი დაეთხია, მანამ ღმერთიც სწყალობდა მას და პატარა საქართველოს შვილებს ამყოფებდა იმ ადგილზე, სადაც თავად განკაცებულმა ძემ ღმრთისამ ჯვარზე ვნებით სასუფეველის ბჭენი განუღო შეცდომილი ადამის მოდგმას; მაშინ როცა დიდ და ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოებს სწყუროდათ იქ დამკვიდრება. მაგრამ როგორც კი ქართველთა შორის თანდათან განეღდა რწმენა და სიყვარული ღმრთისა, ქართველმა კაცმა ზეცას მოწყვიტა მზერა და მიწას მიეჯახკვა, მაშინვე მოგვაკლდა წყალობა ღმრთისა და დაგვარგეთ არა მარტო წმიდა ადგილები იერუსალიმში, არამედ სულ მალე – სახელმწიფოებრიობაც, მეფის ტახტი და ეკლესიის ავტოკეფალია. ჟამთააღმწერლის მართებული შენიშვნით, „დავივიწყეთ ღმერთი და ღმერთმანცა სამართლად დაგვივიწყა“. ნეტავ ვისწავლით ჩვენს წინაპართა შეცდომებზე თუ ისტორიის გაკვეთილი ფუჭად ჩაივლის?!

სიტყვა უფლის პატიოსანი და ცხოველყოფელი ჯვრის ამაღლებაზე

მალიღებთ ჯვარს და მთელი ეკლესია დიდების ელვარებით ივსება. ვადიდებთ ჯვარს და მთელ მსოფლიოს სიხარულის შარავანდედი ეფინება. ვადიდებთ ჯვარს და იფანტება ბნელი და გამობრწყინდება ნათელი.

ჯვარი ამაღლება და ეშმაკის ბოროტის ძალა, დამარცხებული, დაემხო და შეიმუსრება. ჯვარი ამაღლება და ყველა მორწმუნე შემოიკრიბება. ჯვარი ამაღლება და ქალაქები დღესასწაულობენ და ხალხები ზეიმობენ.

მარტოოდენ გახსენება ჯვარისა ცხოველყოფელ სიხარულს ბადებს და მძიმე გასაჭირს გვიმსუბუქებს. ჯვარზე შეხედვა სიამაცეს განიჭებს და შიშს განდევნის.

ვინც მოიპოვა ჯვარი, მან მოიპოვა საუნჯე. თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ საუნჯეში ვგულისხმობ ინდოეთის ოქროსა და ძვირფას ქვებს, ამოებით გატაცებულ ადამიანებს რომ ხიბლავს. არა. ჩემი აზრით, ყველაზე ძვირფასი და საუკეთესო საუნჯე, მთელი სამართლიანობით, არის ჯვარი, რომელზეც აღმართულია ჩვენი ხსნის შენობა. რომ არ ყოფილიყო ჯვარი, ქრისტესაც არ აცვამდნენ ჯვარს, არ გაიდებოდა ჩვენთვის სამოთხე და ავაზაკი არ გახდებოდა სამოთხის მკვიდრი. რომ არ ყოფილიყო ჯვარი, არ დაითრგუნებოდა სიკვდილი, არ განშიშვლდებოდა ჯოჯოხეთი და არ მოიკვლებოდა ბოროტი გველი. ამიტომაც ჯვარი დიდი და ძვირფასი საუნჯეა. დიდი იმიტომ, რომ მისი მეშვეობით განცხადდა დიდი ქველმოქმედებანი. ძვირფასი იმიტომ, რომ ჯვარი ქრისტეს ვნებებისა და გამარჯვების ნიშანია. ვნებებისა – რადგან მან თავისი ნებით იხილა მასზე გემო სიკვდილისა. გამარჯვებისა – რადგან დამარცხდა ეშმაკი, იძლია სიკვდილი, შეიმუსრა ჯოჯოხეთის ბჭენი და ჯვარი შეიქნა საყოველთაო ხსნა მთელი მსოფლიოსათვის.

ჯვარი არის ქრისტიანთა სასოება, სასოწარკვეთილთა მსხნელი, მშფოთვარეთა ნავთსაყუდელი, უძღურთა მკურნალი, ვნებათა განმდევნელი, სიმრთელის მომნიჭებელი, დასაღუპად განწირულთა ცხონება.

ჯვარი არის იარაღი მტრის წინააღმდეგ, მეფობის კვერთხი, მშვენიერების გვირგვინი, რწმენის ბურჯი, ბრმათა წინამძღვარი, ბნელში მსხდომთა ნათელი, უმეცართა მოძღვარი, ჭაბუკთა მასწავლელი, ყრმათა მიმხედველი, ჩვილთა გამზრდელი, ცოდვის დამთრგუნველი, სინანულის მახარობელი, სიმართლის მქადაგებელი.

ჯვარი არის კიბე ზეცად აღმავალი, ცხონების საწინდარი, სიკვდილი სიკვდილისათვის, კადნიერება ღმრთისადმი, კლიტე ცათა სასუფევლის. ჯვარი არის გუშაგი ღამით, სიმტკიცე დღისით, სიხარულში შემკავებელი, მწუხარებაში გამამხნეველებელი, გულის მომალობელი, შემარიგებელი, მებრძოლი, დამცველი, მფარველი.

ჯვარი არის ქერივთა მეოხი, ობოლთა მფარველი და გამომზრდელი. ჯვარი არის მმართველთა ღირსება, მეფეთა სიმტკიცე, წინამძღოლთა გამარჯვება, ქალწულების ბეჭედი, ცოლქმრობის კავშირი. ჯვარი არის ქალაქების მცველი, საცხოვრებელთა მფარველი, მეგობრების შუამავალი, მტრებზე შურისმაძიებელი.

ჯვარი არის სიყვარულის მეუფე, სოფლის დამამშვიდებელი, – მოკლედ რომ ვთქვათ: ჯვარი არის ქრისტეს ვნებათა თავი, ჩვენთვის აღსრულებული სასწაულების გვირგვინი.

ამიტომაც ჯვარი იწოდება ქრისტეს დიდებად და ქრისტეს სიმაღლედ. იმის შესახებ, რომ ჯვარი შეადგენს ქრისტეს დიდებას, თავად ქრისტესგან მოისმინე. იგი ამბობს: „აწ იდიდა ძე კაცისაჲ, და ღმერთიცა იდიდა მის თანა... და მეყსეულად ადიდოს იგი“ (იოვან. 13, 31-32). ასევე: „და აწ მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა წინაშე შენსა უწინარეს სოფლის დაბადებისა“ (იოვან. 17, 5). და კიდევ: „მამაო, ადიდე ძე შენი. მოიწია მისა

ხმა ზეცით: და ვადიდე და კუალადცა ვადილო“ (იოვან. 12, 28). აქ ქრისტე საუბრობს იმ დიდებაზე, რომელიც თან ახლდა მის ჯვარს, ანუ მისი ჯვარცმისას მთელი ბუნების ძრწოლასა და ტანჯვაზე. რამეთუ საჭირო იყო, რომ ქმნილებებს თანაეგრძნოთ შემოქმედისთვის. იმის შესახებ კი, რომ ჯვარი შეადგენს ქრისტეს სიმაღლესაც, მოისმინე, რა თქვა ქრისტემ: „და მე ოდეს ავმადლდე ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა“ (იოვან. 12, 32). და სხვაგან: „და ვითარცა-იგი მოსე აღამადლა გუელი იგი უდაბნოს, ეგრეთ ჯერ-არს ამადლება ძისა კაცისა“ რატომ? „რათა ყოველსა რომელსა პრწმენეს იგი, არა წარსწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორება საუკუნოდ“ (იოვან. 3, 14-15). ხომ ხედავ, რომ ჯვარი შეადგენს დიდებას და სიმაღლეს ქრისტესას. თუკი ქრისტეს ჯვარი არის დიდება, მაშ დღესაც ჯვარი იმიტომ ამადლდება, რომ იდიდოს ქრისტე. ქრისტე კი იდიდება, რათა თავისთან ერთად ჩვენც აღგვამადლოს.

ამიტომ, როდესაც ამადლდება ჯვარი, მაშინ მასთან ერთად ამადლდება კეთილმსახურთა სულებიც. იდიდება ქრისტე და მასთან ერთად იდიდება მისი მადიდებელნიც. ამადლდება ჯვარი და აღადგენს დაცემულებს.

მას შემდეგ, რაც ქრისტეს ჯვარი არსებობს, თაყვანის-იცემება ქრისტე. ქრისტეს ჯვრის დროიდან ჩვენ შევიცანით ძე ღმრთისა. ქრისტეს ჯვრის დროიდან თაყვანს-ვცემთ ძეს მამასთან ერთად. ქრისტეს ჯვრის დროიდან იუდეველთა წეს-ჩვეულებები გაუქმდა, წარმართობა დაეცა, ქრისტიანობა დიდებით შეიმოსა, ჰაერი განიწმინდა. ქრისტეს ჯვრის დროიდან ჩვენ ვისწავლეთ რწმენა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა და უარყვავით წარმართული მრავალღმერთიანობის დამღუპველი ბოდვა. ქრისტეს ჯვრის დროიდან სიკვდილს არად ვაგდებთ, კერპები შეიმუხრა, ცხოველების მსხვერპლად შეწირვა შეწყდა, ეშმაკები განიდევნა, ბომონები საფუძვლამდე დაინგრა. ყველგან ეკლესიებია, საკურთხეველები, გალობა, ღვთისმსახურება.

მაგრამ რად ვილაპარაკოთ ბევრი? ქრისტეს ჯვრის დროიდან ადამიანები ანგელოზებთან ერთად ცხოვრობენ, ზეცა ღიაა მიწის შვილებისათვის და ღმერთი მყოფობს და დაემკვიდრება კაცთა შორის.

ჰოი, ჯვარო, ქრისტეს და ჩვენო მრავალ-განთქმულო სიქადულო! ჰოი, ძელო დიდებულო, რომელზეც განერთხა ქრისტე! ჰოი, ჯვარო, რომლის მიერ წარისოცა ცოდვის ხელითწერილი! ჰოი, ჯვარო, უთვალავი წყალობის საუნჯეო, სამოთხისადმი წინამძღვარო, სასუფეველის მეკლიტულო, ცოდვათაგან განმხსნელო, ძლევათა მომნიჭებელო!

ქრისტემ, შენზე მიმსჭვალულმა, ზეცაში მიმავალ კიბედ გაქცია. ქრისტემ, შენზე განრთხმულმა, ცოდვით შეკრულთა ბორკილები განხსნა. ქრისტემ, შენზე ნებისით ამადლებულმა, თავისთან ერთად სოფელიც აღამადლა. სწორედ ეს ჯვარი ქრისტესი შეიქნა ჩვენთვის ყველა კურთხევის წყარო.

თაყვანი-ეცით ჯვარს, რადგან მისი მეშვეობით შევიცანით უფალი. ჯვარი თაყვანსაცემია, რადგან კურთხეულია მასზე ჯვარცმული. ჯვარი თაყვანსაცემია, რადგან მისი მეშვეობით ვიხილეთ გემო ცხონების სიტკბოებისა. კურთხეულია ხე: მასზე ღმერთი ხორციტ განერთხა. კურთხეულია ხე: მისი მეშვეობით ავაზაკი სამოთხეში შევიდა და ამ ხისგან გემოს ხილვამ ძველად ნაგემი სიმწარე აღხოცა.

განა შეიძლება რაიმე იყოს უფრო მშვენიერი? სავანე, რომელიც დახშა ცდუნებულმა ადამმა, გააღო კეთილგონიერმა ავაზაკმა; საიდანაც ადამი განიდევნა, იქ მოუწოდეს ავაზაკს.

მაშ, აღიმადლეთ დღეს ხმა და შესწირეთ დიდება და თაყვანისცემა ქრისტეს ძეს ღმრთისას. „ყოველი თესლები, რაოდენი ჰქმენ, მოვიდენ და თაყვანის-გცენ წინაშე შენსა, უფალო, და აღიდებდენ სახელსა შენსა. რამეთუ დიდ ხარ შენ, და მოქმედი საკვირველებათა, შენ ხარ ღმერთი მხოლოდ“ (ფსალ. 85, 9-10).

წმიდა ანდრია კრიტელი

მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლა უფლის საფლავზე

ძრისტუმს ბრწყინვალე აღდგომის წინ, დიდ შაბათს (ძველი სტილით) უფლის საფლავზე მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლა საკვირველი მტკიცებაა მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებისა და დიდებულებისა. ცეცხლს საუკუნეების მანძილზე მხოლოდ იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი ან მისი მოსაყდრე იღებს, რადგან მღვიმეში მხოლოდ მისი შესვლისას გადმოდის მადლმოსილი ცეცხლი.

უნივთო ცეცხლმა, მოციქულთა და წმიდა მამათა მოწმობით, ჯერ კიდევ აღდგომისას განაბრწყინა უფლის საფლავი. წმიდა გრიგოლ ნოსელი წერს: „პეტრე ხედავდა არა მარტო ხორციელი თვალით, არამედ მოციქულებრივი გონებითაც – მაცხოვრის საფლავი ავესო ნათელს, და თუმცა ღამე იყო, ორგვარი ხედვით ჭერეტდა – გრძნობიერად და სულიერად“. წმიდა იოანე დამასკელი წერს: „პეტრე დადგა საფლავთან და შეძრწუნდა მხედველი ნათლისა“.

პირველი ცნობა მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლის შესახებ ეკუთვნის მეოთხე საუკუნის გამოჩენილ ისტორიკოსსა და სასულიერო მოღვაწეს ევსევი კესარიელს. მეოთხე საუკუნეში ელენე დედოფალმა უფლის საფლავზე ტაძარი ააგო და კურთხევისთანავე ღმერთმა ზეციური ცეცხლი გარდამოავლინა მასში.

გადმოცემით, სალაღინის მმართველობის დროს თვით ხალიფაც კი მისულა დიდ შაბათს აღდგომის ტაძარში სანთლებით ხელში მადლმოსილი ცეცხლის მისაღებად. მაჰმადიანები მას ზეციურ ცეცხლს უწოდებენ და სიწმიდედ აღიარებენ. მხოლოდ კათოლიკეებს არ სჯერათ, რომ ეს ღმრთისგან ბოძებული სასწაულია.

დიდ შაბათს დილიდანვე აღდგომის ეკლესიაში თავს იყრის ურიცხვი ხალხი, რომელთა უმეტესი ნაწილი ადგილობრივი და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მართლმადიდებელი ქრისტიანია. ტაძარში ყველა კანდელსა და სანთელს ჯერ კიდევ დიდ ხუთშაბათს აქრობენ. მაცხოვრის საფლავზე დგამენ ზეთით სავსე ჩამქრალ კანდელს, საფლავის კიდეებზე ავლებენ ბაფთას და მთელ მის ზედაპირზე შლიან ბამბის ფთილებს. კუვუკლიის კარს პოლიციის თანხლებით ბეჭდავენ და დიდ შაბათამდე ასე ტოვებენ.

დიდშაბათის ცისკრის დაწყების წინ უძველესი დროიდან დამკვიდრებული წეს-ჩვეულების თანახმად მართლმადიდებელი არაბები კუვუკლიას სამგზის შემოუბრუნენ გარშემო და სიხარულით ხმამაღლა გაჰყვირიან: „არ არის სხვა სარწმუნოება, გარდა მართლმადიდებელი სარწმუნოებისა!“ ტაძრის საკურთხეველში იკრიბება მართლმადიდებელი სამღვდელოება იერუსალიმის პატრიარქის წინამძღოლობით. განსაზღვრული დროის დადგომისას სამეფო კარი იღება და პატრიარქი სამღვდელოების თანდასწრებით მიემართება უფლის საფლავისკენ გალობით: „აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა, და ჩვენცა ქუეყანასა ზედა ღირს-მყვენ წმიდითა გულითა დიდებად შენდა!“

სადმართო კრება სამჯერ შემოუვლის გარშემო წმიდა კუვუკლიას, რის შემდეგაც საფლავის კარს ბეჭედი აეხსნება, პატრიარქი საფლავის წინ დგება, საღვთსასწაულო სამოსისგან განიმოსება და მხოლოდ თეთრ ბისონში შემოსილი მღვიმეში შებრძანდება. იქ სრულ სიბნელეში იგი ღოცულობს ცეცხლის გარდამოსვლისთვის და მთელ მსოფლიოს შეავედრებს ღმერთს. ტაძარი გარინდულია. დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი გადმოგვცემს: „ამ დღესასწაულობითს წამს დამშვიდდება ეკლესიაში აღევლება: ყოველივე აღივსება მოლოდებითა და ღრმა დუმილი სუფევს ყოველსა კუთხესა ვრცელის და მრავალ-ეროვნულის კრებისა. ერთბაშად მოისმის ქუხილის მსგავსი ყვირილი სხვა და სხვა ენაზედ 30 ათასის კრებისა, რომელიც შეაძრწუნებს ძარღუებსა, და მაღალი თაღებიც ტაძრისა აორკეცებენ ამ ხმიანობასა. წმიდა ცეცხლი აღმობრწყინდება თვით ქრისტე მაცხოვრის საფლავიდან და იქიდან აღანთებს

სანთელთა პატრიარქი. ამ წმიდა ცეცხლს მოღურჯო ნათელი აქვს და არცა სწევას. ზოგნი პირისახეზედაც შემოივლებენ ანთებულს სანთელსა და არცა სწევასო, ვითარცა გადმომცეს იქ დამსწრეთ წმიდა ცეცხლის გამოჩენის დროსა. ამ დროს თითოეულს იქ დამსწრეს, დიდსა და პატარას, უნდა ეყვრას ხელთა შინა ოცდა ათცამეტი სანთელი, სახსოვრად ქრისტე მაცხოვრის ქვეყნიერად ცხოვრებისა 33 წელთა... ზარების რეკითა, რკინის სარაკუნებელის ტყეპითა, სასიხარულო ხმითა დედაკაცთა და ტაძრის განათებითა 30 ათასის ცეცხლითა პატრიარქს გარდაიყვანენ არაბნი ხელითა უკანვე საკრებულო ტაძრის საკურთხეველში, სადაც დაუყოვნებლივ დაიწყება დიდშაბათის ცისკარი“.

ყოველი წლის დიდ შაბათს უფლის საფლავზე მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლა მთელი მსოფლიოს წინაშე დიდებულად მოწმობს, რომ ქრისტე ჭეშმარიტად აღდგა და რომ მის მიერ მონიჭებული მადლი ცოდვით დაცემული ადამიანის სულიერი განახლებისა და ცათა სასუფეველის დამკვიდრებისა მხოლოდ წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში არის დავანებული. და ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგომ შემუსრავს უფალი. 1549 წელს სომეხმა მონოფიზიტებმა მოისყიდეს ოსმალები, წმიდა მიწის იმჟამინდელი მმართველები, და მადლმოსილი ცეცხლის მიღების უფლება მოიპოვეს. იმ წლის დიდ შაბათს მართლმადიდებელი პატრიარქი ძალის გამოყენებით ტაძარში არ შეუშვეს, ცეცხლის მისაღებად კი უფლის საფლავში იერუსალიმის სომეხი პატრიარქი შევიდა. სომეხები დიდხანს ელოდნენ სასწაულს, მათი სულიერი წინამძღოლი გულმოდგინედ ლოცულობდა წმიდა საფლავის წინ, მაგრამ განცრუვნა სასოება მისი, ღმრთაებრივი ცეცხლი არა და არ გადმოდიოდა. უცებ მოწმენდილ ცაზე დაიქუხა, ტაძრის შესასვლელის ერთ-ერთი სვეტი, რომელთანაც იდგა მართლმადიდებელი პატრიარქი სამღვდელთა და მრევლთან ერთად და მსურვალედ ლოცულობდა, გაიპო და ნაპრალიდან ცეცხლი გადმოვიდა. მართლმადიდებელმა პატრიარქმა ცეცხლი აიტაცა და იქ მყოფთ გადასცა. ამ დროს მოხდა სხვა, არანაკლებ ღირსშესანიშნავი ამბავი: ერთი თურქი ოფიცერი, სახელად ანვარმა, რომელიც თავის ჯარისკაცებთან ერთად სადარაჯოზე იდგა მახლობელი შენობის ზედა სართულზე, სასწაულის ხილვისას ძირს გადმოეშვა და შესძახა: „მე ქრისტიანი ვარ!“ ქვაფენილზე დაცემისას ანვარს არაფერი დაშავებია, მისი ფეხის კვალი კი მარმარილოს ფილებმა დღემდე შემოინახეს. თურქებმა თავი მოკვეთეს ანვარს, ტანი კი დაწვეს. მოწამის ფერფლი, რომელმაც სისხლით მიიღო წმიდა ნათლისღება, ერთ-ერთ მონასტერშია დაცული.

მადლმოსილი ცეცხლი მოწოდებაა სინანულისკენ. უფალი მთელ კაცობრიობას და თითოეულ ადამიანს ანიჭებს ცხონების კიდევ ერთ შესაძლებლობას. „საით მიიჩქარით, – თითქოს გვეუბნება იგი. – სად მიქრით დღე და ღამ? რატომ ჩაიძირეთ ფუსფუსსა და ამოებაში? ასე გაცხარებით რატომ ზრუნავთ ფულზე? განა მასშია ჭეშმარიტება? განა მასშია ხსნა? მე ხომ გითხარით: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათ. 6, 33). თქვენ ისე იქცევით, თითქოს ადამიანის ცხოვრება მიწაზე მთავრდებოდეს. თქვენ საერთოდ დაივიწყეთ ზეცა, ცხოვრება კი მხოლოდ იქ იწყება.

შეჩერდით! ჩაიხედეთ საკუთარ თავში! შეწყვიტეთ უსჯულოებათა ქმნა!

მოინანიეთ თქვენი ცოდვები! მოინანიეთ დღესვე, რადგან ხვალინდელი დღე შეიძლება აღარც იყოს! ნუ გაუშვებთ ხელიდან თქვენს უკანასკნელ შესაძლებლობას! მე თქვენ ყველას გიხმობთ ზეცაში, სადაც საუკუნო სიხარული და ნეტარებაა!“

გვინდა ვირწმუნოთ, რომ სანამ ქვეყნად რჩება თუნდაც ერთი კეთილგონიერი ადამიანი, მზე ამოვა ჰორიზონტზე; სანამ ადამიანებში რწმენა ბოლომდე არ დაშრეტილა, დედამიწა არ გადაუხვევს თავისი ორბიტიდან; სანამ თუნდაც ერთადერთი ადამიანის გულში არ ჩამკვდარა სურვილი მონანიებისა, ზეცით გარდამოვა მადლმოსილი ცეცხლი.

ქართული საგანები წმიდა მიწაზე

წმიდა აბრაამის მონასტერი

წმიდა აბრაამის მონასტერი აუცილებლად ქართველ მეფეებს იმ ადგილზე, სადაც მამათმთავარ აბრაამს ღმრთისთვის მსხვერპლად უნდა შეეწირა თავისი ძე ისააკი. უცნობია, ვინ და როდის ააგო იგი, ცნობილია მხოლოდ ის, რომ მონასტრის ტაძარი მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულს თავად იოანე აბაშიძის ბრძანებით განაახლა გიორგი ჩიკოიძემ: „მე მონამან ღმრთისა და მსახურმან ბატონისა ჩემისა თავადისა იოანე აბაშიძისამან, გიორგი ჩიკოიძემ, წარმოვლენილმან ქართლით მის მიერ საფასეთა მისითა განსაახლებლად წმიდისა ამის მამათ მთავრისა აბრაამის ტაძრისა ხარჯსა ზედა მისსა. აღვასრულე ბრძანებული თავადისა მის, ბატონისა ჩემისა, განმაახლებელმან სამწირველოისა ამის, საუკუნოდ სახსენებლად სულისა მისისა, სახლეულთა და ერთ-სისხლთა მისთა, ხოლო საოხადცა ჩემ ცოდვილისათვის სულისა. გვედრებით ყოველთა მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა, აღმომკითხველთა წერილისა ამის, ღოცვათა შორის თქვენთა დაუვიწყებლობასა თავადისა იოანე აბაშიძისა და ყმისა მისისა, აზნაურისა გიორგი ჩიკოიძისა“. ეს სამშენებლო წარწერა უნახავს და გადმოუღია გიორგი ავალიშვილს 1820 წელს.

წმიდა ანგელოზთა მონასტერი

ეს მონასტერი აღმართულია მღვდელმთავარ ანას სახლის ადგილზე. სწორედ აქ მოუწვეს პირველად მაცხოვარს სამსჯავრო: „ხოლო კრებულმან მან და ათასისთავმან და მსახურთა მათ ჰურიათამან შეიპყრეს იესუ და შეკრეს იგი. და მიიყვანნეს იგი პირველად ანანაძსა, რამეთუ იყო სიმამრი კაიაფაძისი, რომელი იყო მღვდელთმოდღუარი მის წელიწდისად“ (იოან. 18, 12-13). ყველაზე ადრეული ცნობა ქართველთა მიერ მისი ფლობის შესახებ მეთხუთმეტე საუკუნისაა. მონასტერი რამდენჯერმე მიიტაცეს სომხებმა, მაგრამ ქართველები სავანეს კვლავ იბრუნებდნენ და სავარაუდოდ 1688 წლამდე ფლობდნენ მას.

წმიდა ბასილის მონასტერი

ეს მონასტერი აღუშენებია მეთხუთმეტე საუკუნეში მოღვაწე ამირინდო ამილახვარს. მის შესახებ ჯვრის მონასტრის აღაპში ნათქვამია: „გაუჩინეთ ამილახორისა ამირინდოსათვის მესმასა ზედა საუკუნოდ დალოცვა და წმიდასა ბასილის დღესასწაულსა მწუხრსა აღაპი მისთვისვე და მეორესა დღესა მისისა მეუღლისა თამარისათვის წირვა და აღაპი საუკუნოდ, და გეთსამანიას ერთი კანდელი ენთებოდეს ამილახორისათვისვე, და წმიდისა ბასილის მონასტერი მოვახსენეთ მას და მისთა ნათესავთა“.

წმიდა გიორგის მონასტერი

ტიმოთე გაბაშვილი ამ სავანის შესახებ ამბობს: „მონასტერი წმიდისა გიორგისა ურიათ უბანში დადიანთა აღშენებული, და მოსახსენებელი მისი მუნვე არს“. ქართველ მღვდელმთავარს კტიტორის ვინაობა იქვე ამოუკითხავს სამშენებლო წარწერაში, მაგრამ არ ჩანს, კერძოდ რომელი დადიანია. ჯვრის მონასტრის ერთ-ერთი აღაპით სამცხელმა ფილიპე შაქარაშვილმა სულხანის შვილის ვარაზის მიერ გამოგზავნილი შესაწირავით „წმიდის გიორგის ეკლესია შიგნით და გარეთ და სამოდვრო სახლი გაგლისაჲ. ეკლესია კრეტსაბმლითა, კანდელეპითა,

სასანთლითა გამართა და ერთი კარი წმიდის გიორგის კარის ბჭეს შეაბა... დიდად დაჭირებული იყო მონასტერი“.

წმიდა დიმიტრის მონასტერი

წმიდა დიმიტრის მონასტერი მდებარეობს იაფოს კარიბჭესა და მხსნელის სავანეს შორის. იგი აგებულია მეოთხემეტე საუკუნეში, მეფე გიორგი ბრწყინვალის დროს. ქართველთა მეფეს ეგვიპტეში სულთანთან მოსალაპარაკებლად გაუგზავნია შალვა ქსნის ერისთავის ძე პიპა დიდძალი ძღვენით. მას თან ახლდა დეკანოზი იოანე ბანდასძე. სულთანმა „სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიემისანი. მივიდა პიპამ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად...“ სავარაუდოდ, საქართველოდან გამგზავრებისას პიპამ თავისი მამის მიერ გატანებული შესაწირავიც წაიღო, რომლითაც ააგეს წმიდა დიმიტრის სავანე. ჯვრის მონასტრის აღაპში ვკითხულობთ: „სამარიტელისა ოთხშაბათს წირვამ და აღაპი საუკუნო ერისთავისა შალვას ქენიფნეველისა, შვილისა პიპასი და მისის მეუღლისა თამარისი“.

წმიდა ეკატერინეს მონასტერი

წმიდა ეკატერინეს სავანე მდებარეობს აღდგომის ეკლესიის მახლობლად. იგი აუგია მეოთხემეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში მოღვაწე ამირლამბარ ფანასკერტელ-ციციშვილს. ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით, „ესე მონასტერი დედათა ქართველთათვის არს, რამეთუ არს იღუმენისა ქართველი, ხარიტინი სახელად, ასული ანჩაფიშვილისა. ორი მონაზონი კახნი არიან, სხვა – რუისელი, იმერელი და გურული. იყოფებიან სულიერად და კეთილად წმიდასა მას აღგილსა“.

წმიდა თეოდორეს მონასტერი

დიდი კახელი ჩოლოყაშვილების ამაგი იერუსალიმის ქართულ სავანეებზე. სწორედ ორ მათგანს, ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილებს აუგიათ წმიდა თეოდორეს მონასტერი 1635 წელს და მის მშენებლობაში მონაწილეობა მიუღიათ ბაადურის უახლოეს ნათესავეებსაც, როგორც ამას კარიბჭის თავზე არსებული წარწერა გვაუწყებს: „ჩოლოყაშვილსა ბაადურსა და მათთა ძმათა და ძმისწულთა ცოდვანი მათნი შეუნდოს ღმერთმან“.

წმიდა თეკლას მონასტერი

ეს მონასტერი აუგიათ ჯვრის მამა ქრისტეფორე ზედგინიძეს და მის ნათესავეებს მეთხუთმეტე საუკუნის შუა ხანებში.

წმიდა იაკობ მოციქულის მონასტერი

ძართული წყაროების მიხედვით, რასაც უცხოელ ავტორთა ცნობები და ზეპირი გადმოცემებიც ადასტურებენ, იერუსალიმში სიონის მთაზე მდებარე წმიდა იაკობ მოციქულის მონასტერი დააარსეს ქართველებმა, კერძოდ მეფე გიორგი I მეთერთმეტე საუკუნეში. მაგრამ სხვა ქართული სავანეების მსგავსად მისი ისტორიაც სევდიანია. შუა საუკუნეებში სომხებმა

ისარგებლეს ქართველების მატერიალური სიდუხჭირით და ქრთამის მეშვეობით ხელში ჩაიგდეს მონასტერი. ბერძენი საეკლესიო მოღვაწენი – ნეოფიტე კვიპრელი და პროკოპი ნაზიანზელი გვაუწყებენ, რომ სომხებმა „ქრთამით მოახერხეს ქართველებისთვის გამოერთმიათ იაკობ ზებედესძის მონასტერი იმ პირობით, რომ ისინი წელიწადში გადაიხდიდნენ 50 ოქროს“. რუსი მოგზაური ა. მურავიოვი კი თავის წიგნში „მოგზაურობა წმიდა მიწაზე“ (1830 წ.) წერს: „წმიდა იაკობის მონასტერი დაარსებულ იქნა ქართველთა მიერ კეთილდღეობის ხანაში და უკვე სამასი წელია, რაც მას ფლობენ სომხები“.

ამ სავანის საკრებულო ტაძარი ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობაა პალესტინაში. ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით: „წარველით მონასტრად სომეხთა და განვკვირდით სიკეთესა მისსა, რამეთუ მე ეგეთი ბრწყინვალე ტაძარი არასოდეს მინახავს და არც ეგეთი შემკობა. ესე მონასტერი არის, რომელიც ააშენა მეფე გიორგიმ“. დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი კი წერს: „ეკლესია წმიდა მოციქულ იაკობ ზებედეს სახელზედ არის ერთი პირველ-ხარისხოვანი ეკლესიათა შორის პალესტინისა, შესანიშნავი თვისის სიმდიდრითა, ხუროთ-მოძღვრებითა და აღმოსავლურის ფერად-ფერადის ქანდაკებითა. ეკლესია ნათლება ზევიდან გუმბათით, მრავალნი ძვირფასნი ოქროსა და ვეცხლის ლამპარნი ბრწყინავენ ყოვლის მხრით. მარცხენა სამხრეში უჩვენებენ ადგილს წმიდა მოციქულის იაკობის წამებისას... სიმდიდრითა და მშვენიერებით არც ერთი ეკლესია არ შეედრება მთელს პალესტინაში წმიდა მოციქულის იაკობ ზებედეს ტაძარსა იერუსალიმში“.

წმიდა იაკობ მოციქულის ეკლესია

იმრუსალიმში ქართველებს წმიდა იაკობის, უფლის ძმის, სახელობის ეკლესიაც ჰქონიათ, რომელიც აღდგომის ეკლესიის გვერდით მდებარეობდა. ტიმოთე გაბაშვილის „იმოსვლაში“ ვკითხულობთ: „და ხვალისა წარგვიძღვენ და მიგვიყვანეს ეკლესიასა მას და ადგილსა, სად მარიამ მაგდალინელმან იხილა აღდგომილი უფალი და ეწადა ამბორებად ფეხთა და უფალი ეტყოდა: „მარიამ, ნუ შემეხები, რამეთუ არ აღსრულ ვარ მამისა ჩემისა“ და ზედ ახლო – ეკლესია წმიდისა იაკობ მოციქულისა, ძმისა უფლისა და პირველისა მღვდელმთავრისა იერუსალიმისა“. ამ ტაძარმაც წმიდა იაკობის მონასტრის ხვედრი გაიზიარა – ქართველებმა ვერ შეძლეს მისი შენახვა და მას სომხები დაეპატრონენ, რასაც მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი კარლ რიტერიც მოწმობს: „წმიდა იაკობის ლამაზი ეკლესია და მონასტერი ადრე ქართველთა საკუთრება გახლდათ, ხოლო რაკი ისე გაღარიბდნენ, რომ ფულს ვერ უხდიდნენ მუსლიმებს, რასაც ისინი ეკლესიის ფლობის საფასურად ძალავდნენ, ეკლესიაც და მონასტერიც სომხებს დაუთმეს“.

წმიდა იოანე მახარებლის მონასტერი

წმიდა იოანე მახარებლის სავანე ჯვრის მონასტრის შემდგომ უძველესი ქართული მონასტერია იერუსალიმში. მეშვიდე საუკუნეში სომეხი პილიგრიმი მას იხსენიებს როგორც ქართველთა საკუთრებას. მონასტერი აშენდა წმიდა იოანე მახარებლის დაბადების ადგილზე. იგი აღდგომის ტაძრის მახლობლად მდებარეობს.

უცხოელ მომლოცველთა ცნობებით, მეთექვსმეტე საუკუნის შუა ხანებამდე მონასტერში ქართველები ცხოვრობდნენ. 1551 წელს მაჰმადიანებმა ფრანცისკანელები სიონის მთაზე აგებული ტაძრიდან გააძევეს. ფრანცისკანელებმა კომპენსაცია მოითხოვეს და თურქეთის სულთანმა სტამბოლში ფრანგი ელჩის მეშვეობით მათ შესთავაზა, შეერჩიათ ნებისმიერი მონას-

ტერი, რომელიც კი იერუსალიმში მოეწონებოდათ. ფრანცისკანელებმა შეარჩიეს წმიდა იოანე მახარებლის სავანე და თავიანთი არჩევანი ასე ახსნეს:

1. მონასტერი ახლოს იდგა წმიდა საფლავთან.

2. ქართველებს იერუსალიმში უკვე ჰქონდათ შვიდი სხვა მონასტერი და ადვილად შეძლებდნენ ამ მონასტერს შელევოდნენ. ამას გარდა, მათი აზრით, ქართველები მწვალებლები იყვნენ. ამიტომ ფრანცისკანელები მათი ერთ-ერთი სავანის დაუფლებით რაიმე ცოდვას არ სჩადიოდნენ.

ბონიფაციუს რაგუსელს, რომელიც მაშინ წმიდა მიწის მეურვე იყო, სურდა მონასტერი ქართველებისგან ეყიდა, მაგრამ ქართველებმა უარი უთხრეს. საბოლოოდ, თურქეთის ფაშამ მონასტერი ფრანცისკანელებს მიჰყიდა. ქართველები იოანე მახარებლის სავანიდან გამოაძევეს და მას მწვალებლები დაეუფლნენ. ქართველთა არაერთი მცდელობა დაებრუნებინათ მონასტერი, წარუმატებლად დასრულდა.

წმიდა იოანე ნათლისმცემლის სამლოცველო

ამ სამლოცველოს შესახებ გვაქვს მხოლოდ ერთი ცნობა, რომელიც ეკუთვნის იოანე პოლონერს (1421 წ.): „იერუსალიმის ეპისკოპოსის ქუჩაზე დგას წმიდა ზაქარიას სახლი, რომელიც ქართველებს ეკუთვნის, და იქ არის წმიდა იოანე ნათლისმცემლის ღამაზი სამლოცველო“.

წმიდა იოანე ოქროპირის მონასტერი

ეს მონასტერი მდებარეობს იორდანეს უდაბნოში, იერიქონის სამხრეთით. 1099-1291 წლებში, თანახმად ნაშრომისა „იერუსალიმის ლათინური სამეფო“, წმიდა იოანე ოქროპირის მონასტერში ცხოვრობდნენ ქართველი ასკეტები.

კაპათა

კაპათა, იერუსალიმის ერთ-ერთი უძველესი ტაძარი სიონის მთაზე, იუსტინიანე მეფეს აუგია ძველი ტაძრის ადგილას. 1010 წელს ეგვიპტის სულთანმა ჰაქემმა იერუსალიმის სხვა ქრისტიანულ ტაძრებთან ერთად კაპათაც დაანგრია. იგი აღადგინა და მასში დედათა მონასტერი დააარსა ქართველთა მეფის ბაგრატ IV ცოლმა ბორენამ და ასულმა მართამ. კაპათა განადგურდა 1244 წელს ხვარაზმელთა შემოსევის დროს.

კატამონი

იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით, ჯვრის მონასტრის საწინააღმდეგო მხარეს, ამდღეულ ადგილას, საიდანაც კარგად მოჩანდა იერუსალიმი და მისი შემოგარენი, მდებარეობდა კატამონის (წმიდა სვიმეონის) მონასტერი. გადმოცემით, ეს ადგილი წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალს შეუსყიდა და ქართველი ბერებისთვის სავანე აღუშენებია. 1515-1524 წლებში ბედუინების თავდასხმების შედეგად კატამონის სავანის ცხრამეტი ბერი დაიღუპა. გადარჩენილები იძულებული იყვნენ, მიეტოვებინათ მონასტერი.

ლაზების მონასტერი

პროკოპი კესარიელის მიხედვით, მეექვსე საუკუნეში იმპერატორმა იუსტინიანემ აღადგინა იბერიელთა ერთ-ერთი მონასტერი იერუსალიმში და აგრეთვე ლაზების მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში.

მირქმის მონასტერი

ამ მონასტრის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი რაჭის ერისთავებს – ჩხეტიძეებს აუგიათ. აქ იყო დედათა სავანე.

წმიდა ნიკოლოზის მონასტერი

წმიდა ნიკოლოზის მონასტერი იერუსალიმში უფლის საფლავთან, პატრიარქების რეზიდენციის მახლობლად მდებარეობს. ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით, იგი კახთა დედოფალ ელენეოვილ ელისაბედს აღუშენებია მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში; „რამეთუ თვით წმიდა ნიკოლოზ მუნ მჯდარა, სენაკი მისი ყოფილა“. იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის ცნობით, მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს ქართული ძმობის მიერ მიტოვებული და ვალებში ჩაფლული სავანე ქართლის მეფე გიორგი XI და ლევან ბატონიშვილმა გამოისწესეს და იგი ისევ ქართველებს დაუბრუნდა. 1858 წელს მონასტერი მოინახულა არქიმანდრიტმა ლეონიდეძემ. იგი წერდა: „წმიდა ნიკოლოზის მონასტერი იერუსალიმში ეკუთვნოდა ქართველებს. ეკლესიის კედელში, რომელიც პატრიარქების ბაღს გადაჰყურებს, ჯერ კიდევ არის ეპიტაფიებიანი რამდენიმე საფლავის ქვა“.

წმიდა სამოელის მონასტერი

ეს მონასტერი მდებარეობდა იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით ხარების მთაზე. იგი ქართველთა შემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი კერა იყო. აქაა შედგენილი ანტონ ლახტარის აგიოგრაფიული კრებული და გადაწერილი კათალიკოს იოანე ოქროპირის (1033-1048) „მარგალიტი“, რომლის ანდერძ-მინაწერშიც ვკითხულობთ: „ღირს-მყო ღმერთმან გლახაკი... დანიელ და დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი უცხოებასა და მწირობით სიგლახაკესა შინა ჩემსა პალესტინისა სანახებთა წმიდისა აღდგომისათა, მონასტერსა წმიდისა სამოელ წინასწარმეტყველისასა... და შევსწირე წმიდასა წინასწარმეტყველსა სამოელს მამობასა იოანე უხამურისასა...“

სარანდარიონი ანუ განცდის მთა

ამ მთაზე ნათლისღების შემდეგ უფალმა იესო ქრისტემ ორმოცი დღე და ღამე იმარხულა და აქ განცდიდა მას ეშმაკი. 1336 წლის ცნობით: „სარანდარიონის მთა ქართველებს ეკუთვნის“ (გილელმუს ბალდენსელელი).

ეს არის იმ ეკლესია-მონასტრების ჩამონათვალი, რომლებსაც სხვადასხვა დროს ფლობდნენ ქართველები. ამათ გარდა, ქართველებს შემდეგ წმიდა ადგილებში ჰქონდათ თავიანთი საკურთხევლები ან იღვწოდნენ ქართველი ბერები.

ბეთლემი, ქრისტეს შობის ტაძარი

1335 წლის ცნობით, რომელიც იაკობ ვერონელს ეკუთვნის, ქართველებს საკუთარი საკურთხეველი ჰქონდათ შობის ტაძარში, შობის გამოქვაბულის გარეთ. დეკანოზ პეტრე კონჭოშვილი კი იმოწმებს ვინმე ტიმოთე მთავარეპისკოპოსს, რომ „ქართველებს მე-18 საუკუნეშიაც ჰქონიათ ბეთლემის ქრისტეს შობის ეკლესიაში ტრაპეზი მღვდელმოქმედებისათვის“.

გეთსამანია, ღმრთისმშობლის საფლავი

ამ ტაძარში, სადაც არის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის საფლავი, ქართველებს უძველესი დროიდან ჰქონდათ საკურთხეველი. პილიგრიმთა ცნობებით: „ღმრთისმშობლის ეკლესიაში, წმიდა საფლავის მარჯვნივ, დგას იბერიელთა საკურთხეველი“ (არქიმანდრიტი აგრეთენიოსი, 1370 წ.); „ღმრთისმშობლის წმიდა საფლავზე წირვას ქართველები ასრულებენ“ (დიაკვანი ეგნატე, 1391 წ.); „გეთსამანიაში, ღმრთისმშობლის წმიდა საფლავზე, მარჯვენა მხარეს, ქართველები ასრულებენ თავიანთ წირვას“ (ეგნატე სმოლენსკელი, 1389-1405 წწ.). 1421 წელს ქართველთა ეს საკურთხეველი სომხებს ჩაუვარდა ხელში და ქართველებს მხოლოდ ტაძრის ყველაზე ბნელ კუთხეში ჰქონდათ საკურთხეველი. 1480-1483 წლის ცნობით ვიგებთ, რომ „საკურთხეველი, რომელიც საფლავთან ყველაზე ახლოსაა, ეკუთვნის სომხებს, ხოლო მეორე – ბნელი თაღის ქვეშ – ქართველებს“. როგორც ჩანს, ქართველებმა ეს საკურთხეველიც დაკარგეს. 1586 წელს ქართველთა საკურთხეველი იყო ეკლესიის შესასვლელთან: „ღმრთისმშობლის საფლავი – მარმარილოს ორმოცდაათი საფეხური მიემართება დაბლა და უკანასკნელ საფეხურზე არის ქართველთა საკურთხეველი“.

გეთსამანიის ბაღი და ზეთისხილის მთა

ამ წმიდა ადგილებში ქართველი ბერების მოღვაწეობის შესახებ არსებობს შემდეგი ცნობები: „ზეთისხილის მთაზე ოთხი ქართველი ბერი ცხოვრობს. გეთსამანიაში, განცალკევებულ კლდეებთან სამი განდევნილი ცხოვრობს: ბერძენი, სირიელი და ქართველი“ (808 წ.); „უშუალოდ გეთსამანიის შემდეგ, არა უშორეს ისრის გასროლის მანძილისა, დგას შენობა, რომელსაც ეწოდება „ქვაბი“. ის აგებულია კლდეზე, ოთხკუთხა ფორმით და ორი შუბის სიმაღლეზე; აქ თავისი ნებით გამოკეტილა იბერიელი ბერი და ზრუნავს საკუთარი სულის ხსნაზე“ (იოანე ფოკა, 1185 წ.).

წმიდა იოანე ნათლისმცემლისა და წმიდა გერასიმეს მონასტრები

ნაშრომის „იერუსალიმის ლათინური სამეფო“ თანახმად, ლათინთა მმართველობის დროს წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მეგობრულად ცხოვრობდნენ ქართველი და ბერძენი ბერები. ქართველები ასევე ცხოვრობდნენ წმიდა გერასიმეს მონასტერში. იოანე ფოკას ცნობით: „წმიდა გერასიმეს მონასტერში ცხოვრობს მოხუცი ბერი („იბერი“), რომელსაც მრავალი სასწაული მიეწერება“. ორივე საგანე იორდანეს უდაბნოში მდებარეობს.

წმიდა საბას ლავრა

მემაქვსმ საუკუნიდან მეათე საუკუნის დასასრულამდე ეს ლავრა ქართული საეკლესიო მწიგნობრობის აკვანს წარმოადგენდა. აქ ითარგმნა საღმრთო წიგნების დიდი ნაწილი ქართულ ენაზე. ქართველები ლავრაში ადრევე დასახლდნენ და ისე მომრავლდნენ, რომ თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ, რასაც საბა განწმედილის ანდერძიც (531 წ.) მოწმობს: „ივერიელებს და ასურელებს, თავიანთ ეკლესიებში შეკრებილთ, ნება ეძლევათ წარმოსთქვან ჟამნი და სამხრისანი, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე“.

ქართველი ბერები ლავრაში კიდევ მრავალი საუკუნის მანძილზე მოღვაწეობდნენ. 1370 წლის ცნობით: „წმიდა საბას ლავრაში – გამოქვაბულში, სადაც ბარბაროსებმა ორმოცი ბერი დახოცეს, დგას იბერიელთა ეკლესია“ (არქიმანდრიტი აგრეთენიოსი).

დემკანოზი პეტრე კონჭოშვილი წერს: „განსაცვიფრებელია და საკვირველი ასეთი სიმრავლე სავანეთა და ეკლესიათა, ქართველის ერისაგან შენებულთა საქართველოს გარეთ. იგინი აქამომდის წარმოადგენენ დაუვიწყართა ძეგლთა ქართველის ერის ღრმა სარწმუნოებისას, კეთილმსახურებისას და ეროვნული ძლიერებისას. ჭეშმარიტად, ამ ღმრთისა მიერ კურთხეულს ერს შეიძლება მიეწეროს სიტყვანი: „ყოველსა ქუეყანასა განკლა ხმაჲ მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი“. ახლა რამდენი მოიპოვებიან დანგრეული სავანენი და ეკლესიანი საქართველოს გარეთ, რომელთა სახელები არ შეგვინახა ისტორიამ. ჩემის აზრით, საეკლესიო და სამოქალაქო ისტორია ვერ წარმოადგენს ამის მსგავსს მაგალითსა, რომ რომელსამე ერსა ჰქონდეს ეგოდენი სავანენი და ეკლესიანი გარეშე თვისის სამშობლოსა.“

„და იყვნენ უკანასკნელნი პირველ, ხოლო პირველნი იყვნენ უკანასკნელ“ (ლუკ. 13, 30). ესრედ დამართვია ჩვენს ერსა, სარწმუნოებისათვის მრავალ-წამებულსა“.

წმიდა ლუკა იერუსალიმელი

ნეტარი ლუკა იყო ქართველი, პატიოსანი და წარჩინებული მშობლების შვილი, გვარად მუხაიძე. იგი ჯერ კიდევ ყრმა იყო, როდესაც მისი დედა იერუსალიმში მონაზვნად აღიკვეცა.

ოცი წლის ასაკში ლუკამ დატოვა მამული და ძმანი და იერუსალიმს გაემგზავრა წმიდა ადგილთა თაყვანისსაცემად და დედის მოსანახულებლად. მან აღარ ისურვა წმიდა ქალაქიდან წასვლა, მცირე ხნის შემდგომ მონაზვნობა მიიღო და შეიქნა მოღვაწე და ფრიად სათნო მონა უფლისა. მალე არაბული ენაც ისწავლა.

იხილეს რა ჯვრის მონასტრის მამებმა ნეტარი ლუკას სიბრძნე და სიწმიდე, მღვდლად აკურთხეს და სავანის წინამძღვრად დაადგინეს. სამი წლის მანძილზე იგი კეთილად განაგებდა მონასტერს.

კაცთა ცხოვრების მოძულეს ეშმაკს შეშურდა ლუკას მხურვალე ღმრთისმოყვარება და შთააგონა ვინმე შეის ხიდრს, ჯადოქრობის გამო სულთნის წინაშე დიდი კადნიერების მქონეს, გამოეთხოვა მისგან ჯვრის მონასტერი. ხიდრი მხეცივით მოეპყრო ქართველ ძმებს, არაფერი შეარჩინა არც სამონასტრო და არც პირადი ქონებიდან და სავანიდან შიშველნი გამოაძევა. ნეტარი ლუკა არ შეშინდა და მონასტრის დასახსნელად სულთანთან წავიდა, რამაც ხიდრის გამძვინვარება გამოიწვია.

ქრისტიანებმა მრავალჯერ გააფრთხილეს ლუკა, ხიდრი გემუქრება და შენი მოკვლა სურსო, და ურჩევდნენ გაქცევას. ხოლო მან, უშიშარმა, არ ინება გაქცევა, არამედ ქრისტესთვის სიკვდილი არჩია წუთიერ ცხოვრებას და არ დატოვა მონასტერი და ძმები. იგი შეიხთან მივიდა და თხოვა, ნურაფერს ავნებდა ძმებს და მისგან მოეთხოვა, რაც სურდა.

ხიდრმა ერთადერთი რამ ითხოვა მისგან – ქრისტიანობის დატევება და მათ შეგინებულ სჯულზე გადასვლა, სანაცვლოდ კი ამირობა და სიმდიდრე აღუთქვა. მაგრამ ლუკამ დასცინა მას და შეურაცხყო მაჰმადის სჯული. და როცა ხიდრმა მონასტრის კართან მიიყვანა იგი და კვლავ თხოვა ქრისტეს უარყოფა, ნეტარმა ქედი მოუდრიკა მახვილს და თქვა: „შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მრავალგზის მოგკვდებოდი ქრისტესთვისო“.

მაშინ განრისხდა ეშმაკის ჭურჭელი და გვერდით მდგომ მონას ლუკასთვის თავის მოკვეთა უბრძანა. და მოხდა სასწაული – მოკვეთილი თავი პირით აღმოსავლეთისკენ შებრუნდა, გაიცინა და ღმერთს მადლობა შესწირა. გაოცებამ შეიპყრო ამის მხილველნი.

ხიდრმა დააწვევინა ლუკას პატიოსანი გვამი, რომლის ნაცარიც თავად სპარსელებმა შეკრიბეს, როგორც ევლოგია და სენტა საკურნებელი. წმიდა მამა ჩვენი ლუკა ეწამა 27 ივნისს (10 ივლისს ახ. სტ.), 1273 წელს.

წმიდა მოწამე ნიკოლოზ დვალი

ძრისტმს სანატრელი მოწამე ნიკოლოზ დვალი იყო სოფელ წაიდან, შვილი მორწმუნე მშობელთა, რომლებმაც ყრმა დედის საშოდანვე ღმერთს და წმიდა იოანე ნათლისმცემელს შესწირეს. როცა ნიკოლოზი თორმეტი წლის შეიქნა, კლარჯეთის უდაბნოში წავიდა, მონაზონი გახდა და ფრიად იღვაწა. და შემდგომად ამისა ისურვა წმიდა ქალაქ იერუსალიმში აღსვლა და უფლის ცხოველმყოფელი საფლავის თაყვანისცემა.

იერუსალიმში ჩასულმა ღმერთს მადლობა შესწირა და ქრისტესთვის წამების სურვილი აღეძრა. მან სპარსი თარჯიმანი იპოვა და მოტყუებით მიიყვანა მოსამართლესთან, იქ აღიარა ქრისტეს ღმრთაება და შეურაცხყო მაჰმადის სჯული, რის გამოც ძლიერ სცემეს და დიდ სატანჯველს სწიეს.

ნიკოლოზი ჯვრის მონასტრის მამამ და ძმებმა გამოიხსნეს და თურქთა შიშით კვიპროსს გაგზავნეს. იქ მან წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხატი დაახატვინა და მის წინაშე განუწყვეტლივ ევედრებოდა ღმერთს, მოწამეობრივი ხვედრის ღირსი გაეხადა.

ნიკოლოზმა ათონის წმიდა მთაზე წასვლა და იქ დარჩენა განიზრახა. ერთხელაც, როცა იგი ჩვეულებისამებრ წინამორბედის ხატის წინ ლოცულობდა, მისგან მოესმა ხმა:

– ნიკოლოზ, შენ წმიდა მთაზე არაფერი გესაქმება, არამედ ადექი და წადი იერუსალიმს. იქ შეხვდები ქართველ ბერს, იგი გასწავლის ცხონების გზას და მოწამეობრივ ღვაწლში განგამტკიცებს.

ნიკოლოზი იერუსალიმს გაემგზავრა და ნახა ის ბერი, მაგრამ დაუფარა თავისი ღვაწლი, სანამ ღმერთმა არ დაარწმუნა, ყოველივე ეთქვა მისთვის. ბერი ევედრა ღმერთს, გამოეცხადებინა ნიკოლოზისადმი მისი ნება. და აი, ერთ დამეს, ძილში, მას ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი ეჩვენა. მათ უბრძანეს, დამასკოში წარეგზავნა ნიკოლოზი და იქ ღირს-იქმნებოდა ქრისტესთვის საწადელი სიკვდილისა.

მართლაც, ბერმა ნეტარი ნიკოლოზი დამასკოში გაგზავნა. იქ ჩასული პირდაპირ მეჩეთში შევიდა, ყველას წინაშე აღიარა ქრისტე და შეურაცხყო მათი სჯული. ამისთვის იგი სასტიკად სცემეს და საპრობილეში ჩააგდეს, საიდანაც მიტროპოლიტმა და ქრისტიანებმა დაიხსნეს.

მაგრამ ნიკოლოზს ქრისტესთვის სიკვდილი სწყუროდა. იგი ისევ შევიდა მეჩეთში და უარესად დაგმო მაჰმადის სჯული, რისთვისაც კვლავ სცემეს, ხუთასი შოლტი სცეს და საპრობილეში ჩასვეს. იქ მას იოანე ნათლისმცემელი ეჩვენა და ჭრილობათაგან განკურნა. ორი თვე დაჰყო ნიკოლოზმა საპრობილეში. ამის შემდგომ იმავე ქრისტიანებმა გამოიხსნეს იგი და აპირებდნენ მის წარმოგზავნას იერუსალიმში.

და აი, ღმრთის განგებით მას შეხვდა ქალაქის ამირა, იცნო მათი სჯულის მგმობელი და შეიპყრო იგი. ნიკოლოზი ამირათა ამირა დენგისის წინაშე წარადგინეს და უამბეს ყოველივე, რაც მას ჩაედინა. დენგისმა ჯერ დაყვაებით დაუწყო ნიკოლოზს საუბარი და დიდებასა და პატივს პირდებოდა მას. მაგრამ ღმრთის სიყვარულით ანთებულმა არად ჩააგლო ყველაფერი, მთავრის წინაშე აღიარა ქრისტეს ღმრთაება და აგინა მათ ყოვლადბილწ „წინასწარმეტყველს“.

მაშინ განაჩინეს სიკვდილი. და ადგა ერთი ამირა, რათა ნიკოლოზისთვის თავი მოეკვეთა. ქრისტეს უშიშარი მოწამე პირით აღმოსავლეთისკენ შებრუნდა, სიხარულით მიუპყრო კისერი მახვილს და თქვა:

– დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან ღირს მყავ დათხევად სისხლისა წმიდისა სახელისა შენისათვის!

და აგრეთვე მისმა მოკვეთილმა თავმა შეიდგოხის შესძახა:

– დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო! – რამაც სპარსელნი დიდად განაკვირვა. ამის შემდგომ ნიკოლოზის გვამი დაწვეს. მისი წამების ადგილს სამი დღის მანძილზე ნათლის სვეტი ადგა.

ნეტარი ნიკოლოზი ეწამა 19 ოქტომბერს (1 ნოემბერს ახ. სტ.), სამშაბათ დღეს, 1314 წელს.

როცა ამის შესახებ გაიგო მისმა მოძღვარმა, ფრიად შეწუხდა, განუწყვეტლივ ტიროდა და ევედრებოდა ღმერთს, გამოეცხადებინა – მიითვალა თუ არა ნიკოლოზის ღვაწლნი.

ერთ დღეს ბერი წიგნს კითხულობდა, რომ უეცრად განკვირვებაში მოვიდა და იხილა საკვირველი ნათლით მოსილი და კეთილსურნელებით აღსავსე მთა და ბრწყინვალედ შემკული დასი წმიდათა მოწამეთა, რომელთა შორის უმაღლესი და უბრწყინვალესი იყო მთავარმოწამე გიორგი. ბერი რომ იხილა, წმიდა გიორგიმ ორგზის შესძახა:

– ნიკოლოზ, გამოდი და იხილე ბერი, შენი მოძღვარი, რამეთუ მრავალი ცრემლი დასთხია შენთვის!

მაშინ გამოვიდა გვირგვინოსანი ნეტარი ნიკოლოზი, მიესალმა ბერს და უთხრა:

– ამიერიდან დააცხრე ჩემს გამო მწუხარება, რადგან ჩემი წამება შეწირულია უფლის წინაშე.

წმიდა მოწამეთა – ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის ხსენებას საქართველოს ეკლესია აღასრულებს 12 (25) თებერვალს ღირს პროხორე ქართველთან ერთად.

წმიდა მოწამე სალომე ქართველი

წმიდა სალომე ქართველის შესახებ ცნობას გვაწვდის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარი: „ამასვე დღესა (20 ივლისი – ძვ. სტ.) წამებაჲ სალომე ქართველისაჲ, რომელ პირველ შესცთა სპარსთა მიერ და ქრისტე უარყო. ამისა შემდგომად კუალად აღიარა სარწმუნოებაჲ ქრისტესი და თავი წარეკუეთა და ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა წამებაჲ მისი“.

უფლის გზებზე

1995 წელს ღმრთის მოწყალებით და ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსის იობის ლოცვა-კურთხევით საშუალება მოგვეცა, მოგველოცა ის წმიდა ადგილები, სადაც განკაცდა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, სადაც გაატარა მიწიერი ცხოვრება და ჩვენი ხსნისათვის

თავს-იღო ჯვარზე სიკვდილი და აღდგა მკვდრეთით. ჩვენს ბედნიერებას აორმაგებდა ის, რომ ორი კვირის მანძილზე ვცხოვრობდით ყოველი მართლმადიდებელი ქართველისათვის ძვირფას ჯვრის მონასტერში. გვსურს, მკითხველს ამ მომლოცველობის შესახებ ვუამბოთ.

„ეს სახლი პურისა გამოსჩნდა სახლად კურთხევისა და მადლისა ღმრთაებრივისა“

ამომავალ მზეს ბეთლემში შევეგებეთ, ქალაქში, სადაც ცოდვის წყვილიაღში დანთქმულ კაცობრიობას აღმოუბრწყინდა სიმართლის მზე, უფალი ჩვენი იესო ქრისტე. აი, რას გვიამბობს მის შესახებ დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი: „კურთხეული საუკუნიდან ქალაქი, რომელსა შინაც თვით ღმერთმან, დამბადებელმა მსოფლიოსა, სათნო იჩინა ხორციელად გამოცხადება ცხოვრებად ქვეყანისა ყოვლადწმიდისა ქალწულისა მარიამისაგან, არის მთის გრეხილის ფერდობზედ დაშენებული დაშვებულს ვაკეზედ. იგი აშენებულია სამხრეთით იერუსალიმისა ორის საათის მანძილზედ. საღმრთო წერილში იგი იწოდება ბევრნაირად: „ბეთლემი“, „ბეთლემი იუდეანთა“, გასარჩევად ბეთლემისა გალილეანისა, რომელიც ეკუთვნოდა ზაბულონის ტომსა; „ეფრათა“, ანუ „სახლი ეფრათა“, თვისის არა ჩვეულებრივის ნაყოფიერებისათვის, ვინაიდან ეფრათა ებრაულად ნიშნავს ბარაქიანობას, ნაყოფიერობას; იწოდება აგრეთვე „ქალაქად დავითისა“, ვითარცა სამშობლო წინასწარმეტყველისა და მეფისა დავითისა. ბეთლემი ურიულად ჰნიშნავს – სახლი პურისა. ეს სახლი პურისა გამოსჩნდა სახლად კურთხევისა და მადლისა ღმრთაებრივისა, რომელიც აღმოგვიცნდა დავრდომილს კაცობრიობას აქ განხორციელებითა მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისათა“.

იერუსალიმიდან ბეთლემის გზაზე დამდგარი მოგზაურის თვალწინ იშლება რეფაიმის ვაკე და წმიდა ილიას მთები. ბიბლიურ ხანაში რეფაიმის ვაკე ხეებით იყო დაფარული, მაგრამ ახლა სრულიად გავერანებულია. აქა-იქ გზის გასწვრივ მოჩანს ქვითკირის ღობეებისა და საგუშაგო კოშკების ნანგრევები; მათგან ერთ-ერთი სვიმეონ ღმრთისმამრქმელის სახლი ყოფილა. გზის მახლობლად გიხვენებენ ხის მორჩს, რომლის ქვეშ, გადმოცემის თანახმად, დაისვენა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელმა ბეთლემიდან იერუსალიმში მგზავრობის დროს.

წმიდა ილიას მთების ძირას, გზის მარჯვენა მხარეს, დაინახავთ ძველთაძველ ჭას; იგი „სამი მოგვის ჭად“ იწოდება. გადმოცემით, მახარებელი ვარსკვლავი, რომელმაც მოგვები იერუსალიმში მოიყვანა, კვლავ გაბრწყინდა მათთვის ამ ადგილას, როცა ისინი ბეთლემისკენ მიემართებოდნენ. გზად შეგხვდებოთ რაქელის საფლავი, იქვე ახლოს მამათმთავარ იაკობის სახლის ნანგრევებსაც ნახავთ.

დღესაც თითქმის ისეთივე უბრალო და ღარიბულია, როგორც მაცხოვრის შობის დღეებში იყო

და ბოლოს თქვენს წინაშე აღიმართება დიდებული ტაძარი, რომელიც ჰფარავს უფლის შობის გამოქვაბულს. პირველ ქრისტიანებს ამ წმიდათაწმიდა ადგილზე მცირე ეკლესია ჰქონდათ. რომის იმპერატორმა ადრიანემ აქ ბომონი ააგო. ელენე დედოფალმა კი დაამხო კერპები და ქრისტეს შობის ადგილზე ეკლესია აღაშენა, რომელიც მეექვსე საუკუნეში განაახლა და გააფართოვა მეფე იუსტინიანემ. 614 წელს პალესტინაში შემოჭრილმა სპარსმა დამპყრობლებმა თითქმის ყველა ქრისტიანული ტაძარი მიწასთან გაასწორეს. ბეთლემს მიწვენილი სპარსთა ლაშქრის თვალწინ გრანდიოზული ეკლესია გადაიშალა, რომლის ფასადზეც შობის ამსახველ მოზაიკაზე მათ აღმოსავლურ სამოსში გამოწყობილი სამი მოგვი იხილეს. ტაძარი დანგრევას გადაურჩა.

ეკლესია ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელს ატარებს. მას ძალზე ვიწრო კარები აქვს, რომელიც ოდესღაც დიდი ყოფილა და მოგვიანებით ორი მიზეზის გამო გადაუკეთებიათ: არაბთა თავდასხმებისას უკეთ თავდაცვისათვის და ურწმუნოთა მიერ ტაძარში ცხოველების შეყვანის დასაბრკოლებლად. შუაზე მოხრილი გაივლით კარს და უზარმაზარ დარბაზში მოხვდებით. დარბაზის ორივე მხარეს აღმართულია ორმოცდათექვსმეტი მარმარილოს სვეტი. ჭერი ლიბანის მთებიდან ჩამოტანილი კედარისა და კვიპაროსის ვეებერთელა კოჭებით არის გამაგრებული.

ტაძრის მთავარი საკურთხეველის ქვეშ იმყოფება მღვიმე, სადაც იშვა უფალი. შობის ადგილი დაფარულია მარმარილოს ფილით, რომელშიც ჩასმულია კანდლების შუქით განათებული ვერცხლის ვარსკვლავი წარწერით: „აქ იშვა ქრისტე ქალწულ მარიამისაგან“. მარჯვნივ, ორიოდ ნაბიჯის მოშორებით, არის ბაგა, სადაც ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელმა სახვევებში შეხვეული ჩვილი მიაწვინა; ამ ბაგაში მწოლიარე უფალს თაყვანი-სცეს მწვემსებმა, რომლებსაც ანგელოზმა ახარა შობა მხსნელისა: „მოვიდეს მსწრაფლ და პოვეს მარიამ და იოსებ და ყრმაჲ იგი, მწოლარე ბაგასა“ (ლუკ. 2, 16). მღვიმის ბუნებრივ ჭერსა თუ კედლებზე დაკიდული ურიცხვი კანდლის მკრთალი ნათელი ეფინება ამ ზეციურ სავანეს, რომელიც დღესაც თითქმის ისეთივე უბრალო და დარბიულია, როგორც მაცხოვრის შობის დღეებში იყო.

აქვე, ტაძრის ეზოში, ვიხილეთ საძვალე, სადაც დასვენებულია ჰეროდეს მიერ ბეთლემსა და მის შემოგარენში მოწყვეტილ ყრმათა წმიდა ძეგლები. შორიახლოს კი არის ადგილი, სადაც ერთ ებრაელს ყანა ჰქონდა და შიგ მუხუდო ეთესა. მასთან მისულა მარიამ, დედა უფლისა, და მცირეოდენი მარცვალი უთხოვია, მაგრამ მას არაფერი მიუცია. ამის შემდგომ მუხუდო მთლიანად ქვებად ქცეულა. ამ ადგილზე ახლაც მიმოფანტულია მუხუდოს მსგავსი ქვები.

...მაგრამ ამ საოცარი ხის ერთი პატარა ნაწილი ჯერ კიდევ ხარობს

უფლის შობის უტკბილესი ადგილის მოლოცვითა და ადგილობრივი ეპისკოპოსის, მეუფე თეოფანეს, გულთბილი მასპინძლობით ნუგეშცემულებმა დავტოვეთ ბეთლემი. აღმოსავლეთით, მცირე ხნის სავალზე, ჩვენს წინაშე გადაიშალა „მწვემსთა მინდორი“, სადაც იესო ქრისტეს შობის ღამეს ღარიბი მწვემსები ღირს-იქმნენ მოესმინათ მთავარანგელოზის ხარება: „აჰა ესერა გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა: რამეთუ იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა“ (ლუკ. 2, 10-11). ამ ადგილზე ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კრებისადმი მიძღვნილი მიწისქვეშა ეკლესიაა, რომელიც წმიდა ელენე დედოფლის მიერაა აგებული. ტაძარში იხილავთ სამ საფლავს. მწვემსების უკანასკნელი სურვილი და ანდერძი იყო, დაესაფლავებინათ იმავე ადგილას, სადაც მოისმინეს ანგელოზის ხარება.

გზა სამხრეთით, პალესტინის უძველეს ქალაქ ქებრონისკენ მიემართება. ამ მიდამოში დასახლდა ღმრთის ბრძანებით ქალაქ ურიდან გამოსული აბრაამი და აქვე, მამრეს მუხის ქვეშ, ეწვია მას წმიდა სამება სამი მგზავრის სახით. აი, უკვე რამდენი ათასწლეულია დგას ეს მუხა – უტყვი მქადაგებელი ღმრთის სიტყვისა – პალესტინის მიწაზე. უფალმა აკურთხა ეს ადგილი და ვერც ჟამთა სიავემ, ვერც ისტორიულმა ქარტეხილებმა და სტიქიების მიმოქცევამ ვერაფერი უყვეს მას. მამრეს მუხა თითქოს სამყაროსთან ერთად ბერდება და იფიტება. იმის მიხედვით, თუ როგორ განქარდება ადამიანთა მოდგმაში ღმრთის სიყვარული, იღვევა სიცოცხლის ნიშან-წყალიც მის ტოტებში. მაგრამ ამ საოცარი ხის ერთი პატარა ნაწილი ჯერ კიდევ ხარობს და როგორც ერთ-ერთი გადმოცემა გვაუწყებს, ეს ტოტიც მაშინ გახმება, როცა ქვეყნად ანტიქრისტე გაბატონდება, როცა სრულიად განქარდება სიყვარული.

ქებრონში დაკრძალულია წმიდა და მართალი მამათმთავარნი: აბრაამ, ისააკ და იაკობი, და წმიდა და მართალი დედანი: სარა, რებეკა და ლია. ნეტარ ელენეს მათ საფლავებზე აღუშენებია ეკლესია, რომელიც მოგვიანებით არაბებს მეჩეთად გადაუქცევიათ.

„ეს ის ადგილია, რომელზედაც თვალნათლად გამოცხადდა ღმრთის რისხვა და წყევლა“

ჩვენი შემდეგი გაჩერებაა ბეთანია. აქ, მარიამის და მართას სახლში, უყვარდა მოსვენება სოფლის მაცხოვარს. ამ ადგილზე დღეს დედათა საფანჯა აღმართული. ტაძარში, საკურთხევლის მარჯვნივ დაცულია ლოდი, რომელზეც ჩამოჯდებოდა ხოლმე უფალი. მისი თაყვანისცემისას უნებლიეთ წარმოიდგენთ იესო ქრისტეს ფერხით მჯდომ და ზეციური სიტყვების გულმოდგინედ მსმენელ მარიამს და ძვირფასი სტუმრის გამასპინძლებისათვის მზრუნველ მართას, რომელსაც უფალი ასე მიმართავს: „მართა, მართა! ზრუნავ და შფოთხარ მრავლისათვის, აქ ერთისად არს სახმარ, ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან“ (ლუკ. 10, 41-42). ბეთანიაში იესო ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა ოთხი დღის მკვდარი ლაზარე, მარიამის და მართას ძმა.

დღე მწუხრისკენ გადაიხარა და ჩვენც იერიქონს მივაშურეთ. ამ ქალაქში უფალმა განკურნა ბრმა და მოუწოდა მებაჟეთა მთავარ ზაქეს, რომელსაც ძლიერ უნდოდა იესოს ხილვა, მაგრამ ვერ შეძლო ხალხის სიმრავლის გამო, რადგან ტანად დაბალი იყო. იმდენად დიდი იყო მასში მაცხოვრის დანახვის სურვილი, რომ სირცხვილს სძლია და ლედესუღელის ხეზე აძვრა. ეს არ გამორჩენია გულთამხილავ უფალს, უხმო ზაქეს და სახლში ესტუმრა. ამ მოვლენამ ძირფესვიანად შეცვალა ცოდვილის ცხოვრება. ღმრთის განგებამ შემოინახა ლედესუღელის ხე, რათა გულისხმაყვით ძალა რწმენისა და სინანულისა.

იერიქონის მიდამოებში მდებარეობს მთა, რომელზეც მაცხოვარმა ლოცვითა და მარხვით ორმოცი დღე-ღამე გაატარა. ამის გამო მას უწოდებენ „ორმოცდღიან მთას“ ან კიდევ „განცდის მთას“, რადგან აქ განცდიდა უფალს ეშმაკი. მთაზე მართლმადიდებლური მონასტერია.

მზის ჩასვლამ მკვდარი ზღვის ნაპირას მოგვისწრო. აქ მცირე ხნით შევისვენეთ და ვიბანავეთ ზღვაში, რომლის წყალიც ძლიერ მლაშე და მწარეა. მასში არ მოიპოვება თევზი ან სხვა ცოცხალი არსება, და თუ იორდანედან თევზი შევიდა, სწრაფად იღუპება და ტალღები ნაპირზე გამორიყავს. „არასასიამოვნო აზრები ამეშალა ამ ზღვის ხილვაზედ, – წერს დეკანოზი პეტრე. – ეს ის ადგილია, რომელზედაც თვალნათლად გამოცხადდა ღმრთის რისხვა და წყევლა მეძავობით უკიდურესად გარყვნილ ცხოვრებისათვის ძველთა აქაურთა მცხოვრებთა. წარმომიდგა თვალსაჩინოდ დაბადების ის მოთხრობა, როდესაც ოთხი ქალაქი: სოდომ, გომორი, ადამუ და სებოიმ ზეცით მოვლენილმა ცეცხლმა შთანთქა; მხოლოდ განერა ამ საშინელს უბედურებას მართალი ლოტი თავის სახლობით, მაგრამ ცოლიცა მისი ურჩებისათვის გაქვავებულ იქმნა, რადგანაც, წინააღმდეგ ანგელოსთა ბრძანებისა, „მიიხილა მან უკუღმართ“, როდესაც მოესმა ხმა ზეცით გადმოსულ ჭექა-ქუხილისა. და იმ ადგილზედ, სადაც იყო ოთხი აღყვავებული ქალაქი, შემდეგ მათის შთანთქმისა, გაჩნდა ეს ჭეშმარიტად კუბრიანი ზღვა“.

რათა ადამიანებმა გულისხმაყონ ძალი ღმრთისა და თაყვანი-სცენ მას „სულითა და ჭეშმარიტებითა“

მკვლარი ზღვა ხმელეთის უდაბლეს ადგილას – ზღვის დონიდან ოთხასი მეტრით დაბლა მდებარეობს და იგი ერთგვარი სიმბოლოა ადამიანთა სულიერი სიკვდილისა. მის მახლობლად,

მდინარე იორდანეში, ნათელ-ილო ღმერთკაცმა იესო ქრისტემ, რათა ადამის მოღვაწე ცოდვით დაცემის უფსკრულიდან აღმოეყვანა და მარადიული სიცოცხლე მიენიჭებინა.

მდინარე იორდანე ერმონის მთისწინეთიდან დაახლოებით ათასი მეტრის სიმაღლიდან ჩამოედინება და ხეობით მკვდარი ზღვისკენ მიედინება. ამგვარად, მდინარე თითქმის კილო-მეტრნახევრის მანძილზე ეშვება, რის გამოც მიიღო სახელწოდება „იორდანე“ – ვარდნილი, დაშვებული, ჩამოსული.

პირველად ეს ადგილი ძველ აღთქმაში, დაბადების წიგნში მოიხსენიება. მოთხრობილია, როგორ აირჩია ლოთმა აბრაამთან განშორებისას იორდანეს მიდამოები. წმიდა მდინარე სასწაულებრივად გადალახეს აღთქმულ მიწაზე შესულმა ებრაელებმა. ოდესღაც გაიყო იორდანეს წყლები და იგი გადალახეს წმიდა წინასწარმეტყველებმა ილიამ და ელისემ. იორდანეს საზღვრებში ამაღლდა ილია ცეცხლოვანი ეტლით და დაუტოვა ელისეს თავისი ხალენი. იორდანეს წყლებში განიბანა და კეთრისაგან განიკურნა ნემან ასური. მაგრამ მთავარი და წმიდა ქრისტიანთათვის არის ის, რომ იორდანეში ნათელ-ილო უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ. აქ წმიდა სამების საიდუმლო განცხადდა.

უფლის ნათლისღების ადგილზე მლოცველებს წელიწადში მხოლოდ ერთხელ უშვებენ – 18 იანვარს (5 იანვარს ძვ. სტილით), ღმრთის განცხადების დღესასწაულის წინ, რადგან ეს ადგილი სასაზღვრო ზონაა. აქ იკრიბება უამრავი მართლმადიდებელი, მობრძანდება პატრიარქი და წყალკურთხევის ღოცვას პირდაპირ მდინარის პირას აღავლენს. ამ დღეს მორწმუნენი დიდი სასწაულის მოწმენი ხდებიან – იორდანე იწყებს აღმა სვლას. ბუნების კანონები იცვლება, რათა აღამიანებმა გულისხმაყონ ძალი ღმრთისა და თაყვანი-სცენ მას „სულითა და ჭეშმარიტებითა“ (იოვან 4, 23), რაც მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის მადლმოსილ წიადშია შესაძლებელი.

ამ მადლმოსილ ადგილას ჩვენ შევხვდით ჩვენი დროის დიდ სასწაულს

მას შემდეგ, რაც ქრისტეს ეკლესია წარმართული სამყაროს სამსაუკუნოვანი დევნისაგან გათავისუფლდა და მასში მშვიდობამ დაისადგურა, სულიერი სრულყოფილების მაძიებლებმა ქალაქებისგან მოშორებით, უდაბურ ადგილებში დამკვიდრება იწყეს. მოწამეობრივი დეაწლი სულიერმა მოწამეობამ, მონაზვნობამ შეცვალა. ამ მიზნით ბევრი ქრისტიანი იუდეის უდაბნოში მიდიოდა სამოღვაწეოდ; აქ ხომ თავის დროზე მონაზვნური ცხოვრების ფუძემდებელი – წმიდა იოანე ნათლისმცემელი იღვწოდა. თანდათანობით აღმოცენდა ზოგადსაცხოვრებელი სავანეები, სადაც ერთდროულად მრავალი ბერი ეწეოდა ქრისტეს ტკბილ უღელს.

ერთ-ერთი მათგანია ვადი კელტის ხეობაში, ოდესღაც წყალმრავალი მდინარის დამშრალ კალაპოტთან კლდეზე აღმართული წმიდა გიორგის მონასტერი. აქ, მღვიმეში ცხოვრობდა დედოფალ იეზაბელის მიერ დევნილი ღმრთის წინასწარმეტყველი ილია, რომელსაც სამწელიწადნახევრის მანძილზე ყორანი უზიდავდა საკვებს. ეს ადგილები ეკუთვნოდა წმიდა იოაკიმეს, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მამას. აქ ძოვდა მისი ფარა. როგორც გადმოცემა გვაუწყებს, ილია წინასწარმეტყველის მღვიმეში იგი ღრმა მწუხარებით ევედრებოდა ღმერთს მისთვის შვილის მონიჭებას. აქ მისი ღოცვა შესმენილ იქნა და ღმრთისგან ეუწყა, რომ მას და მის ცოლს, წმიდა ანას, ეყოლებოდათ კურთხეული ასული, რომელიც სიხარულს მოუტანდა მთელ მსოფლიოს. ამ მადლმოსილ ადგილას ჩვენ შევხვდით ჩვენი დროის დიდ სასწაულს. მონასტერში უხრწნელად განისვენებს ახალგაზრდოვანი წმიდანი იოანე რუმინელი, რომელმაც მიწიერი ცხოვრების უკანასკნელი შვიდი წელი გაატარა სავანის მახლობლად ერთ მღვიმეში, უდაბნოში, სადაც გადმოცემის თანახმად სიცოცხლის ბოლოს მოღვაწეობდა წმიდა ანა, ქალ-

წელ მარიამის დედა. ღირსი იოანეს გარდაცვალების შემდეგ მოხდა ასეთი სასწაული. წესის აგებისას მღვიმეში უეცრად შემოფრინდა ურიცხვი ჩიტი, რომლებსაც ჩვეულებრივ კვებავდა წმიდანი. ამჯერად ისინი არც კი მიჰკარებოდა საკვებს, არამედ დაფრინავდნენ სხეულის გარშემო, ასხდებოდნენ თავზე, მკერდზე, ხელებსა და ფეხებზე და ყვიროდნენ. ასე გააცილეს მათ ანგელოზებთან ერთად ეს საკვირველი მოღვაწე. ღირსი მამა იქვე, მღვიმეში დაკრძალეს.

გავიდა ოცი წელიწადი. და აი, წმიდანი ძილში გამოეცხადა თავის მოწაფეს და უბრძანა მისი ნაწილების გახსნა. იმავე წელს მონასტერში ამერიკიდან ჩამოვიდა ჯგუფი ბერძენი მომლოცველებისა, რომლებმაც ისურვეს მამა იოანეს კუბოს თაყვანისცემა. და როდესაც იღუმენის თანხლებით ისინი მღვიმეში მივიდნენ და კუბოს სახურავი მოხსნეს, უეცრად იქაურობა საოცარი კეთილსურნელებით აივსო. მართალი იოანეს სხეული იყო სრულიად უხრწნელი, ხრწნა არ შეხებოდა სახეს, წვერს, თმებს, ტანისამოსს და ფეხსაცმელს; თითქოს იგი რამდენიმე საათის წინ დაეკრძალათ. ყველამ ცოცხალი რწმენითა და სიხარულით თაყვანისცა ახალგამოჩინებული წმიდანის კეთილსურნელოვან ნემსს, რომელიც შემდგომ მონასტერში გადაასვენეს.

აი, ამგვარი სასწაულებით არის აღსავსე წმიდა მიწა, რომლებიც მთელი მსოფლიოს გასაგონად დადავებენ მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას და ადამიანებს უხმობენ სინანულისკენ. „აჰა ესერა ვღვა კარსა ზედა და ვჭრეკ. უკუეთუ ვინ ისმინოს ხმისა ჩემისა და განადოს კარი, და შევიდუ მის თანა და ვჭამო მის თანა სერი, და მან – ჩემ თანა“ (გამოცხ. 3, 20), – ამბობს უფალი. ხშირად ღმერთი სწორედ სასწაულების ენით უხმობს ადამიანს. მაგრამ, საუბედუროდ, მხოლოდ ერთეულებს ესმით ღმერთის ეს ხმა, როგორც ოდესღაც ღირსი დედის, მარიამ მეგვიპტელის სული შეძრა იერუსალიმში, აღდგომის ტაძარში მომხდარმა სასწაულმა. მან დაუტევა სოფელი და დარჩენილი ცხოვრება იორდანეს გაღმა სინანულში გაატარა, რამაც იგი დაცემის უფსკრულიდან ზეცაში აღიყვანა.

იგი შემწეა მასთან რწმენით და სასოებით მიმავალთა

იუდეის უდაბნოში მრავლადაა სულიერი ოაზისები – მართლმადიდებლური მონასტრები, რომელთა შორის გამორჩეულია წმიდა საბას ლავრა. „ჩრდილო-აღმოსავლეთით ბეთლემიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთით იერუსალიმიდან, სამი საათის მანძილზედ ამ ქალაქებიდან, დასავლეთის კიდეზედ ცეცხლის მდინარისა, სალსა და ღაღა-ღუღა კლდეებ შორის, გახურვებულის ცის ქვეშ იუდიანთა უდაბნოსა, არის გადმოკიდებულ, მსგავსად მოურევნელის გოლიათისა, თოთხმეტ საუკუნიანი ბურჯი მართლმადიდებლობისა პალესტინაში – ლავრა წმიდა საბასი, პირველ-სახე მოღვაწეობითის სისრულისა და სიბრძნისა ქრისტეანობითისა“.

ეს ლავრა დააფუძნა ღირსმა საბამ 502 წელს. თავდაპირველად იგი შედგებოდა რამდენიმე სენაკისგან, რომლებშიც ცხოვრობდნენ თვითონ დამფუძნებელი და მისი მოწაფენი. ეკლესია მოთავსებული იყო დიდ მღვიმეში. მცირე ხნის შემდგომ იმპერატორმა იუსტინიანემ, იხილა რა წმიდა საბას სათნოებანი, მონასტერი გალავნებითა და ციხეებით გარეშემოზღუდა და სხვა შენობებით და მდიდარი შეწირულობით განაშენა. ღირსი მამის ლოცვით მრავალი სასწაული აღსრულდა: ლავრის შუაგულში წყარომ ამოხეთქა, გვალვის დროს უხვი წვიმა მოვიდა, იკურნებოდნენ სნეულნი და ეშმაკეულნი. წმიდა საბას ლავრა თავისი აყვავების პერიოდში იტევდა ხუთი ათასზე მეტ მონაზონს იმათ გარდა, ვინც გარშემო მღვიმეებში მოღვაწეობდა. დამფუძნებლის ანდერძით ლავრაში შესვლა ქალებს აკრძალათ და ამ წესს დღემდე იცავენ.

საბაწმიდის ისტორია სისხლიანი ფურცლებითაა სავსე. 614 წელს ლავრას თავს დაესხნენ სარკინოზები და მოწყვიტეს მრავალი რიცხვი ძმათა. რამდენჯერმე ააოხრეს იგი სპარსელებმა, არაბებმა და ბოლოს თურქებმა. მეთექვსმეტე საუკუნეში სულთანმა სელიმმა დაიპყრო პალეს-

ტინა და იერუსალიმში დანიშნა ახალი მმართველი. მაშინ მის წინაშე წარდგნენ ლავრის ძმანი მფარველობის გამოსათხოვად და მიართვეს მცირედი ძღვენი – ახალი ხილი და ბოსტნეული. მმართველი განცვიფრდა, როდესაც ერთნაირად ღარიბად შემოსილი ათასი მონაზონი იხილა. მან ძღვენი კი მიიღო, მაგრამ ბრძანა მათი ამოწყვეტა ოცი კაცის გარდა, რომელთაც მონასტერში დაბრუნების ნება დართო.

წმიდა საბას ლავრა მღებარეობს მაღალი სალი კლდეებით მოზღუდული ღრმა ხეობის თავზე, რომელსაც არაბები უწოდებენ „ცეცხლის ხევს ანუ ცეცხლის ნაკადულს“, ხოლო ბერძნები – „ცეცხლის მდინარეს“ იმ საშინელი პაპანაქება სიცხეების გამო, აქ რომ იცის ზაფხულობით. გაიღება რკინის კარი და საფეხურებით დაეშვებით ეზოში, სადაც დაინახავთ მარმარილოთი აღშენებულ სამლოცველოს. აქ განისვენებდნენ ღირსი საბას უხრწნელი ნაწილები, რომლებიც შემდგომში ღმრთისმშობლის ხარების მთავარ ტაძარში, ხის ლუსკუმაში დააბრძანეს. დასავლეთ მხარეს არის სენაკი ეკლესიის დიდი მნათობის – იოანე დამასკელისა. აქ მან აღწერა „თვისნი მიუბაძვნი საეკლესიო გალობანი – ქრისტე მაცხოვრის აღდგომისა და ცხრა საუფლო და საღმრთისმშობლო დღესასწაულთა, დიადად გულის აღმაფროთოვანებელნი, დამატკობელნი, და ეგრეთვე მანუგეშებელნი და ღმობიერნი საგალობელნი, რომელნიც ანდერძის წესის შესრულების დროს იგალობებიან და წაიკითხებიან“.

პირველ ყოვლისა თაყვანი-ვეცით საბა განწმედილის უხრწნელ ნაწილებს. თხუთმეტმა საუკუნემ ვერაფერი დააკლო ღირსი მამის მადლმოსილ სხეულს. იგი შემწეა მასთან რწმენით და სასოებით მიმავალთა. უმზერ მას და ფიქრობ: განა შეედრება მიწიერი პატივი და სიამენი მარადიულ დიდებას ღმრთის სასუფეველში? არა, ნამდვილად. ნეტარნი არიან ის მამანი, ლავრის კედლებში წუთისოფელს განრიდებულნი სულის ცხონებისათვის რომ იღვწიან. სათნონი, წრფელნი, ქრისტესმიერი სიყვარულით და უბრალოებით აღსავსენი...

მამებმა სითბო მისვლისთანავე გვაგრძნობინეს. ჩვენი მეგზური, მამა ევლოკიმე, ტაძრის საკურთხეველში შეგვიძღვა და საშუალება მოგვცა, თაყვანი-გვეცა ლავრის სიწმიდეების – უფლის ეკლიანი გვირგვინის ნაწილის, მოციქულთა, მღვდელმთავართა, ღირსთა და მოწამეთა ნაწილებისათვის. ბოლოს უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილიანი ჯვრით დაგვლოცა და თითოეულ ჩვენგანი დაასაჩუქრა გულსაკიდი სანაწილე ჯვრით, რომელშიც თავისი ხელით ჩავვიდო ლავრაში უსჯულოთაგან მოწყვეტილი ბერის წმიდა ნაწილი.

სადამო ჟამს მამებმა ტრაპეზზე მიგვიპატიუეს და შემდგომ სენაკებში მოგვასვენეს, რათა ღამისთევით ღოცვისთვის ძალები მოგვეკრიბა. მსახურება გამთენიისას დასრულდა. წირვის შემდეგ ბერ-მონაზვნები ჩვეულებრივ ვერანდაზე გამოდიან, მცირედ საზრდელს მიიღებენ და ფრინველებს აპურებენ, რომლებიც მონასტრის გარშემო მრავლად დაფრინავენ. ისინი მამებს ისე პყავთ მიხვეული, რომ პირველივე დაძახებაზე მოფრინდებიან, ხელებსა და მხრებზე ასხდებიან და მშვიდად კენკავენ საჭმელს.

დილით მოვინახულეთ საბა განწმედილის მღვიმე, რომელიც ხეობის გადაღმა მღებარეობს და კლდეშია გამოკვეთილი. აქ იგი მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა, სანამ ლავრას დააფუძნებდა. მოვილოცეთ სხვა მეუდაბნოეთა მღვიმეებიც და დავბრუნდით სავანეში, რათა დავმშვიდობებოდით მამებს, გულში რომ ჩავვიკრეს და ისეთი სითბო ჩავვიღვარეს, როგორც ძნელად თუ მოიპოვება წუთისოფელში.

„თითქოს მიწის გულიდან არის ამოზრდილი იგი და მიპყრობილი ზეცას“

როდესაც უფალმა უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალის შემდეგ ებრაელები აღთქმულ მიწაზე შეიყვანა, მათ თვალწინ გადაიშალა მწვანე ველები, აყვავებული მდელოები, უმდიდრესი ზვრები და უმშვენიერესი ხეხილის ბაღები. დღეს იუდეა, ანუ პალესტინის სამხრეთ ნაწილი,

მეტწილად ხმელ და უნაყოფო მიწადაა ქცეული. ეს აშკარა კვალია ღმრთის რისხვისა მაცხოვრის უსამართლოდ დაღვრილი სისხლისათვის. იუდეასთან შედარებით გალილეა, ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი, ფრიად ნაყოფიერია. იგი, ვითარცა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სამშობლო, მისი მიძინების შემდგომ სარგებლობს მისივე უზენაესი მფარველობითა და ზეციური კურთხევით.

ქალწული მარიამი დაიბადა ქალაქ ნაზარეთში. აქვე გაიარა იესო ქრისტეს ყრმობისა და სიჭაბუკის წლებმა. მთელს გალილეაში არ იყო მასზე უმნიშვნელო ქალაქი; „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რადესამე ყოფად?“ – ამბობდნენ ებრაელები, როცა გაიგეს, რომ იქიდან გამოჩნდა მაცხოვარი. აი, რას წერს მის შესახებ არქიმანდრიტი რაფაელი: „ქალაქი ნაზარეთი მდებარეობს მთიან ადგილას, ბორცვებს შორის. თითქოს მიწის გულიდან არის ამოზრდილი იგი და მიპყრობილი ზეცას. მისი სილამაზე გამორჩეულია – ნაზი, ქალწულებრივი. ერთი ცნობილი მკვლევარი, რომელიც მრავალი წელი მოგზაურობდა ახლო აღმოსავლეთში, წერდა, რომ არსად უნახავს ისეთი მშვენიერი მინდვრის ყვავილები, როგორც ნაზარეთის შემოგარენში...

ნაზარეთი ნიშნავს „რჩეულს“, „განცალკევებულს“. ეს პატარა ქალაქი საქარავნო გზებისაგან, პალესტინის ხორბლის ყანებისა და დიდი სავაჭრო ქალაქებისგან მართლაც მოშორებულია. თითქოს ღმერთმა გამოარიდაო სოფელს – როგორც მარგალიტი ჩამალა. იგი არ არის მოხსენიებული ძველ აღთქმაში; მის შესახებ დუმს იოსებ ფლავიუსი. მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ მოხვდა იგი ისტორიკოსების ფურცლებზე...“

აი, ამ ყველასათვის უცნობ ქალაქში მოივლინა ღმრთის მთავარანგელოზი გაბრიელი და ქალწულ მარიამს ახარა სიხარული გამოუთქმელი: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის. აჰა ესერა შენ მუცლად-ილო და ჰმევე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ. ესე იყოს დიდ და ძე მადლის ეწოდოს“ (ლუკ. 1, 28-32). ნაზარეთში შესრულდა საუკუნითგან დაფარული საიდუმლო ადამიანთა მოღვმის გამოსხნისა.

იესო ქრისტეს შობის შემდეგ წმიდა ოჯახი ჰეროდეს შიშით ეგვიპტეში გაიქცა, სადაც ორი წელიწადი გაატარა. ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ ისინი პალესტინაში დაბრუნდნენ და კვლავ ნაზარეთში, მართალი იოსების სახლში დასახლდნენ. მათი საცხოვრებელი კლდეში ერთმანეთის თავზე ამოკვეთილი ორი ოთახისგან შედგებოდა, რომლებიც ერთიმეორეს ქვის კიბით უკავშირდებოდა. ზემო ოთახში ცხოვრობდა ღმრთისმშობელი ქალწული. ქვევით, პატარა ეზოში, იოსების სახელოსნო იყო, სადაც იგი ღურგლობას ეწეოდა. მას თავის საქმიანობაში ესმარებოდა იესო ქრისტე.

ამჟამად ამ წმიდა ადგილზე ლათინთა ეკლესია მდებარეობს. მართლმადიდებლური ტაძარი კი იმ წყაროზეა აგებული, რომლიდანაც ყოვლადწმიდა მარიამს შინ წყალი მიჰქონდა. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ქართველებს ოდესმე ნაზარეთში ჰქონიათ ოთხი მონასტერი.

„მისნი წყალნი და კლდენი არიან წმიდა ყოველთა ქრისტეანეთათვის“

როდესაც იესო ქრისტეს 30 წელი შეუსრულდა, მან დედასთან ერთად ნაზარეთი დატოვა. ამ დროისთვის იოსებ დამწინდველი უკვე გარდაცვლილი იყო. ღმრთისმშობელი დასახლდა კაპერნაუმში, პეტრე მოციქულის სახლში. ამ ქალაქში დაყო უფალმა თავისი მიწიერი ცხოვრების ბოლო სამი წლის უმეტესი ნაწილი. აქვე აღასრულა მან თავისი სასწაულთაგან უმრავლესი. მაგრამ მაცხოვრის ყოფნამ კაპერნაუმში მის მკვიდრთა შორის გაღიზიანება გამოიწვია. ისინი სულიერად ბრმა აღმოჩნდნენ მისი სასწაულების ხილვისას და ყრუ – მისი ქადაგებების მოსმენისას. მათ შესახებ უფალმა თქვა: „ხოლო შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმე აჰმადლდები, არა-

მედ ჯოჯოხეთადმდე შთაჰკვდე“ (მათ. 11, 23). რამდენიმე საუკუნის შემდეგ უღმრთო ქალაქისგან ნანგრევები დადარჩა.

მაცხოვარმა ფერი იცვალა თაბორის მთაზე, სადაც თავის ჯვარცმამდე ორმოცი დღით აღრე აიყვანა ყველაზე ერთგული მოწაფენი – პეტრე, იაკობ და იოანე; „და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკი, ვითარცა ნათელი“. ეჩვენა მათ მოსე და ილია და ესაუბრებოდნენ იესოს. უფალმა ხილულად განუცხადა მოციქულებს თავისი ღმრთაებრივი დიდება – მარადიული ნათელი, მზის ნათელზე უფრო სპეტაკი და ბრწყინვალე, რომელიც თვალს კი არ სჭრიდა მათ, არამედ გამოუთქმელი სიხარულით, ზეციური მშვიდობითა და ნეტარებით აღავსებდა. „უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფად“, – დაღაღ-ჰყო პეტრემ. მას სურდა სამუდამოდ გაგრძელებულიყო ეს სიხარული. ამ დროს ნათლის დრუბელმა დაფარა ისინი და მოისმა ხმა ზეცით: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ“ (მათ. 17, 1-9). ხილვა დასრულდა.

თაბორის მთა აღმართულია გალილეის ცენტრში. მისი სწორი, ნარნარი მოხაზულობა თითქმის ყოველი მხრიდან მოჩანს. იგი დაბლობზე ოკეანიდან ამომართული კუნძულივითაა ამადლებული. მთიდან თვალწარმტაცი ხედი იშლება მთელ გალილეაზე, ახლომდებარე მინდვრებსა და ბორცვებზე, ნახარეთზე. მართლმადიდებლური ტაძარი თაბორის მთაზე 1911 წელს აიგო ელენე დედოფლის მიერ აშენებული და შემდგომ უსჯულოთაგან დანგრეული ეკლესიის ადგილზე. მისი საკურთხეველი მდებარეობს ზუსტად იქ, სადაც მოხდა უფლის ფერისცვალება. ყოველი წლის 19 აგვისტოს (6 აგვისტოს ძვ. სტილით) ამ ტაძარს მადლმოსილი დრუბელი ადგება, რაც მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებასა და ძველი სტილის სისწორეს მოწმობს.

თაბორის მთიდან ჩამოსულებს და პაპანაქება სიცხით გათანგულებს ძალას შეგმატებთ გალილეის ტბის წყალში გაგრილება. „გალილეას ტბა და მისნი მიდამონი იყვნენ განსაკუთრებით საყვარელ მათ შემოქმედის და ღმრთისა, მის ოცდაათცამეტის წლის ქვეყნიერ ცხოვრების დროსა. იგი არს განსაკუთრებით სახარების ტბა, რამეთუ მასხედა და მის ნაპირებზედა შესრულდენ სახარების მრავალნი მოთხრობანი; მისნი წყალნი და კლდენი არიან წმიდა ყოველთა ქრისტეანეთათვის. აქ იქმნენ აღრჩეულ ქვეყნის მაცხოვრისა მიერ მოციქულნი: სვიმონ, წოდებული პეტრედ, და ძმა მისი ანდრია, იაკობ და ძმა მისი იოანე. აქ ასწავებდა უფალი ერსა, რომელიც მიისწრაფებოდა მისი მიმართ, ვითარცა სულიერად მწყურვალე უკვდავებისა წყაროსადმი, და თვითონ მაცხოვარი შევიდა ნავსა სვიმონ-პეტრესსა და აქედან, ვითარცა კათედრიდან, წარმოსთქვა თვისნი ღმრთაებრივნი იგავნი. აქ იმავე პეტრემ, რომელიც მრთელი ღამე უქმად დაშვრა თვისის ამხანაგებითა თევზის ჭერაში, როდესაც ესროლა ბადე ზღვაში ბრძანებისაებრ უფლისა, დაიჭირა ესრეთი სიმრავლე თევზთა, რომ განკვირვებამან შეიპყრო იგი და ყოველნი, რომელნი იყვნენ მისთანა, ესრეთის თევზის ნადირობისაგან. ამ ტბის წყალთა ზედა ვიდოდა მაცხოვარი, ვითარცა ხმელთა ზედა, დააყუდა დელვანი და ქარნი ბრძანებითა თვისითა, და დაიხსნა პეტრე ამ ზღვაში დარჩობისაგან. ამის ნაპირზედ – ქალაქს კაპერნაუმში სცხოვრებდა თვით უფალი, როდესაც გადმოსახლდა აქ ნახარეთიდგან ყოვლადწმიდა თავის დედით და მოწაფეებითურთ. აქვე იწყო უფალმა პირველივე თვისი ქადაგება: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“...

**„რადენი საიდუმლო, საკვირველ დიდებული შეერთებულია
სახელწოდებაში „იერუსალიმი!“**

ბაღმოცნობით, ქალაქი იერუსალიმი აღაშენა ღმრთის დიდმა მღვდელმთავარმა და სალიმის მეფემ მელქისედეკმა. მან იერუსალიმში გადმოასვენა პირველი მამის, ადამის, გვამი,

რომელიც დაცული იყო ნოეს მიერ კიდობანში წარღვნის დროს და დაფლა იგი გოლგოთაზე. წმიდა პავლე მოციქულის განმარტებით, სახელწოდება „სალიმი“ ნიშნავს მშვიდობას, ხოლო „მელქისედეკ“ – მეუფეს სიმართლისა (ებრ. 7, 2). „რავდენი საიდუმლო, საკვირველ დიდებული შეერთებულია სახელწოდებაში „იერუსალიმ!“ მელქისედეკ, მეუფე სიმართლისა, და ძველი აღთქმის მღვდელმთავარი, პირველ-მომასწავებელი ქრისტე მაცხოვრისა, სიტყვისაებრ წინასწარმეტყველისა დავითისა, „შენ ხარ მღუდელ უკუნისამდე წესსა ზედა მელქისედეკისსა“ (ფს. 109, 4), აშენებს „ქალაქსა მშვიდობისასა“ და დაჰფლავს მას შინა გოლგოთაზედა დაცემულს ადამსა. ახალის აღთქმის საუკუნო მღუდელმთავარი – ძე ღუთისა ამ ქალაქსა მშვიდობისას გოლგოთაზედვე თვისის ნებსითის სიკვდილით შეარიგებს შემოქმედთან დაცემულს ქმნილებას ღუთისას და მესამე დღეს აღდგომითა თვისითა მშვიდობას სოფელსა მოანიჭებს!..“

სადმართო წერილში იერუსალიმი პირველად ისუ ნავეს წიგნში მოიხსენიება: „და გამოიყვანეს მისდა ხუთნი მეფენი ქვაბით და მეფე იერუსალიმისა“. უძველესი დროიდან ებრაელთა ქანაანის მიწაზე მოსვლამდე იერუსალიმს იებუსელნი, ქამის ძის, ქანაანის შთამომავალნი ფლობდნენ. დავითმა გამეფების შემდეგ იებუსელნი იერუსალიმიდან გამოდევნა და იგი თავისი სამეფოს სატახტო ქალაქად გამოაცხადა. აქ მან ახალი მოძრავი კარავი დადგა და მოსეს კარვიდან მასში დიდი ზეიმით გადაიტანა სჯულის კიდობანი.

დავითის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძე სოლომონი, რომელმაც იერუსალიმში დიდებული ტაძარი აღაშენა. ეს იყო მსოფლიოში ერთადერთი ტაძარი, რომელიც ერთ ღმერთს ეძღვნებოდა და წარმართული სამყაროს თავზე ისე აღმართულიყო, როგორც შუქურა – მაღალ და ფრიალო კლდეზე. მაგრამ გავიდა ხანი და ისრაელი განუღვა ღმერთს. იერემია წინასწარმეტყველის ცხოვრებაში წერია, რომ ისრაელის მეფე სედეკია წარმართულ ღმრთაებებს ყველაზე საშინელ და შემზარავ მსხვერპლს სწირავდა: ის ორსულ ქალებს მუცელს უჭრიდა, საშოდან გლეჯდა ბავშვს და ბაალის კერპის წინ წვადა. ხალხმა თავის ბოროტმოქმედ მეფეს მიბაძა და სასჯელიც მოიწია. ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი მიწასთან გაასწორა და ებრაელები ტყვეობაში გარეკა.

იუდეველები ტყვეობაში 70 წელიწადს იყვნენ. ამ დროის შესრულებამდე სპარსეთის მეფე კვიროსმა დაიმორჩილა ბაბილონის სამეფო და იუდეველებს სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა. დაბრუნებისთანავე მათ აღადგინეს იერუსალიმი და ძველი ტაძრის ადგილზე ახალი ააგეს. ისინი წუხდნენ, რომ იგი სოლომონის ტაძარზე უფრო მცირე და ღარიბ იყო, მაგრამ წინასწარმეტყველნი ანგია, ზაქარია და მალაქია ანუგეშებდნენ, რომ ამ ტაძრის დიდება უმეტესი იქნებოდა პირველისაზე, რადგან მასში მოვიდოდა მხსნელი სოფლისა.

იესო ქრისტეს შობამდე 301 წელს ისრაელი დაიპყრო ეგვიპტის მეფე პტოლემეოსმა. მან ბრძანა ბიბლიის თარგმნა ებრაულიდან ბერძნულ ენაზე. ამისთვის ებრაელთაგან გამოირჩიეს სამოცდაათი ბრძენი და მწიგნობარი კაცი, რომელთა შორის იყო მართალი სვიმეონიც. ესაია წინასწარმეტყველის სიტყვების: „აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე“ (ეს. 7, 14) თარგმნისას, სვიმეონი ეჭვმა შეიპყრო და გადაწვიტა, თავისი ხელნაწერიდან ამოეშალა სიტყვა ქალწული. მას ეჩვენა უფლის ანგელოზი და აუწყა, რომ არ იგემებდა სიკვდილს, სანამ არ იხილავდა ქალწულისაგან შობილ ღმერთს. იმ დროიდან სვიმეონი მსურვალე გულისწადილით მოელოდა მაცხოვრის მოსვლას.

ასე ამხილა ღმერთმა უღმერთონი და თავისი გამოუთქმელი კაცთმოყვარებით მოაქცია შეცდომილნი ცხონების გზაზე

და აი, დადგა ცოდვით დაცემული ადამის მოდგმისათვის ღმრთის მიერ აღთქმული მე-
სიის მოსვლის ჟამი. ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისგან იშვა ძე ღმრთისა, რათა ცოდვისა და

სიკვდილის მონობისგან ეხსნა კაცობრიობა და დაებრუნებინა ზეციური მამის წიაღში. შობიდან მეორმოცე დღეს, სჯულის თანახმად, მიმადლებულმა მარიამმა და იოსებ დამწინდველმა ყრმა იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს. მართალი სვიმეონიც იმ დროს იქ იმყოფებოდა. მან სულიწმიდის მადლით გულისხმაჰყო, რომ ეს ყრმა იყო აღთქმული მესია, ეს დედა კი – წმიდა ქალწული, რომელზეც აღსრულდა ესაიას წინასწარმეტყველება. კრძალვითა და სიხარულით აიყვანა მან ხელეში უფალი და შეჰკლადადა: „აწ განუტყვევ მონად შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებად შენი...“ (ლუკ. 2, 29); მადლობა შესწირა ღმერთს, რომელმაც მიმადლა ნუგეში ისრაელს, და სულ მალე 365 წლის ასაკში განუტყვევ სული.

მაგრამ ჰოი, საოცრებაჲ! ისრაელმა ვერ იცნო მხსნელი, ვისაც ათასწლეულების მანძილზე სასოებით მოელოდა, და მოკლა იგი. თავის ჯვარცმამდე მცირე ხნით ადრე ზეთისხილის მთიდან იერუსალიმის ხილვისას იესო ქრისტემ იტირა მასზე და თქვა: „უკუეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშვიდობად შენდა! ხოლო აწ დაეფარა თუალთაგან შენთა. რამეთუ მოვლენან დღენი შენ ზედა, და მოგადგან შენ მტერთა შენთა ლაშქარი და გარე-მოგადგენ შენ და შეგაკრიბონ შენ ყოვლით კერძო. და დაგარღვიონ შენ, და შვილნი შენნი შენ შორის დაეცენ, და არა დაჰშთეს ქვაჲ ქვასა შენ შორის ამისთვის, რამეთუ არა გულისხმა-ჰყავ კამი მოხედვისა შენისაჲ“ (ლუკ. 19, 41-44). ეს წინასწარმეტყველება მალე აღსრულდა. ქრისტეს შობიდან 70 წელს რომაელმა მხედართმთავარმა ტიტუსმა შემუსრა იერუსალიმი და მიწასთან გაასწორა წმიდა ტაძარი. უთვალავი ებრაელი დაიღუპა ან მიმოიფანტა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მათ მუდამ თან სდევდა დევნა და გასაჭირი და დღემდე მშვიდობა სანატრელია მათთვის.

135 წელს რომის კეისრის ადრიანეს ბრძანებით იერუსალიმი ხელმეორედ დაანგრეს. მან ქრისტეს ჯვარცმის ადგილზე აღაშენა ვენერას, ხოლო აღდგომის ადგილზე – იუპიტერის ბომონი. თავად ქალაქს შეუცვალა სახელი და უწოდა ელია კაპიტოლინა. წარმართებს სურდათ სრულიად დაეფარათ და ქრისტიანთათვის მოესპოთ ეს წმიდა ადგილები. მაგრამ ამას იყო მათი მზაკვარებანი. იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის სიწმიდეები სამასი წლის განმავლობაში დაცული იყვნენ ქრისტიანთა ხსოვნაში, რომლებიც მოდიოდნენ და საიდუმლოდ თაყვანს-სცემდნენ მათ.

ქრისტეს სიყვარულით აღძრულმა პირველმა ქრისტიანმა მეფემ, წმიდა კონსტანტინე დიდმა და მისმა დედამ, ნეტარმა ელენემ მოისურვეს ამ წმიდა ადგილების აღმოჩენა. 326 წელს ელენე დედოფალმა იპოვა უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი და იესო ქრისტეს ჯვარცმისა და ბრწყინვალე აღდგომის ადგილზე აღაშენა დიდებული ტაძარი. მან დაამხო იერუსალიმში მდგომი წარმართული ბომონები და მთელი წმიდა მიწა ქრისტიანული ტაძრებით შეამკო.

გავიდა მცირე ხანი და ბიზანტიის სამეფო ტახტზე ავიდა იულიანე განდგომილი, ქრისტიანობის მტერი. მან ებრაელებს მოუხსნა ხარკი, აღუთქვა ხელშეუხებლობა და ბრძანა, აღედგინათ იერუსალიმის ტაძარი. ათიათასობით ებრაელი სიხარულით გამოეხმაურა უსჯულო მეფის ბრძანებას და ამ საქმისთვის გაღებული შეწირულობის გარდა ისურვა მშენებლობაში პირადად მიეღო მონაწილეობა.

მშენებლობის დასაწყისშივე ძლიერმა ნისლმა ხელი შეუშალა სამუშაოებს. 362 წლის ბოლოს კი დაიწყო საშინელი მიწისძვრა, რომელმაც დაანგრია რამდენიმე ქალაქი, ზოგიერთ ოლქში კი ზღვის ტალღებმა პირისაგან მიწისა ალგავეს ყველაფერი. მიწისძვრის ცენტრი იერუსალიმში იყო. ქვის მთლებებს ადარ შეეძლოთ მუშაობის გაგრძელება. მათ არაერთხელ დახვდათ რამდენიმე საათის წინ გათხრილი საძირკვლები ნანგრევებით და მიწით ამოვსებული. მრავალი დაიღუპა მიწისძვრის დროს ჩამოცვენილი ქვებით. ყველაფრის მიუხედავად, იულიანეს

ბრძანებით სამუშაოები კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ახლად მოწეულმა რისხვამ გატეხა მათი წინააღმდეგობა.

ზეცაში გამოჩნდა ცეცხლოვანი ჯვრები, რომელთაგანაც ცეცხლოვანი ბურთები ცვიოდნენ მშენებლობის ადგილზე და წვავენენ იქ მომუშავეებს. მრავალი თვითმხილველის პერანგზეც ჯვარი აღიბეჭდა. ამ საოცრების მომსწრე იუდეველები და წარმართები ერთხმად აღიარებდნენ ქრისტიანთა ღმერთს, აღიღებდნენ მას და ცდილობდნენ უფლისთვის გული მოეღბოთ, რათა ის საშინელი რისხვა მათაც თავზე არ დასტეხოდათ. მრავალი ადამიანი ქრისტიან მღვდლებთან გარბოდა, რათა მათთვის მხურვალედ ეთხოვათ ეკლესიის წიაღში მიღება, მართლმადიდებლურ სწავლებაში განსწავლა და შემდგომ ნათლისღება. ასე ამხილა ღმერთმა უღმრთონი და თავისი გამოუთქმელი კაცთმოყვარებით მოაქცია შეცდომილნი ცხოვნების გზაზე.

აქ იწყება უფლის ვნების გზა – ვია დოლოროსა

უზარმაზარი გალავნით გარშემორტყმული ძველი იერუსალიმი მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს დიდი, თანამედროვე ქალაქისა. გალავანში შვიდი კარიბჭეა დატანებული. ერთ-ერთი მათგანი, ოქროს კარიბჭე ანუ „კარიბჭე წყალობისა“, ამჟამად ამოქოლილია. გადმოცემით, სწორედ მისი გავლით შევიდა ჩოჩორზე მჯდომი უფალი ღიღებით იერუსალიმში. ამ ადგილის მახლობლად გეთსამანიის ბაღია, სადაც საიდუმლო სერობის შემდეგ მაცხოვარი თავის მოწაფეებთან ერთად მივიდა და ლოცულობდა: „მამო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმკვდინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებაგს, არამედ ვითარცა შენ“ (მათ. 26, 39). გეთსამანიის ბაღში დგას რვა ბებერი ზეთისხილის ხე, რომლებიც შესაძლოა მოწმენი იყვნენ იუდას ამბორისა და ებრაელთა მიერ იესო ქრისტეს შეპყრობისა.

აქედან უფალი წაიყვანეს მღვდელმთავარ ანას სახლში, სადაც მას მოუწყვეს სამსჯავრო და გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი, „ჰნერწყვიდეს პირსა მისსა და ჭურთითა სცემდეს თავსა მისსა, და რომელნიმე ყურიმალსა სცემდეს“ (მათ. 26, 67). განაჩენის სისრულეში მოსაყვანად უღმრთო მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა ძე ღმრთისა მიიყვანეს პილატესთან, რომელიც ცხოვრობდა ჰეროდეს მიერ თეთრი მარმარილოთი აშენებულ მდიდრულ სასახლეში – პრეტორიუმში. ამ სასახლის აივანზე გამოიყვანა პილატემ უფალი და ჰკითხა გარეთ შეკრებილ ებრაელთა ბრბოს, ვისი გათავისუფლება სურდათ: კაცისმკვლელი ბარაბასი თუ იესო ქრისტესი, რაზეც ებრაელებმა ერთხმად უპასუხეს: ბარაბა, და მოითხოვეს ქრისტეს ჯვარცმა. დღეს ამ ადგილას დგას სკოლა. აქ იწყება უფლის ვნების გზა – ვია დოლოროსა.

აღვლევებული ბრბოს დასაშოშმინებლად პილატემ იესო გაშოლტა და რომაელ მხედრებს გადასცა, რათა ჯვარს-ეცვათ იგი. მათ წაიყვანეს მსჯავრდებული და თავს დაახვეს მთელი რაზმი. გახადეს მას და შემოსეს ძოწეულის მოსასხამი. დაწნეს ეკლის გვირგვინი და დაადგეს თავზე, მარჯვენა ხელში მისცეს ლერწამი. მის წინაშე მუხლს იყრიდნენ, დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! აფურთხებდნენ მას, აიღეს ლერწამი და თავში ურტყამდნენ. დაცინვით რომ გული იჯერეს, გახადეს მოსასხამი, შემოსეს თავისივე სამოსელი და აჰკიდეს ჯვარი.

მიჰყვები ვნების გზას. აი ადგილი, სადაც ამდენი ტანჯვით დაუძღურებულმა მაცხოვარმა ვედარ გაუძლო ჯვრის სიმძიმეს და დაეცა. მაშინ მხედრებმა დააკავეს პირველივე შემხვედრი იუდეველი, სიმონ კვირინელი, და მას აიძულეს იესოს ჯვრის ტარება. აქ კი მტირალი დედებისთვის მიუმართავს უფალს: „ასულნო იერუსალემისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუნთა სტიროდეთ და შვილთა თქუნთა“ (ლუკ. 23, 28). ქვის კედელში ამოტვიფრული ნიშ-

ნები მიგვითითებენ, რომ ამ ალაგას ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი ეამბორა თავის ძეს, იქ კი მაცხოვარი მეორედ დაეცა. ეს ის ადგილია, სადაც წმიდა ვერონიკამ მას ტილოთი შეუმშრალა სისხლით მოთხვრილი სახე და ტილოზე უფლის ხელთუქმნელი ხატება აღიბეჭდა; და ბოლოს, გოლგოთაზე ასვლის წინ მსხნელი მესამედ დაეცა...

„ვისი გული იყოს მანღნტიცა, რომელი არა ტიროდის!“

იმრუსალიმში გულია ქვეყნიერებისა, გოლგოთა კი თავად იერუსალიმის გულია, ღმერთ-კაცის სისხლით დაღტობილი წმიდათაწმიდა ადგილი, დასასრული გზისა, რომელიც ჩვენთვის განკაცებულმა და ნებსით ვნებულმა უფალმა გაიარა მიწაზე. თავი დაიმდაბლა, ავაზაკთა თანა შეირაცხა და საშინელი სულიერი და ფიზიკური ტკივილები დაითმინა ადამიანთა ხსნისათვის. როდესაც მაცხოვარი ჯვარზე ეკიდა, თრთოდა მთელი ბუნება, გაუჩინარდა მზის ნათელი და შეადღისას ბნელმა მოიცვა მთელი ქვეყანა. ეს მოვლენა მრავალი საუკუნით ადრე აღწერა ამოს წინასწარმეტყველმა: „და იყოს მას დღესა შინა, იტყვის უფალი, – დაჰხდეს მზე შეადღე და დაბნელდეს ქუეყანასა ზედა დღესა შინა ნათელი“ (ამოს 8, 9). „კლდე იგი განპებული საკვირველებით იხილვებოდა და ჯვარი აღმართებული და ზედ სახე ქრისტესა ძელსა დამოკიდებული, სისხლითა შესვარული უცხოდ განიცდებოდა. მართალი იგი, მოწყალეებისათვის კაცთა ცოდვილთაგან სიმართლისათვის ჯვარცმული, მუნ რა იხილვების, ვისი გული იყოს მანღნტიცა, რომელი არა ტიროდის!“ – წერს მომლოცველი.

გოლგოთის ძირას იმყოფება ქვა, რომელზეც „შუენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი იგი გვამი შენი“, ქრისტე, „არმენაკითა წმიდითა წარგრაგნა და ახალსა საფლავსა დაგდვა“. აქ დაიტირა მწუხარებით გულგანგმირულმა ღმრთისმშობელმა თავისი საყვარელი ძე.

თაყვანი-ვეცით ქრისტეს საფლავს. „გამოუთქმელია მორწმუნე გულისათვის ის საღმრთო წამი, როდესაც ქრისტეანე პირველად ეღირსება ამ სულიერს ნუგეშსა და სიხარულსა“. ტკბილია და მადლმოსილი უფლის საფლავი. აქ განსაკუთრებით იგრძნობა სიახლოვე ზეცისა და ამაოება წუთისოფლისა. გწყურია, სამუდამოდ დარჩე ამქვეყნად ყველაზე საოცარ ადგილას, სადაც მკვდრეთით აღდგომილმა ღმერთმა სულიერი საფლაგებიდან აღმოგვიყვანა და მარადიულ სიცოცხლეს გვაზიარა. შურით იგონებ, კეთილი შურით იმ ბერს, რომელსაც საფლავზე თვალყურის დევნება არგუნა განგებამ. სიყვარულით იხსენებ აღდგომის სავანის ეპისკოპოს დანიელს, საკვირველი უბრალოებით შემკულ კაცს. განა შეიძლება სხვანაირი იყოს ამ წმიდა ადგილზე დამკვიდრებული ადამიანი?!

სიკვდილის საკრველთა გახსნისა და მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მაცხოვარმა დედამიწაზე კიდევ ორმოცი დღე დაყო. ის თავის მოწაფეებს ხშირად ეცხადებოდა და თავის დიდებულ აღდგომაში მრავალი მოწმობით არწმუნებდა. როცა ეს დღეები გასრულდა, იესო ქრისტემ მოციქულები ზეთისხილის მთაზე აიყვანა, „აღიპყრნა ხელნი თვისნი და აკურთხნა იგინი“ (ლუკ. 24, 50), და კურთხევისას მათ თვალწინ ზეცად ამაღლდა. მოციქულებმა თაყვანი-სცეს მას და სულიწმიდის მადლის მოღების აღთქმით გახარებულნი იერუსალიმში დაბრუნდნენ.

უფალმა იგი ზეცად აღამაღლა და მიუწვდომელი დიდებით შემოსა

ხეივანის ანუ ელენის მთა ძველი იერუსალიმის აღმოსავლეთით მდებარეობს და მისგან ქედრონის ხეობით არის გამოყოფილი. თავისი სახელწოდება მთამ იმ ზეთისხილის ტყისგან მიიღო, რომელიც მის ფერდობებზეა გაშენებული. მისი მწვერვალიდან ქალაქის მშვენი-

ერი ხელი იშლება. მიწიერი ცხოვრებისას მაცხოვარი არაერთხელ ყოფილა ელეონის მთაზე. აქ ესაუბრებოდა მოწაფეებს, ასწავლა ლოცვა – „ამამო ჩვენო“ და თავადაც ლოცულობდა განმარტოებით. ზაქარიას წინასწარმეტყველების თანახმად საშინელი სამსჯავროს დღეს უფალი დადგება ამ მთაზე და მთა ორ ნაწილად გაიპოზა.

ზეთისხილის მთას ოდესღაც წმიდა ელენე დედოფლის მიერ აგებული ტაძარი ამშვენებდა. მას ღია გუმბათი ჰქონდა, რათა მლოცველებს შექლებოდათ ხილვა ცისა, სადაც დიდებით ამადლდა მაცხოვარი სოფლისა. ამჟამად უფლის ამადლების ადგილზე დგას მეჩეთი. მასში იმყოფება ქვა, რომელზეც უფლის მარცხენა ტერფია აღბეჭდილი.

ზეთისხილის მთის ძირას, გეთსამანიაში არის საფლავი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა. გრძელი დამრეცი კიბე ჩაგვიძვდა ღრმად მიწისქვეშ. ვიხილეთ და ვეამბორეთ ადგილს, სადაც სულ მცირე ხნით განისვენა ყოვლადპატიოსანმა გვამმა ღმრთის დედისა. უფალმა იგი ზეცად აღამაღლა და მიუწვდომელი დიდებით შემოსა. იმავე ტაძრის ჭერქვეშ დაკრძალულია მარადის ქალწულის მშობლები – მართალი იოაკიმე და ანა და მისი დამწინდველი – მართალი იოსები.

ძველი იერუსალიმის სამხრეთით აღმართულია კიდევ ერთი წმიდა მთა – სიონი. აი, რას გვიამბობს მის შესახებ დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი: „შვიდს ივნისს მოვიხილე სიონის ქორი (სამლოცველო სახლი მაღლა სართულში); ეხლა აქ სდგას ოსმალთა მეჩეთი და პირველ დროს კი ყოფილა პირველ ქრისტეანეთა ეკლესია სიონისა. აქედან არის კეთილ-მოწიწების მიბაძვით აღებული სახელწოდება სიონისა, რომლის სახელზედაც საქართველოში რამდენიმე შესანიშნავი ტაძარია აღშენებული. ამ მეჩეთში, ძველად სიონის ქორში, არიან საფლავნი დავითის, სოლომონის და სხვათა მეფეთა ისრაელის ერისათა. აქ იყო „დიდი, დაგებული“, განმზადებული ქორი, რომელშიაც შესრულებულ იქმნა საიდუმლო სერობა; აქ მაცხოვარმან დაჰბანა ფერხნი მოწაფეთა თვისთა და წინასწარ-ეტყოდა მათ ნებსით ვნებათა თვისთა, და დაამტკიცებდა სარწმუნოებასა და სიყვარულში; აქედან გამოვიდა იგი მოწაფეებითურთ გეთსამანიის მტილსა (ბაღსა). აქ იყვნენ შეკრებულ მოციქულნი „შიშისათვის ურიათასა დახშულის კარებით“, და უფალი გამოეცხადა მათ შემდეგ აღდგომისა თვისისა, დახშულის კარებით, ანუგეშებდა მათ და გარდასცა მაღლი სულისა წმიდისა; აქავე მეორეგზის გამოეცხადა იგი, რათამცა დაერწმუნებინა მოციქული თომა თვისსა აღდგომაზედ; აქავე გავარდნილის იუდა გამცემელის მაგიერ იყო წილით აღრჩეულ მოციქულად მატათა; აქ დღესა მეერგასესა (50) გარდამოვიდა სული წმიდა მოციქულთა ზედა, სახითა ცეცხლისა ენათა. უწინარეს სულის წმიდის გარდამოსვლისა სიონის ქორში იყარეს წილი ათორმეტთა მოციქულთა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელმან, ვის რომელს მხარეს შეჰხვდებოდა ქადაგება სახარებისა. და ამ წილის ყრით დედასა ღმრთისასა ერგო წილად ივერია – საქართველო. ამავე სიონის ქორში წმიდა იაკობ მოციქული, ძმა უფლისა, წოდებული მცირედ, იყო დადგენილ პირველ ეპისკოპოსად იერუსალიმისა. აქ შესდგა პირველი მოციქულთა კრება ქ. იერუსალიმსა; აქ შეასრულა წმიდა იოანე მახარებელმა პირველი წირვა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისათვის; აქა სცხოვრებდა 24 წლის განმავლობაში ყოვლადწმიდა დედა ღმრთისა საფარველსა ქვეშე თავისი ძისა პირველის ეკლესიისასა და აქავე დაასრულა თვისი ქვეყნიური ცხოვრება“.

ბანსრულდა ჩვენი მოგზაურობა წმიდა მიწაზე, სულ ორი კვირა – დრო მცირე, მაგრამ სულში ჩაღვრილი ნუგეშის მიხედვით ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი. იერუსალიმი მისი მამლოცველისთვის მშობლიურ ქალაქად იქცევა და გულში ისე აღიბეჭდება, რომ გავა წლები და ხსოვნადან არ წაიშლება. ვერ დაივიწყებ წმიდა მიწაზე მოღვაწე მამებსა და დედებს, წუთისოფლის საცთურნი რომ დაუტევებს და უფლის ტკბილი უღელი იტვირთეს. ვერ დაივიწყებ მამა

ნილოსს, ანგკლიკანიზმიდან მართლმადიდებლობაზე მოქცეულ ინგლისელ ბერს, დიდი სიბოროტე რომ გვაგრძნობინა და გულისტკივილით გვითხრა: ქართული სული აკლიაო წმიდა მიწას. და კიდევ: ყველაფერი აქესო ევროპას, რათა დაღუპოს ადამიანის სულიო. დღეს ჩვენ არჩევანის წინაშე ვდგავართ: მართლმადიდებლობა და მისი სიწმიდე, თუ ევროპა და მისი წარმართული ცხოვრების წესი...

ჩვენი ნაამბობი გვსურს წმიდა გრიგოლ ნოსელის სიტყვებით დავასრულოთ. ამ ღირსმა მამამ კეთილმოწიწებითი სიხარულით მოილოცა წმიდა ადგილები პალესტინაში, მაგრამ მასზე უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა სხვადასხვა მწვალებლობის მიერ აღელვებულ პალესტინის მცხოვრებთა უწესობებმა და უთანხმოებებმა. ამგვარი მძიმე გრძნობის გავლენის ქვეშ გრიგოლმა მისწერა ერთ განდევნილს, რომელსაც სურდა წმიდა ადგილების თაყვანისცემა: „აქედით უფალს იმ ადგილზე, სადაც იმყოფებით! ადგილის გამოცვლა არ დაგვაახლოვებს ჩვენ ღმერთს. სადაც უნდა იმყოფებოდეთ, უფალი მოვა შენთან, თუ შენი სულის სავანე აღმოჩნდება ისეთი, რომ დაემკვიდროს იგი და იცხოვროს შენში. ხოლო თუ შენი შინაგანი კაცი ბოროტი გულისთქმებით არის სავსე, მაშინ გინდ იმყოფებოდეთ გოლგოთაზე, გინდ ზეთისხილის მთაზე, ან უფლის საფლავზე, შენ ისევე არ ძალგის შეიწყნარო შენში ქრისტე, როგორც მათ, რომელთაც საწყისიც არ დაუდგიათ თავისი აღმსარებლობისა... ნუთუ სულიწმიდა მრჩობლად გარდამოდის მხოლოდ იერუსალიმელებზე, ხოლო ჩვენზე არ ძალუძს მოსვლა?..“

„მაუწყე მე, უფალო, გზად, რომელსაც ვიდოდეთ, რამეთუ შენდამი აღვიდეთ სული ჩემი“ (ფს. 142. 8).

გამოყენებული ლიტერატურა

„მიმოსვლა“, ტიმოთე გაბაშვილი, ქართული მწერლობა, ტ. 8, თბილისი, 1990 წ.

„მოგზაურობა წმიდა ქალაქს იერუსალიმსა და წმიდა ათონის მთაზედ“, დეკანოზი პეტრე კონტოშვილი, თბილისი, 1901 წ.

„უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ“, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, თბილისი, 1995 წ.

„ქართველები და ბიბლიური სამყარო“, ელდარ მამისთვალიშვილი, თბილისი, 1998 წ.

წიგნში ასევე გამოყენებულია გაზეთ „მრევლში“ სხვადასხვა დროს დაბეჭდილი მასალა.